ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## წიკლაური კავკასიის ბედით შეწუხებულია

გვ.3



სამშაბათი, 8 თებერვალი, 2011 №32 (5413) ფასი: 30 თეთრი

# სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი აღარ არის

გვ.5



### რატომ შეგვყავს ავღანეთში დამატებითი კონტინგენტი

1992 წლის გადატრიალების შემდეგ ჩვენ დავკარგეთ აფხაზეთი. 2003 წლის რევოლუციის შემდეგ დაიკარგა ქსნის, დიდი და პატარა ლიახვის და კოდორის ხეობები. აქ თუ კიდევ რამე მოხდა, ტერიტორიებს ისევ დავკარგავთ. ამიტომ ჩვენი ამოცანა ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლაა



## ხელისუფლებას ხალხი შეურაცხყოფას აღარ აპატიებს

გვ.2

29-ლარიანი ვაუჩერებით პრეზიდენტი ხალხის გულს ვერ მოიგებს



## რაზე ესაუბრება სააკაშვილი დეპუტატებს?

გვ.3



## „ქართული პარტია“ მალე ხელისუფლების რეალური ალტერნატიული ძალა გახდება

გვ.2



გვ.5

## სომხები ბრაიზას წინააღმდეგ ერთიანდებიან

## ოპოზიციამ ეროვნული მხარდაჭერა ვერ გამოიყენა

გვ.3

გვ.7

## პრეზიდენტი საქართველოსთვის საშიშ განცხადებებს აკეთებს



## საქართველო სამშვიდობო კურსს არ გადაუხვევს

გვ.6





## 3090

### sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.


ISSN 1987-9385


5 აჭარის მაღალმთიანეთში მეწყერი ჩამოწვა

8 ქართული ფილმები ინტერნეტში ფასიანი გახდება

6 ლეიბორისტები ხელისუფლებას 2 500 000 ევროს გადახდას სთხოვენ

9 *დავიდ ვილია:* „ბარსელონაში“ ერთნაირი აზროვნების ფეხბურთელები არიან“

# ხელისუფლებას ხალხი შეურაცხყოფას აღარ აპატიებს

## 29-ლარიანი ვაუჩერებით პრეზიდენტი ხალხის გულს ვერ მოიგებს

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ სახალხო კრების ერთ-ერთ ლიდერ ირაკლი ბათიაშვილთან

*— თქვენი ის რაც ეგვიპტეში ხდება, შესაძლოა, რომ ჩვენთანაც მოხდეს?*

— ის რაც მოხდა ტუნისში, რაც ხდება ეგვიპტეში, ამას ადამიანები არა მარტო თბილისში, არამედ მთელს ქვეყანაში ადევნებენ თვალს. გადით ნებისმიერ რეგიონში, ნებისმიერ სოფელში და ჰკითხეთ ნებისმიერი სოფლის მცხოვრებს, იცის თუ არა რა ხდება, ვთქვათ, ეგვიპტეში. რა თქმა უნდა, იცის. ეს ტალღისებურად არის მოდებული და ზემოქმედებს ადამიანების ფსიქოლოგიაზე.

***— სააკაშვილი ელექტროენერგიის 20 ლარიან ვაუჩერებს ურიგებს მოსახლეობას, როგორ ფიქრობთ, ამით მწვავე სოციალური მუხტის განელება სურს?***

— მე ამ ყველაფერს არასერიოზულად ვუყურებ, დღეს იცით რა არის დენის გადასახადი, რა გახდა წყლის გადასახადი, თითქმის 100%-ით გაიზარდა დასუფთავების გადასახადი და ამ ფონზე 20 ლარიანი ვაუჩერის ერთჯერადად დარიგება სასაცილოა. სააკაშვილს იმის იმედიც არა აქვს, რომ ამით მოსახლეობის გულს მოიგებს. არა, მან ეს კარგად იცის, რომ 20 ლარიანი ვაუჩერით რა გული უნდა მოიგოს, მაგრამ მას ეს უნდა მას სალაპარაკოდ, რომ მერე ილაპარაკოს ტელევიზიით, რომ მე 20 ლარიანი ვაუჩერები დავარიგე, აი ჩვენი სოციალური პოლიტიკაო და ასე შემდეგ. ეს არის ამის მიზეზი, მეტი არაფერი. მე ისევ მინდა ვთქვა, რომ ძალიან მძიმე გაზაფხული გველოდება, ზამთარი ხომ მშიერი იყო ჩვენი მოსახლეობისთვის, გაზაფხული კიდევ უფრო მძიმე იქნება და ეს არის დენთის კასრი, რომელზეც ერთი პატარა ნაპერწკალი რომ დაეცეს, ისე შეიძლება აფეთქდეს, რომ ამას ვერაფერი ვერ გააჩერებს.

***— როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანს ეყოფა მოთმინება საზოგადოებას, როდის შეიძლება იფეთქოს ამან?***

— ჩვენი საზოგადოება, ხალხი, არის ძალიან მომთმენი, მიმტევებელი.

***— ალბათ ყველაფერს აქვს საზღვარი...***

— რა თქმა უნდა. ხომ ხედავთ, 2008 წლის აგვისტოში ისეთი უბედურება დაგვატყდა თავს და რა თქმა უნდა, სააკაშვილი იყო ერთ-ერთი მთავარი პასუხისმგებელი ამ დიდ უბედურებაზე. მაშინ ისე გავიდა მთელი შემოდგომა, რომ მთელმა საზოგადოებამ, გამომდინარე რაღაცრაღაც არგუმენტებიდან, მოტივებიდან, მთელმა საზოგადოებამ, მათ შორის ოპოზიციამაც გადაწყვიტა, რომ ამ საკითხზე, ასე ვთქვათ, არ აეტეხა ამხელა ამბავი. აი, ამხელა უბედურება გადაიტანა და მოითმინა ჩვენმა ხალხმა. ახლაც ითმენს, მაგრამ შეურაცხყოფას ნამდვილად ველარ მოითმენს ჩვენი საზოგადოება, იმიტომ, რომ ის, რაც ხდება, ეს არის არა უბრალოდ გაჭირვება, რომელიც თავს დაგვატეხა ამ ხელისუფლებამ, არამედ პლუს ეს არის ჩვენი შეურაცხყოფა. სააკაშვილი კი გვეუბნება, რომ რა მოხდა, არაფერი არ ხდება, კარგად მიდის საქმე, ტურიზმი გადაგვარჩენსო, როდესაც ასეთი გაჭირვებაა და გაჭირვების გამო ვეტერანები ჯდებიან საშიმშილოდ და იმ გაჭირვებულ მოშიმშილე ვეტერანებს არბევ, პლუს ქალს სცემ და მერე იმ დარბეულ გაჭირვებულ ვეტერანებს სულში ჩააფურთხებ შენი გამოსვლით, რა გამოსვლაც ჰქონდა პრეზიდენტს. სწორედ შეურაცხყოფას არ ითმენს ხოლმე ჩვენი საზოგადოება. ძალიან მომთმენია ჩვენი ხალხი, გაჭირვების მოთმენა ჩვენ რომ შეგვიძლია, ალბათ ისე არავის შეუძლია, მაგრამ შეურაცხყოფას და სულში ჩაფურთხებას ჩვენი საზოგადოება არ მოითმენს.

***— ალბათ დამეთანხმებით, რომ ამ ყველაფრის ფონზე აქტიურად მიმდინარეობს ოპოზიციის დისკრედიტაცია და ამას თავად ოპოზიცია უწყობს ხელს...***

— ძალიან სამწუხაროა, რომ ოპოზიციაში არის ასეთი დაქსაქსულობა, ფაქტიურად არ არის არანაირი კონსოლიდაციის ტენდენცია, მე, რა თქმა უნდა, ძალიან განვიცდი ამას. ამას განიცდის თითოეული ჩვენი მოქალაქე. როგორც ჩანს, აქ ხალხი აიღებს ინიციატივას, თვითონ საზოგადოება აიღებს ხელში ინიციატივას.

***— მოვისმინე ექსპერტების შეფასებები, რომ ხალხი არ დაელოდება ოპოზიციონერ ლიდერს, რომელსაც აქამდე ელოდა და თავად გამოვა ქუჩაშიო...***

— მეც ასე ვფიქრობ, რომ თვითონ საზოგადოება აიღებს ხელში ინიციატივას და ყველა პოლიტიკოსი ვალდებული ვიქნებით, ჩვენი ხალხის გვერდით ვიყოთ და ჩვენს ხალხს გადავეფაროთ.

***— დღეს ნამდვილად სჭირდება ოპოზიციას ერთად დგომა...***

— ოპოზიციას ნამდვილად სჭირდება ერთად დოგმა, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ოპოზიცია უნდა იყოს ნამდვილი ოპოზიცია, ისეთი ოპოზიცია, რომელიც იქნება თავის საქმეში, თავის ძალისხმევაში შეუვალი, პრინციპული, დღეს ჩვენ უპრინციპობას არავინ არ გვაპატიებს. საერთოდ არც არავის არ უნდა ეპატიოს უპრინციპობა, მაგრამ ახლა უკვე უკან დახევა დაუშვებელი იქნება.

***— საუბარია, რომ მარტიდან დაიძაბება სიტუაციაო, თქვენი პროგნოზები როგორია და რას აპირებს სახალხო კრება?***



— მე ვფიქრობ, რომ გაზაფხულზე პოლიტიკური სიტუაცია გამოიღვიძებს, დინამიკა მოიმატებს, რა თქმა უნდა და არც არის გამორიცხული, რომ დიდი ქარტეხილები დაიწყოს, მაგრამ ამის პროგნოზი, მინდა გითხრათ, რომ ძალიან ძნელია. რაც შეეხება სახალხო კრებას, ის მეტ-ნაკლებად ჩახედულია რა ხდება რეალობაში, რადგან დღევანდელი ჩვენი ტელევიზიით ვერაფერს ვერ გაიგებ, ისინი აბსოლუტურად ვირტუალური რეალობით არიან დაკავებულნი. ვინც ჩახედულია რა ხდება რეალურად, მე მგონი, კარგად უწყის, რომ რამე თუ მოძრაობს დღეს, მუშაობს და მოქმედებს, ეს არის სახალხო კრება. ყოველდღიურად მიდის მუშაობა, იქმნება საქართველოს მთელი მასშტაბით წინააღმდეგობის კომიტეტები, იქმნება სახალხო თავდაცვის მშვიდობიანი ჯგუფები. ეს არის ფაქტიურად ძალიან მნიშვნელოვანი მისიით აღჭურვილი ჯგუფები, რომლებსაც ევალებათ რეაგირება ადამიანის უფლებების დარღვევებსა და ამ ათასნაირ უსამართლობებზე. ადამიანების გამოქომაგება ევალებათ მათ და ეს მუშაობა მიდის, რომ იცოდეთ თქვენ. ვნახოთ, გაზაფხულზე რა იქნება, ამას რეალობა გვაჩვენებს.

***— თუმცა სახალხო კრებაზე სულ სხვა სახის ინფორმაციები ვრცელდება, რომ დაიშალა კრება, არის აზრთა სხვადასხვაობა და ასე შემდეგ...***

— ეს გასაგებია, მიზანმიმართულად ხდება სახალხო კრების დისკრედიტაციის მიზნით. მინდა გითხრად, რომ სახალხო კრება რაც იყო 25 ნოემბრამდე და ის ადამიანების ერთობა, რომელმაც მოიტანა 25 ნოემბერი, ამ ადამიანების ერთობა განაგრძობს მუშაობას და გაზაფხულზე ვნახავთ შედეგებს. აი, მერე კი სხვანაირ დაიწყებენ ჭიკჭიკს.

## საგარეჯოში ქარმა საცხოვრებელ სახლებს სახურავები გადახადა

ძლიერმა ქარმა საგარეჯოს რაიონში საცხოვრებელ სახლებს სახურავები გახადახა, სოფელ მანავში კი ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის კედელი დაანგრია, — ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრი იუწყება.

დაზიანებულია ასევე ელექტროგადამცემი ხაზები, რის გამოც საგარეჯოს რაიონს ელექტროენერგია არ მიეწოდება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გია ჩალათაშვილის განცხადებით, გამაგრებითი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს, აღდგენითი სამუშაოები კი ქარის შესუსტებისთანავე დაიწყება.

ინტერპრესნიუსი

## პოლიციამ ვარკეთილში მომხდარ მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავა

ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილები: 1976 წ.დ. დავით შანავა, 1968 წ.დ. არჩილ ზაზაშვილი და 1969 წ.დ. გრიგოლ ლომიძე დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიების შედეგად დადგენილია, რომ 2010 წლის 29 დეკემბერს დავით შანავა, არჩილ ზაზაშვილი და გრიგოლ ლომიძე იმყოფებოდნენ ზურაბ ბუთხუზის საცხოვრებელ ბინაში, რა დროსაც ნასვამ მდგომარეობაში მყოფი აღნიშნული პირები ფიზიკურად დაუპირისპირდნენ ზურაბ ბუთხუზს. რამდენიმე ხნის შემდეგ დაპირისპირება ბუთხუზსა და ლომიძეს შორის გაგრძელდა, რა დროსაც ამ უკანასკნელმა დანის გამოყენებით, ბარძაყის არეში მრავლობითი ჭრილობა მიაყენა ზურაბ ბუთხუზს. სხეულზე მიღებული დაზიანებების შედეგად ბუთხუზი გარდაიცვალა, აღნიშნული პირები კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად სამივე პიროვნება დაკავებულია. ასევე, დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის პოლიციამ დააკავა 1987 წ.დ. ზურაბ ქვლივიშვილი.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 117- ე მუხლის მეორე ნაწილით და 376-მუხლით.

პრაიმ-ნიუსი

## საზღვარზე საიუველირო ნაკეთობების კონტრაბანდაში ეჭვმიტანილი დააკავეს

საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციი თანამშრომლებმა, სასაზღვრო გამტარ პუნქტ „ცოდნა“-ზე, საიუველირო ნაკეთობების კონტრაბანდაში ეჭვმიტანილი, საქართველოს მოქალაქე ელიზა ლონდარიძე დააკავეს. სასაზღვრო პოლიციის ინფორმაციით, ლონდარიძემ საქართველოს საბაჟო საზღვარზე 18 ათასი ლარის ღირებულების ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობები გადაიტანა საბაჟო წესების დარღვევით.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის III ნაწილით. გამოძიებას აწარმოებს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო ოპერატიული სამმართველო.

პრაიმ-ნიუსი

## ანანურის ქუჩას მიხეილ თუმანიშვილის სახელი მიენიჭა

თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, დედაქალაქში მდებარე ანანურის ქუჩას სახელი შეეცვალა და მას მიხეილ თუმანიშვილის სახელი დაერქვა. ქუჩა საკრებულოს თავმჯდომარემ ზაალ სამადაშვილმა პირადად გახსნა.

— დიდი შემოქმედის უკვდავსაყოფად გაგადგმული ეს ნაბიჯი თბილისის საზოგადოების დამოკიდებულებით იქნა ნაკარნახევი, თუმცა, ჩემი აზრით, მიხეილ თუმანიშვულის უკვდავება მისი სპექტაკლებით არის განპირობებული. ეს გახლდათ ადამიანი, რომელმაც ქართული თეატრისთვის სრულიად ახალი გზა გაკვალა და მას ახალი მიზანი დაუსახა, — განაცხადა ზაალ სამადაშვილიმა.

ანანურის ქუჩისთვის მიხეილ თუმანიშვილის სახელის მინიჭების გადაწყვეტილება თბილისის საკრებულომ 28 დეკემბრის სხდომაზე მიიღო. ქუჩის გახსნას თეატრისა და კინოს მსახიობები, მიხეილ თუმანიშვილის ოჯახის წევრები და ადგილობრივი მოსახლეობა ესწრებოდნენ.

2011 წლის 6 თებერვალს დიდი რეჟისორის, პედაგოგისა და თეორიტიკოსის დაბადებიდან 90 წლისთავი აღინიშნა. ამასთან დაკავშირებით, დედაქალაქის მთავრობის, კინომსახიობთა თეატრისა და მიხეილ თუმანიშვილის მოწაფეების ინიციატივით, 2011 წელი რეჟისორის წლად გამოცხადდა.

პრაიმ-ნიუსი

## „ქართული პარტია“ მალე ხელისუფლების რეალური ალტერნატიული ძალა გახდება

სოზარ სუბარი დარწმუნებულია, რომ „ქართული პარტია“ გაზაფხულზე ხელისუფლების რეალური ალტერნატიული ძალა გახდება.

— „ქართული პარტია“ დაწყებულ ბრძოლას ბოლომდე მიიყვანს; მას აქვს იმის რესურსი და შესაძლებლობა, რომ ძლიერ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდეს. აპრილის ბოლოს და მაისის დასაწყისში ჩვენ დღევანდელი ხელისუფლების რეალური ალტერნატიული ძალა გავხდებით, — განაცხადა სოზარ სუბარმა, გუშინ თელავის რაიონული ორგანიზაციის ოფისის პრეზენტაციაზე.

სუბარის განცხადებით, მის პოლიტიკურ გუნდს საკმაოდ ამბიციური გეგმები აქვს, რაც უახლოეს პერიოდში 50 ათასიანი პარტიული არმიის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს.

— დღეს საქართველოს მართავს არაადექვატური ადამიანი, რომლის ხელშიც ჩვენს ქვეყანას განვითარების შანსი არ გააჩნია. სააკაშვილის რეჟიმი უგუნურ გადაწყვეტილებებს სპონტანურად, წინასწარი გათვლების გარეშე იღებს. ხელისუფლების მიერ არჩეული სინგაპურიზაციის კურსი ქვეყანას საბოლოოდ დაღუპავს. ვიდრე სააკაშვილი ხელისუფლების სათავეშია, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსი არ გააჩნია, — აღნიშნა მან.

„ქართული პარტიის“ თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა პარტიული ინფრასტრუქტურის მშენებლობის მნიშვნელობაზე, დღეს არსებულ კრიზისულ მდგომარეობაზე და ოფისის გახსნაზე მისული მოქალაქეების შეკითხვებს უპასუხა.

პარტიის თელავის რაიონული ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია მარტში გაიმართება, რომლის დროსაც რაიონული ორგანიზაციის ლიდერს აირჩევენ. მანამდე კი საინიციატივო ჯგუფს ნოდარ ჯანდიერი უხელმძღვანელებს. თებერვალში „ქართული პარტიის“ 12 რაიონული ორგანიზაციის ოფისი გაიხსნება. აქედან სამი კახეთის რეგიონში განთავსდება.

ინტერპრესნიუსი

## ზესტაფონსა და ქუთაისში „სახალხო კრების“ კომიტეტები დაფუძნდა

„წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ წინააღმდეგობის კომიტეტები გუშინ იმერეთის რეგიონში დაფუძნდა.

ამჯერად კომიტეტები ზესტაფონსა და ქუთაისში შეიქმნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრები: ნონა გაფრინდაშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, ირაკლი ბათიაშვილი, ლუკა კურტანიძე, გია ბურჯანაძე და „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე.

ზესტაფონის კომიტეტს კახა გოქაძე, ხოლო ქუთაისის — შოთა ოჩიგავა უხელმძღვანელებენ. აირჩიეს ასევე კომიტეტის წევრები.

როგორც ბურჯანაძემ კრების მხარდამჭერებთან საუბრისას აღნიშნა, „სახალხო კრება“ არის ერთადერთი რეალური ძალა საქართველოში, რომელსაც ქვეყნის გადარჩენის უნარი შესწევს.

საქართველოს მასშტაბით უკვე 20-ზე მეტი წინააღმდეგობის კომიტეტია შექმნილი. კრების წარმომადგენელთა განცხადებით, აღნიშნული კომიტეტები საქართველოს მოსახლეობას საყოველთაო დაუმორჩილებლობისთვის მოამზადებენ.

ინტერპრესნიუსი

## აჭარის მთავრობა სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას დახმარებას აღმოუჩენს

აჭარის მთავრობა სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას დახმარებას აღმოუჩენს

როგორც მთავრობის აპარატის უფროსი ომარ მეგრელიძე აცხადებს, ყველა რაიონში შექმნილია საგანგებო ჯგუფები და ზარალის რაოდენობა დგინდება. ხულოს რაიონში თოვლის საფარის სიმაღლემ სამ მეტრს მიაღწია.

დიდთოვლობის გამო სატრანსპორტო გზები ჩახერგილია. ამ დროისათვის არსებული ინფორმაციით, ჩამოწოლილმა ზვავმა 10-ზე მეტი ოჯახის საცხოვრებელი და კიდევ დამხმარე ნაგებობები წაიღო. ძლიერმა ქარიშხალმა დააზარალა ქობულეთის რაიონიც.

პრაიმ-ნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ოპოზიციამ ეროვნული მხარდაჭერა ვერ გამოიყენა

გულიკო ბალა ე

## ინტერვიუ უზენაესი საბჭოს დეპუტატ თენგიზ დიხამინჯიასთან

***— ბატონო თენგიზ, მიხეილ სააკაშვილმა ევროკავშირის ტრიბუნიდან განაცხადა, ჩემი ალტერნატივა არის ნაციონალიზმის აღორძინება საქართველოში, ისევე, როგორც ეს ხდებოდა სერბეთშიო. როგორ ფიქრობთ, რატომ აკეთებს ასეთ განცხადებებს სააკაშვილი?***

— ჯერ ერთი, სააკაშვილი ასეთ განცხადებებს იმიტომ აკეთებს, რომ ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი გაბატონებული ძალის პოლიტიკური ხაზის, სტრატეგიული მაგისტრალის დაკვეთა. შეფასებები აქედან დავიწყოთ, რადგან ეს პოპულარული თემა, მძლავრობს დღეს სამყაროში. სამყარო ამ არქეტიტებით იგება. ეს არის გაბატონებული მსოფლმხვედველობის პროდუქცია. ამ კონცეფციის შემსრულებლები ცდილობენ, რიგ ქვეყნებში გაბატონებული ძალის დაკვეთების განმხორციელებლები დასვან ხელისუფლებებში და ყველანაირ კანონიერებაზე დახუჭონ თვალი. ჩვენი ე.წ. ლიდერი შინაგანად ამ დაკვეთებისა და ლაბორატორიის პირმშოა, რომელსაც ეროვნული იდეა, თვითმყოფადობა მაღალ ღირებულებად არ მიაჩნია. ის მაღალ ღირებულებას ანაცვლებს პოლიტიკური კონიუნქტურით. ეს არის ამ ადამიანის პორტრეტი. სამწუხაროა, რომ ამას ქართული საზოგადოება, სხვადასხვა ინსტიტუტები წინააღმდეგობას ვერ უწევენ და, ჯერჯერობით, გამარჯვებულებიც ისინი არიან, სამწუხაროდ. ეს არის მსოფლიოში გაბატონებული ტენდენცია. ამ შემთხვევაში ხდება ტერმინ „მსოფლიო მოქალაქის“ ძალიან ცუდი გაგება. მაგალითად, გოეთეს კოსმოპოლიტიზმი და „მსოფლიო მოქალაქე“ აბსოლუტურად განსხვავდება იმ კონცეფციისაგან, რასაც დღევანდელი მსოფლიოს არქტიტექტორები ატარებენ. გოეთესთან, მის მონათესავე ადამიანებთან, ზვიად გამსახურდიასთან (სხვებიც შეიძლება მათ რიცხვს მივაკუთვნოთ — ბერდიაევი, სალავიოვი) მსოფლიო მოქალაქე და ნაციონალური, ეროვნული იდეა ჰარმონიაშია ერთმანეთთან. მსოფლიოს დღევანდელი არქიტექტორები ცდილობენ მსოფლიო ადამიანი და ეროვნულ საწყისები ერთმანეთთან ჰარმონიაში მოიყვანონ. ამჟამად ჰარმონია და წონასწორობა აბსოლუტურად დარღვეულია და მსოფლიო იდეის მქონე ადამიანმა უნდა შთანთქოს ეროვნული ფესვები, ეროვნული საწყისები და ეროვნული თვითმყოფადობა. ეს არის მსოფლიოში გაბატონებული ჭიდილი, რაც დღეს მიმდინარეობს. საუბედუროდ, ჩვენთვის სანუგეშო და სახარბიელო შეეგებს ვერ ვხედავ. ეს არის ფილოსოფიური არსი, გამოვლინება იმ პათოლოგიებისა, რაზეც თქვენ გაინტერესებდათ პასუხი.

***— როგორც ჩანს, სააკაშვილი მოერიდა ზვიად გამსახურდიას ხსენებას და სერბეთთან დაპირისპირება არჩია...***

— სააკაშვილი ზვიად გამსახურდიას ხსნებას მოერიდა თუ არა, ეს მეორეხარისხოვანია. მთავარია, რომ იერიში მიაქვთ იმაზე, რასაც ზვიად გამსახურდია აკეთებდა, რა მოდელიც დადო სამყაროს გაგების, აღქმის, პოლიტიკური მსოფლმხედველობის სისტემისა და ფასეულობების. ცდილობენ ეს ფასეულობები და ღირებულებები დაანგრიონ. ამას რა სახით, რა ფორმით და რა ტაქტიკით გააკეთებენ, ნაკლებად მნიშვნელოვანია. ფაქტია, რომ ამას ებრძვიან თითოეულ ნაბიჯზე. ბრძოლა იწყება მსოფლიოში არსებული პოლიტიკური ხაზიდან გამომდინარე.

***— ამ შემთხვევაში სააკაშვილი მაინც თავისი ტყავის გადარჩენას ცდილობს...***

— რა თქმა უნდა...

***— რადგან სერბეთი და ჩვენ ერთსა და იმავე ვითარებაში ვიმყოფებით, კოსოვოს, აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემების გამო. სააკაშვილმა კი მსოფლიო საზოგადოებრიობას სერბეთზე მიანიშნა...***

— სავსებით სწორად აღნიშნეთ. სერბეთში სწორედ ისეთი მოვლენები ვითარდება ხოლმე, რომელიც შემდეგ ქართულ სინამდვილეში, ჩვენს გეოპოლიტიკურ სივრცეში და საქართველოში შენელებული კადრებივით მეორდება, ანუ ის პროექტები, რაც იდგმება სერბეთსა და დასავლეთში, შემდეგ ამა თუ იმ სახით, ამა თუ იმ ფორმით, სხვადასხვა ტაქტიკური მრავალსახოვნებით იდგმება საქართველოში. ე.ი. ჩვენი პრობლემები ერთი და იგივეა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ნიკლაური კავკასიის ბედით შეწუხებულია

ნანა მიშელაშვილი

**საქართველოს პარლამენტი დიდოური ენისა და კულტურის მკვლევარის მუჰამედ ჰამზატოვის გარდაცვალების გამო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავს და ჰამზატოვის გარდაცვალების გამოძიებაში ჩართვისკენ მოუწოდებს.**



აღნიშნული განცხადება პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხებში საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ნუგზარ წიკლაურმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

— ჩვენ შევიმუშავებთ მიმართვას, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ თხოვნით და მოთხოვნით, აქტიურად ჩაერთონ ამ ადამიანის გარდაცვალების გამოძიების პროცესში და ამ ორგანიზაციების მხრიდან გამოძიების პროცესის მონიტორინგი განხორციელდეს“, — განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა.

კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, ამ მომენტისთვის რთულია ქართულმა მხარემ ჰამზატოვის გარდაცვალებას რაიმე ოფიციალური შეფასება მისცეს — უკავშირდება თუ არა ეს ფაქტი ჰამზატოვის თბილისში ვიზიტს, რომელიც გასულ წელს შედგა.

ჰამზატოვი თბილისში გასული წლის დეკემბერში ჩამოვიდა და საქართველოს პარლამენტს დიდოელების პრობლემების გადასაჭრელად დახმარების თხოვნით მიმართა.

— ჰამზატოვი, რომელიც დიდოური ენისა და კულტურის მკვლევარია, კავკასიის დიდი პატრიოტი იყო. საქართველოში ჩამოსვლის დროს ცდილობდა საქართველოს ხელისუფლებისა და პარლამენტისა ყურადღება მიეპყრო იმ პრობლემების მიმართ, რომელიც მის ხალხს აქვს. მას სურდა საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის გამხდარიყო ცნობილი, რომ ითხოვდა დიდოელების ხალხად აღიარებას, დედაენის სწავლების უფლების მოპოვებასა და დიდოური კულტურისა და ისტორიის პოპულარიზაციას, — აღნიშნა წიკლაურმა.

ამ მიზნით ჰამზატოვმა საქართველოში 14 ათასი დიდოელის ხელმოწერა ჩამოიტანა. იგი შეხვდა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს ნუგზარ წიკლაურსა და ქართველ დეპუტატებს.

ქართველი ლინგვისტები მას დიდოური ენის განმტკიცების საქმეში დახმარებას დაჰპირდნენ.

პარლამენტში შეხვედრის დროს ჰამზატოვმა დიდოელი ხალხის რეპრესირებულ ხალხად აღიარების საკითხიც დააყენა.

— აღნიშნული მოთხოვნების დაყენებით რუსეთის ფედერაციაში ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწია და ჰამზატოვს იმედი ჰქონდა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები და საქართველოსგან, როგორც კავკასიელ ხალხთან ყველაზე ახლოს მდგომ სახელმწიფოსგან, შეძლებდა დახმარების მიღებას, — განმარტა წიკლაურმა.

დეპუტატის თქმით, მას შემდეგ, რაც მუჰამედ ჰამზატოვი საქართველოდან სამშობლოში დაბრუნდა, დაიწყო მისი დევნა, არ უშვებდნენ სოფლებში და ვრცელდებოდა ცილისწამება, თითქოს იგი დიდოელი ხალხის ინტერების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა.

— სამი დღის წინ კი, დიდოური ენისა და კულტურის დამცველი გარდაცვლილი იპოვეს. ოჯახი აცხადებს, რომ მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ ჰქონდა და მის ცხედარს მოწამვლის კვალი აღენიშნება. ამის გათვალისწინებით ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ იგი მოკლულია. მიუხედავად იმისა, ჩვენ მტკიცება არ შეგვიძლია, რომ მისი სიცოცხლე ხელყვეს, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია მუჰამედ ჰამზატოვის გარდაცვალების ფაქტი საერთაშორისო ადამიანის უფლებების დამცავი ორგანიზაციების მიერ იყოს გამოძიებული, რადგან რუსეთის ფედერაციაში და მით უმეტეს, ჩრდილოკავკასიაში, ადამიანების მკვლელობა, გატაცება ჟურნალისტების აფეთქება და განსხვავებული აზროვნების მქონე ადმიანების სიკვდილით დასჯა ყოველდღიურობად იქცა, — აცხადებს ნუგზარ წიკლაური.

აღნიშნულთან დაკავშირებით კომიტეტის და ცალკეული პარლამენტარების სახელით საერთაშორისო ორგანიზაციების სახელზე მიმართვა მომზადდება.

— მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის მხრიდან დახმარებასთან დაკავშირებით ოფიციალური თხოვნა არ მიგვიღია, ჩვენ თავს ვალდებულად ვთვლით, ჰამზატოვის გარდაცვალების ფაქტს ნათელი მოვფინოთ, რადგან მისი დევნა საქართველოდან წასვლის შემდეგ დაიწყო, — აღნიშნა წიკლაურმა.

დაიწყეთ ახალი დღე
„ახალ ქართულ პროზასთან“ ერთად!
ყოველი ორშაბათიდან ჟურნალ „გუშაგთან“ ერთად შეიძინეთ „ახალი ქართული პროზის“ ახალი ტომი
7 თებერვლიდან გაიყიდება
მე-7 ტომი




ჟურნალი წიგნთან ერთად
3 ლარი ღირს

# რაზე ესაუბრება სააკაშვილი დეპუტატებს?

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში წლიური მოხსენებით 10 თებერვალს, დღის მეორე ნახევარში გამოვა. ამის შესახებ დავით ბაქრაძემ გუშინ დეპუტატებს ბიუროს სხდომაზე აცნობა.**

ნანა მიშელაშვილი

პრეზიდენტის პარლამენტში მისვლის თარიღი წინასწარ იყო ცნობილი. რომელ საათზე მივა მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში, ეს ჯერ დაზუსტებული არ არის.

— ხუთშაბათს, 10 თებერვალს, საქართველოს პრეზიდენტი მობრძანდება და სიტყვით მიმართავს პარლამენტსა და საზოგადოებას. რაც შეეხება პრეზიდენტის გამოსვლის ფორმატს, ამ კუთხით გარკვეული ტრადიცია უკვე ჩამოყალიბდა და წელსაც იგივე სქემით გავყვებით, როგორიც იყო წინა წლების განმავლობაში, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, თუ საჭირო გახდება, პრეზიდენტის გამოსვლის ფორმატზე 10 თებერვალს დამატებითი ბიუროს სხდომის ჩატარებაც შესაძლებელი გახდება.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ხუთშაბათს, დღის პირველ ნახევარში პლენარული სხდომა ჩატარდება და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების მიღება მოხდება, ხოლო დღის მეორე ნახევარი პრეზიდენტის გამოსვლას დაეთმობა.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პარლამენტში გამოსვლა დებატების ფორმატით გაგრძელდება. ამას პარლამენტის რეგლამენტი არეგულირებს.

— რეგლამენტის 194 მუხლი მკაცრად არეგულირებს პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლის შემდეგ ვის აქვს სიტყვით გამოსვლის უფლება და რა ფორმატით უნდა ჩატარდეს დებატები, თუმცა, ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით გაგვეთვალისწინებინა ოპოზიციის მოსაზრება, გაგვეთვალისწინებინა ის, რომ ალბათ ბევრ დეპუტატს სურს გამოსვლა და დებატებში მონაწილეობის მიღება, — აღნიშნა ბაქრაძემ.

პარლამენტის სპიკერის თქმით, ეს ტრადიცია წელსაც არ დაირღვევა და გამოსვლის შესაძლებლობა ექნებათ როგორც ფრაქციებს, ასევე უმცირესობისა და უმრავლესობის წევრებს.

პრეზიდენტის პარლამენტში სტუმრობის დროს სიტყვით გამოსვლის უფლება მიეცემა ორ დამოუკიდებელ დეპუტატს.

— ორი დამოუკიდებელი დეპუტატისგან — გია ცაგარეიშვილისა და ჯონდი ბალათურიასგან შემოსული არის განცხადება. მათ აქვთ სურვილი, დებატებში მიიღონ მონაწილეობა და ალბათ, მათაც გამოსვლის საშუალება მიეცემათ, — განმარტა დავით ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარემ მზადყოფნა გამოთქვა, თუ საჭირო გახდება, პრეზიდენტის გამოსვლამდე დებატების ფორმატზე კონსულტაციებიც გამართოს.

რაზე ისაუბრებს ოპოზიცია და უმრავლესობა 10 თებერვალს პარლამენტში?

ოპოზიცია ყველა იმ საკითხზე აპირებს საუბარს, რაც

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# რაზე ესაუბრება სააკაშვილი დეპუტატებს?

დასაწყისი მე-3 გვერდზე

2010 წელს აქტუალური იყო. საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები თემებს გადაინაწილებენ, რათა მათ ყველა მნიშვნელოვანი საკითხი მოიცვან. კერძოდ, ოპოზიცია ყურადღებას გაამახვილებს: დემოკრატიის განვითარების აუცილებლობაზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე, მედიის თავისუფლებაზე, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობაზე, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, ეკონომიკურ სიდუხჭირესა და ფასების ზრდაზე.



რაც შეეხება უმრავლესობას, ისინი ამბობენ, რომ პრეზიდენტი ყველა მნიშვნელოვან საკითხზე აპირებს ყურადღების გამახვილებას.

— პრეზიდენტის ყოველწლიური გამოსვლა ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა. ტრადიცია უკვე ჩამოყალიბდა, რომელიც ძალიან კარგი ტრადიციაა. წელსაც საუბარი იქნება ჩვენი პოლიტიკური გუნდის ხედვაზე ქვეყნის განვითარების პერსპექტივებსა და სამომავლო გეგმებზე. ასევე ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, როგორიც არის სამუშაო ადგილები, ეკონომიკა, ქვეყნის უსაფრთხოება, საგარეო პოლიტიკა, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში გოკა გაბაშვილმა.

თითქმის ყველა ვიზიტის დროს, პრეზიდენტი მოხსენებით გამოსვლის პარალელურად ახალი ინიციატივებითაც გამოდის. როგორი იქნება მიხეილ სააკაშვილის მიერ შეთავაზებული ახალი ინიციატივები, ეს დეპუტატებმა ჯერ არ იციან.

პრეზიდენტის პარლამენტში სტუმრობის დროს ტრადიციულად პარლამენტს სტუმრობენ სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. კერძოდ, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეები, მინისტრები, გუბერნატორები, აფხაზეთისა და აჭარის მთავრობის პირველი პირები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები.

ამდენად, 10 თებერვალს საკანონმდებლო ორგანოში დიდი სტუმრიანობა იქნება.

# „ხელისუფლება აღიარებს, რომ რეპრესიული პოლიტიკის გატარებაზე უარს არ ამბობს“

**გაერო საქართველოს 163 რეკომენდაციას აძლევს. რჩევა-დარიგებანი ადამიანის უფლებების დაცვის საკითხს ეხება (როგორც ჟურნალისტებთან, ისე დევნილებსა და პატიმრებთან მიმართებაში) და იგი გაეროს უფლებების საბჭომ ჟენევაში გამართულ მეათე სესიაზე დაამტკიცა.**

გერა მამულაშვილი



საქართველოს სამთავრობო დელეგაციამ გაეროს რეკომენდაციებიდან მხოლოდ „ანგაჟირებული“ და „არაკორექტული“ რეკომენდაციები არ გაიზიარა; ოპოზიციაში კი აცხადებენ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ საქართველოსთვის მიცემული 163 რეკომენდაცია შემთხვევითი სულაც არ არის. საუბარია ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებულ უმწვავეს პრობლემებზე.

რადიო „თავისუფლების“ ინფორმაციით, 163 რეკომენდაციიდან ქართულმა მხარემ ნაწილი გაიზიარა, 5 რეკომენდაციის შესრულება სხდომაზევე გამორიცხა, 62 რეკომენდაციასთან დაკავშირებით კი მოსაფიქრებელი დრო ითხოვა, რაც მას 2011 ივნისამდე მიეცა.

ამასთან, რადიოს ცნობით, უკვე გაზიარებული რეკომენდაციების შესრულება საქართველომ შემდგომ ოთხ წელიწადში უნდა უზრუნველყოს.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ სესიაზე სულ 16 ქვეყანაში არსებული ადამიანის უფლებათა მდგომარეობის საკითხი განიხილებოდა, რომელთა შორისაც საქართველო იყო. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მექანიზმი 2007 წელს შემუშავდა და ის მიზნად ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შეფასებასა და რეკომენდაციების მომზადებას ისახავს გაეროს წევრ 192 ქვეყანაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ სერგი კაპანაძემ განმარტა, რატომ არ დაეთანხმა საქართველო გაეროს რამდენიმე რეკომენდაციას. როგორც კაპანაძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში განმარტა, ისინი ქართულმა დელეგაციამ ორი მოსაზრების გამო არ გაიზიარა.

— ერთი იყო ის, რომ ზოგიერთი რეკომენდაცია შინაარსობრივად არასწორ ინფორმაციას მოიცავდა. შესაბამისად, არასწორი ფორმულირების გამო მისი მიღება ან თუნდაც განხილვა, არ შეგვეძლო. მეორე ტიპის პრობლემა იყო ის, რომ იყო ანგაჟირებული, არაკორექტული რეკომენდაციები. მაგალითად, იყო ასეთი რეკომენდაცია, რომელიც მოუწოდებდა საქართველოს, უმცირესობებისგან „მტრის ხატი“ არ შეექმნა. საქართველოში უმცირესობებისგან „მტრის ხატის“ შექმნა, როგორც არსებული რეალობა, ისე იყო წარმოჩენილი და ამ რეკომენდაციას, ბუნებრივია, არ მივიღებდით, — განაცხადა კაპანაძემ.

მისივე თქმით, საქართველოში ეს პრობლემა არ არსებობს და მის გამოსწორებაზეც შესაბამისად საუბარი ზედმეტი იყო.

კიდევ ერთი რეკომენდაცია, რომელიც საქართველომ არ გაიზიარა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წინასწარი დაკავების 90 დღიანი ვადის 60 დღემდე შემცირებას გულისხმობს.

— ამ კონკრეტულ რეკომენდაციას არ დავეთანხმეთ იმიტომ, რომ ჩვენთან საერთაშორისო პრაქტიკის მსგავსი პრაქტიკა მოქმედებს. ძალიან ბევრ სახელმწიფოში ასეთივე, თუ არა უფრო ხანგრძლივი დაკავების ვადები არსებობს. ჩვენ არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, რომ ამ ეტაპზე ასეთი ცვლილება განხორციელდეს, — აღნიშნა კაპანაძემ.

მისივე თქმით, ყველა დანარჩენი რეკომენდაცია სერიოზულად განიხილეს. როგორც აღვნიშნეთ, გაეროს 163 რეკომენდაციიდან 96 ქართულმა მხარემ ადგილზევე მიიღო, 5 უარყო, დარჩენილი ნაწილის მისაღებად კი დრო ითხოვა.

— ეს რეკომენდაციების ის ნაწილია, რომლებიც საკანონმდებლო ცვლილებებს და გარკვეული ნაბიჯების გადადგმას გულისხმობს. რამდენიმე თვე გვაქვს იმისთვის, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით ქვეყანაში კონსულტაციები გავმართოთ და საბოლოო პასუხი ვაცნობოთ გაეროს, — განაცხადა კაპანაძემ.

ამასთან, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში არის ნათქვამი, განხილვისას დადებითად იქნა შეფასებული საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით განხორციელებული პროგრესი, თუმცა ამავდროულად ის საკითხებიც აღინიშნა, რომელთან დაკავშირებითაც, ზოგი ერთი სახელმწიფოს შეფასებით, შემდგომი განვითარების პოტენციალი კვლავ არსებობს.

— საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მადლობას უხდის ყველა იმ სახელმწიფოს, რომელმაც კონსტრუქციულ ვითარებაში საკუთარი მოსაზრებები და რეკომენდაციები დააფიქსირა იმ მიზნით, რომ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით საქართველოში მდგომარეობა ნამდვილად გაუმჯობესდეს. საქართველო, თავის მხრივ, ყველა ღონეს იხმარს, რათა გაითვალისწინოს ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც რეალურად გააუმჯობესებს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის გზით. სხვა მრავალ საკითხთან ერთად საქართველოს დელეგაციამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებაც ისაუბრა. საუბარი ასევე შეეხო იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემებს და მათთვის უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისთვის პირობების შექმნის აუცილებლობას. განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდა უკანასკნელ პერიოდში რეგიონსა და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებზე, რომლის შედეგად დევნილი მოსახლეობის საკუთრების უფლება ილახება, — ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

სამინისტროს ინფორმაციით, დიალოგის მსვლელობისას რუსეთის ფედერაცია ორჯერ შეეცადა, პროვოკაციული განცხადებების გზით ფორუმის პოლიტიზაცია მოეხდინა. აღნიშნულ განცხადებებს პასუხი საქართველოს დელეგაციამ და სხდომის თავმჯდომარემ გასცეს, რომელმაც შეხვედრაზე მყოფ სახელმწიფოებს მოუწოდა, თავი შეეკავებინათ არარელევანტური პოლიტიკური განცხადებებისგან.

რუსეთის ფედერაციის განცხადებებს გამოეხმაურა ასევე ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს რეგიონების რუსეთის მიერ ოკუპაციის გამო საქართველოს მთავრობა ამ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვას ვერ ახერხებს.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი განცხადება გააკეთა ასევე ავსტრალიის დელეგაციამ, რომელმაც რუსეთს მოუწოდა, პატივი სცეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას და საქართველოს ტერიტორიებზე სტაბილურობის შესახებ საერთაშორისო დისკუსიებში კონსტრუქციულობა გამოიჩინოს.

ამ ფონზე რუსულ ფაქტორს თავი რომ დავანებოთ, მოძრაობის „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ლიდერ ეკა ბესელიას ადამიანის უფლებების დაცვის საკითხზე გაეროს მიერ საქართველოსთვის მიცემული 100-ზე მეტი რეკომენდაცია დამსახურებულად მიაჩნია.

— ცხადია, საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით უმწვავესი პრობლემებია. შესაბამისად, ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად აკრიტიკებენ საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო სტრუქტურები. შემთხვევითი არ არის გაეროს 163 რეკომენდაცია, რომლითაც ფაქტობრივად მწვავედაა გაკრიტიკებული საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი, — განუცხადა ბესელიამ „ჯი-ეიჩ-ენს“.

ის „ცინიკურად“ და „უპასუხისმგებლოდ“ აფასებს ქართული მხარის მიერ იმ რეკომენდაციის შესრულებაზე უარის თქმას, რომელიც ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი პატიმრობის 90-დღიანი ვადის შემცირებას ეხება.

— ცინიკური და უპასუხისმგებლოა ქართული მხარის მტკიცება, რომ არ უნდა შემცირდეს ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი პატიმრობის 90-დღიანი ვადა. ანალოგიური რეკომენდაციები ჰქონდა ვენეციის კომისიას. ამით ხელისუფლება აღიარებს, რომ რეპრესიული პოლიტიკის გატარებაზე უარს არ ამბობს. კრიტიკას ვერ უძლებს პატიმართა რაოდენობის ზრდა და მათდამი მოპყრობის სისასტიკე. საქართველო მსოფლიოში სამეულშია პატიმართა რაოდენობის მიხედვით. ხოლო სასამართლოს პოლიტიზირების დამადასტურებელია 2010 წელს გამამართლებელი განაჩენების 0,01 პროცენტი, — განმარტავს ეკა ბესელია.

# ოპოზიციამ ეროვნული მხარდაჭერა ვერ გამოიყენა

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***— ასეთ ვითარებაში ქართულ საზოგადოებას რა შეუძლია?***

— საზოგადოებამ ერთსა და იმავე ტენდენციას წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს, დაძლიოს გაბატონებული წინააღმდეგობები და დილემები. ახლა სერბეთში ძალიან საინტერესო პროცესია. გუშინ წინაც კი 90 ათასი კაცი გამოვიდა ბელგრადში და ხელისუფლების გადაყენება მოითხოვა. სერბეთის კოალიციურმა ოპოზიციამ მთავრობას ულტიმატუმი წაუყენა და გადადგომისთვის ორთვიანი ვადა მისცა. თუ არა და სახელმწიფო დაუმორჩილებლობით იმუქრებიან. ანალოგიური პრობლემები არის ჩვენთან და ანალოგიურ სცენართან გვაქვს საქმე, ანუ ერთი და იგივე პრობლემები გვაქვს.

***— სერბეთის დღევანდელი ხელისუფლება უფრო პროდასავლურად მიიჩნევა?***

— პროდასავლურად მიიჩნევა, მაგრამ მთლად ისეთი არ არის, როგორიც ჩვენი ხელისუფლება. ჩვენი ხელისუფლებისაგან განსხვავებით, როდესაც დანაშაულებრივად ჩამოაჭრეს კოსოვო, ჰააგაში სარჩელი შეიტანეს იმ ავტორების წინააღმდეგ, ვინც ეს მოიმოქმედა. ყოველ შემთხვევაში, ისტორიულად, იურიდიულად და სამართლებრივად არ დაუთმიათ და არც დათმობენ. ეს არის ეროვნული თანხმობის შედეგი სერბეთში. ჩვენთან ამ იდეის დაცვა ასეთი წარმატებით, ასეთი სერიოზულობით და პასუხისმგებლობით არ ხდება. საქართველოში პირიქითაა. ოკუპაციის სტატუსს რომ ანიჭებ, როგორ შეიძლება საოკუპაციო ფირმებისთვის საწარმოების, სტრატეგიული ობიექტების მიყიდვა და მათ სატელიტ ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების გაფორმება? ფაქტობრივად, ეს არის ქვეყნის ჩაბარება. ჩვენი ხელისუფლების ეს ქმედებები აბსოლუტურად განსხვავდება იმისაგან, რაც, მაგალითად, თავის დროზე ფინეთმა აირჩია სტალინის მიმართ. თვითონ სტალინმაც შემდეგ დაუფასა მათ ეს. შემდგომში ფინეთი საბჭოთა კავშირისა და რუსეთისთვის გახდა ნომერ პირველი თუ არა, ერთ-ერთი უმთავრესი სტრატეგიული პარტნიორი იმიტომ, რომ ფინეთმა დაიცვა თავისი ღირსება. ვინც თავის ღირსებას იცავს, მას ანგარიშს უწევს ულმობელი მტერიც კი. სამწუხაროდ, ჩვენ ღირსება არ აღმოგვაჩნდა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადრე თუ გვიან რაღაცას მოვახერხებთ.

***— თქვენ ალბათ გაეცანით „ვიკილიქსის“ მასალებს. ერთ-ერთ დოკუმენტში ამერიკის ელჩმა სააკაშვილს ირონიით „დიდი საქმეების“ მაძიებელი უწოდა, როდესაც 1000 ინგლისურის მასწავლებლის ჩამოყვანა გადაწყვიტა... ირონიით იყო ნათქვამი, მაგრამ სააკაშვილის „დიდი საქმეები“ ქვეყანაზე უარყოფითად აისახება.***

— რა თქმა უნდა. აქ ახალი არაფერია. ნებისმიერი ადამიანი, ნებისმიერი ჯგუფი, რომელიც საქართველოს ხელისუფლებაში უნდა მოვიდეს, ან ქვეყნის სუვერენიტეტი უნდა გაყიდოს, ან კომპრომისების ზღვარს უნდა გადააბიჯოს. თვითონ ქართულმა საზოგადოებამ, პოლიტიკურმა ელიტამ, საზოგადოებრივმა ელიტამ ვერ დაადგინა, სად გადის დათმობათა ზღვარი ქართული სუვერენიტეტის და სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით. სანამ ეს არ დადგინდება, მანამ ყოველთვის ასეთ მდგომარეობაში ვიქნებით.

***— სააკაშვილის „დიდ საქმეებში“ რამდენიმე ინიციატივა შედის. კერძო, ინგლისურენოვანი (ახლა მსოფლიოს ყველა ენოვანი) მასწავლებლების ჩამოყვანა, ბურების ჩამოყვანა და ელექტრომანქანების შესყიდვა...***

— სააკაშვილი ქართული სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების იგნორირებას ახდენს. ქართული სახელმწიფო არის ეროვნული და სახელმწიფო ინტერესების თანაარსებობა ჰარმონიაში. თუ ერთი საწყისი არ არის, მაშინ არის ანტიეროვნული და უსახური ქვეყანა. თუ მეორე საწყისი არ არის, მაშინ ან დიქტატორულია, ან ავტორიტრული. ჩვენში ეს ორი საწყისი, საუბედუროდ, იგნორირებულია და მათ შორის კავშირი ვერ დამყარდა. ვერც საზოგადოება მივიდა ამ თანხმობამდე. სანამ ეს საკითხი ფორმულისა და აუცილებლობის სახით არ ჩამოყალიბდება, მანამ გარე ძალები ყოველთვის აპამპულებენ და აბურთავებენ აქ არსებულ ხელისუფლებას.

***— არა მგონია გარე ძალები აბურთავებდნენ სააკაშვილს. მგონი, პირიქითაა. მათგან იმდენ ფულს ღებულობს, იმდენად ისქელებენ საქართველოში ჯიბეებს მან და მისი მეგობრები და თან იმდენ ხანს რჩებიან ხელისუფლებაში, რომ გაპამპულებული ქართველი ხალხი გამოდის.***

— რა თქმა უნდა, მაგრამ, თავისთავად, ამხელა ანტაგონიზმი, ამხელა წინააღმდეგობა და ისტორიული ვერდიქტი, რომელიც ქართველმა ერმა გამოუტანა სააკაშვილს, პასუხია დანაშაულებრივი ქმედებებისა. 200 ათასი კაცი სტადიონზე რომ შეიკრიბება და შენი გადადგომის მოთხოვნით გამოვა, რაც არ უნდა ადამიანმა თავისი თავი მოიტყუო და თავისი ილუზიები შეიქმნა, ცხადზე ცხადია, რომ ქართველმა ერმა შენ უნდობლობა გამოგიცხადა. როგორ აფორმებ ამას და როგორი მაქინაციებიც ცდილობ ამის გადაგორებას, ეს სხვა საკითხია. თითოეულმა მათგანმა ხომ იცის, რომ ისტორიული განაჩენი გამოტანილია. უბრალოდ, ჩვენს ცხოვრებაში ამის რეალიზაცია ვერ ხდება. როდესაც ადამიანი მსახური არ არის და ძალა არ შესწევს, მაშინ, ბუნებრივია, გაპამპულებულია. მატერიალური ინტერესის მხრივ, გეთანხმებით.

***— რაც სააკაშვილს უნდა, აკეთებს. ამას წინათ პირდაპირ ეთერში დასმულ კითხვაზე, მომავალ ხელისუფლებაში დარჩენაზე ფიქრობდა თუ არა, უპასუხა, გვაცალეთ, ბატონოო, ანუ მან ოპოზიციას ერთგვარი მესიჯი გაუგზავნა...***

— სააკაშვილი თავიდან ბოლომდე დგას ოპოზიციის უნიათობაზე. როგორც კი ამას გამოაცლი, ძალაც გამოეცლება და პედიესტალიც.

***— ოპოზიციის უნიათობა რაში გამოიხატება?***

— ოპოზიციამ ეროვნული მხარდაჭერა ვერ გამოიყენა და ქართველი ხალხის თანამონაწილეობა პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებში ვერ უზრუნველყო. შემდეგ ბიზნესსაქმიანობაზე გადავიდა. ოპოზიციის რიგი წარმომადგენლები ხელისუფლებისაგან უზარმაზარ ფულად დახმარებას ღებულობენ და მასთან შეხმატკბილებული არიან. თითქოსდა სააკაშვილი არ უნდათ. სინამდვილეში რეალური ცხოვრება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან და პრეზიდენტის ფონდიდან ფინანსდებიან. ვისაც სურვილი აქვს ჩაიხედოს დოკუმენტებში და ეს მასალებში გამოიძიოს.

# სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი აღარ არის

## რატომ შეგვყავს ავღანეთში დამატებითი კონტინგენტი

**მიუნხენის საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით ჩვენი პრეზიდენტიც გამოვიდა. მიხეილ სააკაშვილმა მთელი მსოფლიოს გასაგონად ამაყად განაცხადა, ავღანეთში დამატებით ძალებს გავაგზავნიო. ამის გამო მოჯაჰედები აი შეშინებულან. სამაგიეროდ, მშობლიური ოპოზიცია გადაირია, რაღა დროს ავღანეთიაო.**

თეა მარხვაი ე



რატომ მიერეკება თავისას სააკაშვილი, რატომ არ შეიძლება რევოლუცია და რას ემსახურება განცხადება ავღანეთთან დაკავშირებით, ამის შესახებ ხალხის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ალეკო შალამბერიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ალეკო შალამბერიძე:**

— ჩვენი პრეზიდენტი პოლიტიკას ჩამორჩა. კონფერენციაზე ყარზაი დაინახა და იფიქრა, არიქა, მეშველაო. რაკი ავღანეთის პრეზიდენტი ნახა, ეგონა ამ თემებზე იქნებოდა საუბარი. ისე უხერხულია, როცა სააკაშვილი საერთაშორისო უსაფრთხოებაზე საუბრობს. ეს ის კაცია, რომელიც საკუთარ მოქალაქეებს უქმნის საფრთხეს. მან კი მარტო უსაფრთხოებაზე საუბარი არ იკმარა და მსოფლიოს დაპირდა, დამატებით ჯარებს შევიყვან ავღანეთშიო. ამ დროს გამოვიდნენ სხვა ქვეყნების წარმომადგენლები და თქვეს, რომ ჯარების გამოყვანას იწყებენ. ბევრ ქვეყანას ეს პროცესი უკვე დაწყებული აქვს. ამას კიდევ პირიქით შეჰყავს.

***— თუ ყველა ქვეყანას გამოჰყავს ჯარები და ჩვენ შეგვყავს, გამოდის, რომ ჩვენს ხარჯზე უნდა მოხდეს ავღანეთის პრობლემის გადაწყვეტა.***

— ჩვენს ხარჯზე ამ საკითხის გადაწყვეტა ვერ მოხდება. ამისთვის ჩვენ ძალიან პატარა ერი ვართ. ჩვენი სამხედრო კონტინგენტი ავღანეთს ვერ ეყოფა. რაღაც ამინდი რომ შევქმნათ, მაშინ მთელი საქართველო უნდა წავიდეთ ავღანეთში.

***— როგორც ამბობენ, საქართველოში 40 ათასი ბურის ჩამოსახლებას აპირებენ და ჩვენი ადგილი აქ აღარ იქნება. უკეთესი ხომ არ იქნებოდა ახლავე წავსულიყავით ყველანი ავღანეთში?***

— შეიძლება მართლაც მოგვიწიოს ავღანეთში გადასახლებამ. ამათ ისე აიწყვიტეს ბურებთან დაკავშირებით, რომ მგონი ჩვენი ადგილი მართლა აღარ დარჩება. ამ თემით ასეთი დაინტერესება იმის შედეგია, რომ სააკაშვილს წარმოდგენა არ აქვს საგარეო პოლიტიკაზე. ბურების ჩამოსახლებასთან დაკავშირებით ბევრი ვერსია არსებობს. მე ჩემი ვერსია მაქვს, რომელიც სხვებისგან განსხვავდება.

***— რა ვერსია გაქვთ?***

— საქართველოში განვითარებულ მოვლენებს თუ გადავხედავთ, ჩემი ვერსია ყველაზე ლოგიკურია. სააკაშვილი საქართველოს მოქალაქეებს დაერია და აწიოკებს. ყველა ცდილობს თავს უშველოს და აქედან გაიქცეს. ასე თუ გაგრძელდა, მალე საქართველოში არავინ აღარ დარჩება. სააკაშვილს კი არ შეუძლია თუ ხალხს არ აწიოკებს. ამიტომაც ჩამოჰყავს ბურები. ჩვენთან რომ გაასწორებს ანგარიშს, მერე იმათ დაერევა. იმის იმედი არა მაქვს, რომ ბურები „ახალ თაობას“ წაიკითხავენ, მაგრამ თქვენი გაზეთის საშუალებით ვთხოვ, არ ჩამოვიდნენ საქართველოში. სააკაშვილი მათაც დააწიოკებს.

***— ბურები, ისევე, როგორც პრეზიდენტის მეუღლე, ჰოლანდიელები არიან. იქნებ სააკაშვილი ცოლეურებს არ დაერიოს?***

— სააკაშვილი მათი სიძე გამოდის. კახელები კი ამბობენ, რომ სიძე ისევე არ ითვლება ნათესავებში, როგორც ტარხუნა მწვანილში. ჰოდა, რაკი ასეა, დაერევა ცოლეურებს. ჩემი ბედის, უფრო ზუსტად, უბედობის ამბავი რომ ვიცი, ისევ მე და ლაშა ჩხარტიშვილს მოგვიწევს მათი უფლებების დაცვა. ბურებს კი დავიცავ, მაგრამ ამ სააკაშვილს რა ვუყო? კაცი მთლიანად ამოვარდნილია პოლიტიკიდან.

***— რას ნიშნავს ამოვარდნილია პოლიტიკიდან?***

— იმას, რომ აზრზე არ არის რა ხდება. მას მარტო სამარშრუტო ტაქსები, ყვითელი ავტობუსები, სასტუმროები და ტურიზმი შერჩა. არადა, ტურიზმის მარცხი გამოჩნდა ტუნისში, ეგვიპტეში. ჩვენი არ იყოს, ეგენიც ტურმიზმით ცხოვრობდნენ. ჩვენ ჯერ არ ვცხოვრობთ ტურიზმით, მაგრამ სააკაშვილი გვპირდება, რომ საქართველოს ტურიზმი გადაარჩენს. ერთი ეგვიპტე გადაარჩინა ტურმიზმმა და მეორე ჩვენ გადაგვარჩენს. იმედი მაქვს, ჩვენთანაც იგივე მოვლენები არ განვითარდება, რასაც ტუნისსა და ეგვიპტეში ჰქონდა ადგილი.

***— ოპოზიციის დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ აქაც იგივე მოხდება. თქვენ კი იმედს გამოთქვამთ, რომ მსგავსი არ მოხდება.***

— როცა ჩემი კოლეგები ამბობენ, რომ მოვლენები მსგავსი სცენარით გავითარდება, მხედველობაში ხელისუფლების შეცვლა აქვთ. ქაოსი და არეულობა არავის არ სურს. ხელისუფლების შეცვლა მეც მინდა და ამიტომ ვდგავარ დღე და ღამე ქუჩაში. ოღონდ, მე მინდა, რომ ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალოს. რევოლუციურად ხელისუფლების შეცვლა ცუდ შედეგებს იძლევა. რევოლუცია რომ კარგის მომტანი არაა, ეს ქართველებზე უკეთ არავის მოეხსენება. ამ წლების განმავლობაში რამდენიმე რევოლუცია გადავიტანეთ. რევოლუციების მწარე შედეგებს დღემდე ვიმკით. ჩვენ უნდა მივაღწოთ იმას, რომ ამ 21 წლის განმავლობაში ხელისუფლების ცვლილება მოხდეს არჩევნების გზით. სააკაშვილის დარდი ნამდვილად არა მაქვს. მე მოსახლეობა მადარდებს. რევოლუციები კი პირველ რიგში მოქალაქეებს აზიანებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსებს ჩვენი ორი რეგიონი აქვთ ოკუპირებული. არც ის დაგვავიწყდეს, რომ კონფლიქტური კერები სწორედ რევოლუციების შემდეგ გაჩნდა.

***— თქვენი აზრით, ეს ტერიტორიები რევოლუციებმა დაგვაკარგვინა?***

— ეს ჩემი აზრი არ არის. ეს არის რეალობა. 1992 წლის გადატრიალების შემდეგ ჩვენ დავკარგეთ აფხაზეთი. 2003 წლის რევოლუციის შემდეგ დაიკარგა ქსნის, დიდი და პატარა ლიახვის და კოდორის ხეობები. აქ თუ კიდევ რამე მოხდა, ტერიტორიებს ისევ დავკარგავთ. ამიტომ ჩვენი ამოცანა ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლაა.

***— თქვენ მართლა გჯერათ, რომ არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა შეიძლება?***

— არჩევნებს გააჩნია. ჩვენ ისეთი მექანიზმები უნდა მოვიფიქროთ, რომ ხელისუფლებამ ველარ შეძლოს არჩევნების გაყალბება.

***— ეს თუ ვერ შეძელით?***

— მაშინ ხელისუფლების შესაცვლელად მხოლოდ ერთი გზა რჩება.

***— რა გზა?***

— რევოლუციის გზა, რომელიც მისასალმებელი არ არის. თან რევოლუცია ადვილი მოსაწყობი არ არის. ყველანი ვუყურებთ, რამდენი ხალხია ეგვიპტეში გამოსული. მათი პრეზიდენტი კი ჯიუტობს და ვირზე ზის, როგორც სააკაშვილი.

***— ჩვენი პრეზიდენტი თვითმფრინავზე ზის.***

— ვირზე ზის, ვირზე! და იმიტომ ზის, რომ თვითმფრინავიდან არ ჩამოვიდეს. ამით ის ძალიან ჰგავს თავის სულიერ ძმასა და უფროს კოლეგა მუბარაქს. ამ პირობებში სააკაშვილის შეცვლა შეუძლებელია. მნიშვნელობა არა აქვს, ქუჩაში რამდენი ხალხი გამოვა. 300 ათასი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში და სააკაშვილი არ გადადგა. შედეგის მიღწევა თუ გვინდა, მასზე ყველა პოლიტიკურმა ძალამ ზეწოლა უნდა მოვახდინოთ. ჩვენ არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას უნდა მივაღწიოთ. ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ დევნილები, გარემოვაჭრეები, ვეტერანები, ექიმები და მასწავლებლები დააწიოკონ. ყველაფერთან დაკავშირებით პროტესტი უნდა გამოვთქვათ.

***— პროტესტი ბევრჯერ გამოხატეთ, მაგრამ დევნილებიც დაჩაგრეს, ექიმებიც, მოვაჭრეებიც, ვეტერანებიც და მასწავლებლებიც.***

— დაჩაგრეს იმიტომ, რომ ქვეყანაში ტოტალიტარული რეჟიმია. მიხეილ სააკაშვილი არის ტირანი. ტირანიასთან გამკლავება კი ძალიან რთული საქმეა. ამასთან, ჩვენ გვაქვს სოლიდარობის პრობლემაც. დღეს ადამიანები დაქსაქსულები არიან. დევნილებიც კი არ არიან ერთმანეთის მიმართ სოლიდარულები. არადა, ისინი ყველანი ერთი პრობლემის წინაშე დგანან. მათ დაქსაქსვაზე ხელისუფლება სერიოზულად მუშაობს. კობა სუბელიანის, ამ პატარა სააკაშვილის, ვერაგობას საზღვარი არა აქვს. ის დევნილებს აშანტაჟებს. ამის გამო ვერ ახერხებენ დევნილები ერთმანეთის გვერდით დადგომას. დევნილს რომ დააშანტაჟებ, როგორ შეიძლება ამის შემდეგ ადამიანი გერქვას. მით უმეტეს, აღარ გაქვს უფლება, ლტოლვილთა მინისტრი იყო. სუბელიანის ადგილი სხვაგანაა. მას ამ ადგილზე აუცილებლად გავუშვებთ, მანამდე კი შეუძლია მაკკეინის ფან-კლუბის დირექტორი იყოს. ადამიანები ერთმანეთის გულშემატკივრები უნდა გახდნენ. სხვისი ჭირი თავისად უნდა მიიღონ. სოლიდარულნი თუ ვიქნებით, სააკაშვილს იოლად დავამარცხებთ. სწორედ ამ თემაზე ჩავატარეთ ჩვენ გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია. ჩვენ საქართველოს მოქალაქეებს მოვუწოდებთ, რომ ერთმანეთის მიმართ ვიყოთ სოლიდარულნი. მე იმედი მაქვს, რომ ამ მხრივ ვითარება შეიცვლება. სხვა გზა ჩვენ, უბრალოდ, არ გვაქვს. ჩვენ პრეზიდენტი აღარ გვყავს.

***— მაშ სააკაშვილი ვინაა?***

— რა ვიცი ვინაა. პრეზიდენტი ნამდვილად აღარ არის. სულ დაფრინავს. ქვეყნის ბედი საერთოდ არ ადარდებს. მით უმეტეს, არ ადარდებს ადამიანების წინაშე არსებული პრობლემები. ამ პრობლემების მოსაგვარებლად ჩვენ უნდა დავირაზმოთ. თუ ერთმანეთის მიმართ სოლიდარულები არ ვიქნებით, არაფერი არ გამოვა. მე მესმის, რომ ადამიანებს იმედები ბევრჯერ გაუცრუვდათ. ეს ხომ წარსულში იყო. აწმყოში მოდით სხვანაირად ვიმოქმედოთ. ვის დაჩაგვრასაც მოინდომებს ხელისუფლება, ყველა მათ გვერდით დავდგეთ. სოლიდარობა თუ იქნა, ტირანია ვერაფერს გააწყობს. ამის პარალელურად ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ნორმალური საარჩევნო გარემოს შექმნაზე. როგორც თავში უკვე ვთქვი, დროა საქართველოში ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალოს.

# სომხები ბრაიზას წინააღმდეგ ერთიანდებიან

თეა მარხვაი ე

**ამერიკაში მცხოვრები სომხური სათვისტომოს განცხადებამ ჩვენი ოპოზიცია ცოტათი გაახარა. სომხური დიასპორა ჩვენთვის კარგად ნაცნობი მეთიუ ბრაიზას წინააღმდეგ გამოვიდა. ეს უკანასკნელი, ბუშის პრეზიდენტობის დროს ჩვენს ნაციონალებს სერიოზულად ლობირებდა.**

თუმცა ამერიკაში მცხოვრები სომხები ბრაიზაზე სულ სხვა რამის გამო არიან განაწყენებული. მათ ჩვენი პოზიცია და ოპოზიცია არაფერში ადარდებთ. მათ ის აწუხებთ, რომ ამერიკაში მცხოვრები სომხების აღმასრულებელი დირექტორი არამ ამბარიანი.

ვაშინგტონ თაიმს-ის ინფორმაციით, ამბარიანმა მადლობა გადაუხადა სენატორებს ბოკსერსა და მენენდეზას, რომლებმაც ბრაიზას დანიშვნას ვეტო დაადეს.

— ველოდებით, რომ სენატორები ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს, ამერიკულ ღირებულებებს დაიცავენ და ყველაფერს გააკეთებენ, რათა ბრაიზას დანიშვნა არ მოხდეს, — განაცხადა სომხური სათვისტომოს წარმომადგენელმა.

შეგახსენებთ, რომ 2010 წლის დეკემბერში, სენატის არდადეგების დროს, პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ თავისი კონსტიტუციური უფლება გამოიყენა და საკუთარი კანდიდატი აზერბაიჯანში ელჩად დანიშნა. თუმცა მანამდე ბრაიზას კანდიდატურას სენატში წინააღმდეგობა შეხვდა.



ბრაიზა აზერბაიჯანში ამერიკის ელჩად დაინიშნა. ამერიკელი სომხების მტკიცებით კი, ის ყარაბაღის საკითხის მიმართ არაობიექტურობას იჩენს.

სომხური გამოცემა „პანარმენიან.ნეტ“ გაზეთ ვაშინგტონ თაიმსზე დაყრდნობით იუწყება, რომ აშშ-ს სომხური სათვისტომო უკვე მეორედ აპირებს შეეწინააღმდეგოს მეთიუ ბრაიზას აზერბაიჯანში ელჩად დანიშვნას.

სომხური ლობი ამტკიცებს, რომ ბრაიზა აზერბაიჯანისადმი არაობიექტური დამოკიდებულების დემონსტრირებას ახდენს.

— პრეზიდენტმა ობამამ სომხებს კიდევ ერთხელ გაუცრუა იმედი, რომელმაც სომხური სათვისტომოსთვის მიცემული არც ერთი დაპირება არ შეასრულა. იმის მიუხედავად, რომ სენატორები მისი პარტიიდან ბრაიზას კანდიდატურის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ობამამ იგი აზერბაიჯანში ელჩად მაინც დანიშნა, — აცხადებს

აშშ-ს კანონმდებლობის თანახმად, საპარლამენტო არდადეგების დროს პრეზიდენტს უფლება აქვს, თავად მიიღოს ელჩების დანიშვნის გადაწყვეტილება.

იმის გათვალისწინებით, რომ სენატორება არ დაამტკიცეს ბრაიზას კანდიდატურა (ასევე, თურქეთში აშშ-ს ელჩის კანდიდატურა), პრეზიდენტმა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენა.

თუმცა, თუკი ამერიკის კონგრესის მომდევნო სესიაზე სენატი ელჩებს არ დაამტკიცებს, ისინი იძულებული იქნებიან, დატოვონ საკუთარი პოსტები. სესია 2011 წელს გაიმართება. ამიტომაც თეთრი სახლი არ დაელოდა სესიის დასრულებას და ბრაიზას კანდიდატურა ხელმეორედ წარადგინა. თუკი სენატორები მას მხარს დაუჭერენ, ბრაიზა გააგრძელებს აზერბაიჯანში თავის საქმიანობას და არ დაელოდება სენატის სესიის დასრულებას.

## აჭარის მაღალმთიანეთში მეწყერი ჩამოწვა

აჭარის მაღალმთიანეთში დიდთოვლობამ მეწყერი გამოიწვია. ქედასა და ხულოს რაიონებში მეწყერმა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი დააზიანა, დამეწყრილია საკარმიდამო ნაკვეთებიც. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ერთი ადამიანი დაკარგულია.

ქედის რაიონის გამგებლის, ირაკლი ბარამიძის თქმით, მეწყერის გამო ბათუმი-ახალციხის გზის მონაკვეთი ჩაიკეტა.

ქედის რაიონს გუშინ ქარიშხალმაც გადაუარა. თოვლის საფარი 20-25 სანტიმეტრს აღწევს.გზის გაწმენდ სამუშაოები მიმდინარეობს.

**ინტერპრესნიუსი**

## სტეფანწმინდაჰესის მშენებლობაზე ინტერესთა გამოხატვა გამოცხადდა

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ მცხეთა-მთიანეთის რაიონში მდინარე თერგზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ ინტერესთა გამოხატვა გამოაცხადა.

მისი მიზანია მდინარე თერგზე „სტეფანწმინდაჰესის“ მშენებლობის მიზნით პოტენციური ინვესტორების მოზიდვა, მათი წინადადებების განხილვა და საუკეთესო წინადადების მქონე ინვესტორის გამოვლენა.

„სტეფანწმინდაჰესის“ სავარაუდო დადგმული სიმძლავრე: 109 მგტ-ია. დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2011 წლის 1 მარტი

**მედიანიუსი**

## სოფელი მაღლაკი დაიტბორა

წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკში კოკისპირულმა წვიმებმა მდინარე ოღასყურას ადიდება გამოიწვია.

სულ დაიტბორა 200-მდე ეზო. მოსახლეობა სტიქიას თავად შეებრძოლა. ამ დროისათვის წყალტუბოში აღარ წვიმს. გუშინდელმა ავდარმა სოფელ მაღლაკში ელექტროენერგიის გათიშვაც გამოიწვია.

**ინტერპრესნიუსი**

# საქართველო სამშვიდობო კურსს არ გადაუხვევს

ნათია ხურცილავა

**საგარეო საქმეთა სამინისტროში ორშაბათის ტრადიციული პრესკონფერენცია მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ ჩაატარა. ჯალაღანიამ მიუნხენის 47-ე უსაფრთხოების საერთაშორისო კონფერენციაზე პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლაზე და ორმხრივ შეხვედრებზე ისაუბრა, რომელიც პრეზიდენტმა გამართა.**

ჯალაღანიამ ტრადიციულ პრეს-კონფერენციაზე ყურადღება გაამახვილა პრეზიდენტის მიუნხენის კონფერენციაზე გაკეთებულ განცხადებაზე.

მინისტრის მოადგილემ განსაკუთრებით გამოყო ქართული მხარის მიერ არჩეული სამშვიდობო კურსი, რომლის ერთგულად კვლავ რჩება საქართველო.

— პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ მოუწოდა საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ დაფიქრდეს იმ გამოწვევებსა და პრობლემებზე, რომელიც დაკავშირებულია ჩვენს რეგიონში ე.წ. გაყინულ კონფლიქტებთან. თუმცა, საქართველოს მაგალითზე მან აღნიშნა, რომ „გაყინული კონფლიქტები“ როგორ შეიძლება ცხელ, შეიარაღებული დაპირისპირების ფაზაში გადავიდეს. აღნიშნა პრევენციული როლი და საერთაშორისო საზოგადოების სიფხიზლის და ყურადღების მნიშვნელობაზე გააკეთა აქცენტი. ასევე ყურადღება გამახვილდა შეიარაღების ესკალაციაზე, შეიარაღების იმ სახეებზე, რომელიც ტაქტიკური დანიშნულებისაა, შეიძლება მოიაზრებოდეს არამხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ რეგიონის უსაფრთხოებისთვის სახიფათოდ, არამედ უფრო გლობალური მასშტაბით. პრეზიდენტმა განაცხადა, თუ ამას ახლა წავუყრუებთ, ეს შეიძლება საერთაშორისო, ცივილიზებულ საზოგადოებას კატასტროფის ფასად დაუჯდეს. მშვიდობიანი კურსის ერთგულია საქართველო, მაგრამ ახლა ჯერია მეორე მხარეზე, რომელმაც ანალოგიური ნაბიჯი უნდა გადადგას. ამაში დიდი როლი ენიჭება საერთაშორისო საზოგადოებას, ჩვენს პარტნიორ ქვეყნებს, რომ რუსეთი დაარწმუნონ დიალოგზე წამოსვლაში, — განაცხადა ჯალაღანიამ.

ჯალაღანიამ ასევე ისაუბრა აისაფის პროგრამაში ქართული არმიის მონაწილეობაზე. ავღანელი ხალხის დახმარებაზე, რომ საქართველომ გაუზიაროს თავისი გამოცდილება პოლიციის რეფორმირების სფეროში, ეკონომიკის რეფორმირების კუთხით და სამხედრო სფეროში ტრენერების გაგზავნის შეთავაზებაზე.

დავით ჯალაღანიამ ასევე ისაუბრა გასულ კვირას საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძის პოლონეთში, ლუქსემბურგსა და ბრიუსელში ვიზიტზე, სადაც გაიმართა ევროკომისართან შეხვედრა.

ჯალაღანიას განცხადებით, შეხვედრებზე საუბარი შეეხო ლიბერალური სავიზო რეჟიმის ამოქმედებას ახლო მომავალში, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირთან ურთიერთობას გაუადვილებს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მიმდინარე კვირის დიპლომატიური და პოლიტიკური დღის წესრიგი გააცნო ჟურნალისტებს.

10-11 თებერვალს გრიგოლ ვაშაძე რუმინეთში გამართავს შეხვედრებს თავის რუმინელ კოლეგასთან.

11 თებერვალს საქართველოს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ეწვევა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ახმედ-დავით ოღლუ. შეხვედრები ბათუმსა და თბილისში გაიმართება.

ვიზიტის დროს, სავარაუდოდ, საუბარი შეეხება თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლების აღდგენა-რესტავრაციის საკითხს და სანაცვლოდ საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე მეჩეთის აღდგენის საკითხს.

აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში, ჯალაღანიას ინფორმაციით, მემორანდუმის გაფორმება აღნიშნულ საკითხზე არ იგეგმება. თუმცა, ის არ გამორიცხავს, რომ ეს საკითხი ქართულმა მხარემ წამოჭრას დიალოგის დროს.

— თურქეთთან ჩვენ გვაქვს ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი თანამშრომლობის საკითხების ფართო სპექტრი. შემიძლია ვივარაუდოთ, რადგან ეს ჯერ მხარეთა შორის შეთანხმებული არ არის, რომ ბატონი მინისტრი თავისი ვიზიტის ფარგლებში ამ თემასაც შეეხოს ან ქართულმა მხარემ დააყენოს ეს საკითხი, რამდენადაც ეს აქტუალური თემაა ორივე ქვეყნისთვის, — განაცხადა ჯალაღანიამ.

ჯალაღანიას ინფორმაციით, 11 თებერვალს საქართველოში ნატოში ინტეგრაციის კოორდინაციის სახელმწიფო კომისიის მიერ მოხდება წლიური ანგარიშის წარდგენა ოფიციალურად ნატოს შტაბბინაში და ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ნატოს შტაბბინაში აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თორნიკე გორდაძე, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ეკა ტყეშელაშვილი და ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ელენე ხოშტარია.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, ვენაში გაიმართება ეუთოს უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობის ფორუმი, სადაც მონაწილეობას მიიღებს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ნიკოლოზ ვაშაკიძე.

კვირის ბოლოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია საუდის არაბეთში გაემგზავრება ვიზიტით. მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, ეს არის პირველი კონსულტაცია ორ ქვეყანას შორის დიპლომატიურ დონეზე.

დავით ჯალაღანიამ ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. ერთ-ერთი კითხვა ამერიკის რესპუბლიკელი სენატორების ინიციატივას ეხებოდა.

ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკელი სენატორები გამოვიდნენ ინიციატივით, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები თურქეთის ნაცვლად საქართველოს ტერიტორიაზე განთავსდეს. რამდენად რეალურია სენატორების აღნიშნული ინიციატივის შესრულება ვაშინგტონის მხრიდან, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ასე პასუხობს:

— ეს არის ოთხი ამერიკელი სენატორის ინიციატივა, რომელიც მიმართულია პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ხელმძღვანელების მიმართ. პოლიტიკური და სამთავრობო სტრუქტურების გადასაწყვეტია ეს საკითხი. ეს არის სულ ახლახან გაჟღერებული ინიციატივა, ამიტომ ვერ გეტყვით, რამე კონკრეტული პოზიცია აქვს საქართველოს მხარეს ჩამოყალიბებული ან რამე სტრატეგიულ გეგმებზე იყოს საუბარი. ეს არის საინტერესო და ყურადსაღები ინიციატივა ჩვენი, რეგიონალური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის კუთხით, — აცხადებს ჯალაღანია და დასძენს, რომ მასნაადრევად მიაჩნია აღნიშნულ საკითხზე კომენტარის გაკეთება.



ეგვიპტეში განვითარებულ მოვლენებსაც შეეხო მინისტრის მოადგილე.

— კაიროში განვითარებული მოვლენების პირველივე დღიდან საგარეო საქმეთა სამინისტრო მუდმივ კავშირზე იყო საქართველოს საელჩოსთან. საელჩოს თანამშრომლებს ერთი წუთით არ დაუტოვებიათ ეგვიპტის დედაქალაქი. რა თქმა უნდა, იყო კუმუნიკაციებში შეფერხებები, მაგრამ ჩვენ ვიყავით სხვადასხვა საშუალებებით კავშირზე. გახსნილია ცხელი ხაზი, რომელსაც შევინარჩუნებთ მანამ, სანამ მდგომარეობა არ დასტაბილურდება. ამჟამად საქართველოს მოქალაქეები კაიროში არ იმყოფებიან. თუ არ ჩავთვლით ჟურნალისტებს და სამ სტუდენტს, რომლებიც კავშირში იმყოფებიან საელჩოსთან. საელჩომ მოახერხა და დაიქირავა საელჩოსთან ახლოს, შედარებით უსაფრთხო ფართი, სადაც იმყოფებიან სტუდენტები და საელჩოს თანამშრომლები. ჩვენი ინფორმაციით, მორიგი ჩარტერული რეისი მიფრინავს შარმეხშეიხში, რომელიც ტურისტების ნაწილს იქ გადაიყვანს. მათ, ვინც უკან დაბრუნება გადაწყვიტა, ჩამოიყვანს, — განაცხადა დავით ჯალაღანიამ.

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საქართველო რუსეთის წინააღმდეგ საქმის განხილვის პირველი ეტაპი დასრულდა, რომელიც შეაჯამა მინისტრის მოადგილემ.

— ჩატარდა საკმაოდ ინტენსიური მუშაობა, დაიკითხა ბევრი მოწმე ორივე მხრიდან. ფაქტიურად რუსულ მხარეს არავითარი ხელშესახები არგუმენტი არ შერჩა. რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვანია და არა მხოლოდ მორალური გამარჯვებაა, არამედ პრაქტიული წინ გადადგმული ნაბიჯია. ამ ადამიანებს ეძლევათ შანსი, რომლებმაც დიდი ზიანი განიცადეს, კომპენსაცია მიიღონ. ასევე რუსეთის ამჟამინდელი ხელისუფლების ქსენოფობიური, ფაშისტური ელემენტებით გაჯერებული სახე დაინახა ცივილიზებულმა საზოგადოებამ, — აღნიშნა დავით ჯალაღანიამ.

# ლეიბორისტები ხელისუფლებას 2 500 000 ევროს გადახდას სთხოვენ

ნანა მიშელაშვილი

ლეიბორისტები სააკაშვილის ხელისუფლებას 2 500 000 ევროს გადახდას სთხოვენ. ლეიბორისტებმა უკვე აფრინეს სარჩელი ევროსასამართლოში და სააკაშვილის ხელისუფლებისგან 2 500 000 ევროს მოითხოვენ.

ოთხმა ლეიბორისტმა დეპუტატმა: შალვა ნათელაშვილმა, გიორგი გუგავამ, კახა ძაგანიამ და იოსებ შატბერაშვილმა პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე ოფიციალური წერილი გააგზავნა.

ლეიბორისტული წერილის შინაარსი გუშინ გახდა ცნობილი. წერილი პარლამენტის თავმჯდომარის სახელზეა გაგზავნილი, თუმცა, ის საჯარო წერილია, ამდენად, მისი შინაარსი ცნობილია.

4 ლეიბორისტის მიერ დაწერილ წერილში ნათქვამია, რომ 1999 წლიდან პარლამენტში ლეიბორისტების არშეშვებით პარტიისთვის მიყენებული სუფთა მატერიალური ზარალი შეადგენს 2 500 000 ევროს.

— ეს გაანგარიშება წარდგენილია ევროსასამართლოში და ამ თანხას აუცილებლად ამოვიღებთ სააკაშვილის კრიმინალთა ჯიბეებიდან. ასევე განვლილ პერიოდში თქვენმა პარლამენტმა უშრომლად შეიტყაპუნა ხელფასის სახით 35 500 000 ლარი, მივლინებებზე — 3 400 000 ლარი და სატელეფონო ხარჯებზე 1 500 000 ლარი, — აღნიშნავენ წერილში ლეიბორისტები.

ლეიბორისტების მიერ გაგზავნილი წერილის თაობაზე ბიუროს წევრებს თავად ადრესატმა, ანუ დავით ბაქრაძემ აცნობა. პარლამენტის თავმჯდომარეს ლეიბორისტების წერილზე კომენტარი არ გაუკეთებია. მან მხოლოდ ის თქვა, რომ მას ოთხმა ლეიბორისტმა წერილით მიმართა.

ლეიბორისტების მიერ დაწერილი წერილი „საქართველოს პარლამენტის წევრის“ ბლანკზეა და მას პირადად ნათელაშვილი, გუგავა, შატბერაშვილი და ძაგანია აწერენ ხელს. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ლეიბორისტული ოთხეული დავით ბაქრაძეს ოფიციალური წერილით მიმართავს.

წერილების გარდა, ლეიბორისტებს საკანონმდებლო ინიციატივებიც აქვთ. მართალია მათი საკანონმდებლო ინიციატივები პარლამენტის მიერ მიღებული არ არის, მაგრამ ლეიბორისტები ინიციატივას მაინც იჩენენ.

დავით ბაქრაძის მისამართით გაგზავნილ წერილში ლეიბორისტები ტელევიზიებზეც საუბრობენ. უფრო სწორად, ლეიბორისტები ტელევიზიების მიმართ კრიტიკას არ იშურებენ.

— რაც შეეხება თქვენს მონა ტელევიზიებს, რომლებიც ყოველი საპარლამენტო სესიის წინ აპიარებენ ჩვენი კანონიერი ხელფასის აღების ფაქტს, მათ შევახსენებთ, რომ არ ვაპირებთ ჩვენი თანხის ჩუქებას ზოგიერთი უსაქმური დეპუტატისთვის პრემიების სახით, — ნათქვამია ოთხი ლეიბორისტის წერილში.

ამასთან, ლეიბორისტები არც საგაზაფხულო სესიაზე დასწრებას აპირებენ. მას შემდეგ, რაც ეს პარლამენტი შეიკრიბა, ლეიბორისტები საკანონმდებლო ორგანოში არ შედიან. ისინი ამ ფაქტს პოლიტიკური ბოიკოტის რეჟიმით ხსნიან.

პოლიტიკური ბოიკოტის ფორმას პარლამენტის რეგლამენტი ცნობს. ამიტომაც ლეიბორისტებმა ამ ფორმას მიმართეს.

ლეიბორისტები პარლამენტში ფეხს არც წელს შედგამენ. ამის შესახებ მათ არაერთხელ თქვეს და ეს ფაქტი კიდევ ერთხელ საჯაროდ დააფიქსირეს.

დავით ბაქრაძეს ლეიბორისტების ოთხეული კიდევ ერთხელ ატყობინებს იმას, რომ ბოიკოტს აგრძელებენ.

— მთელი მსოფლიოსთვისაა ცნობილი, რომ თქვენმა პარტიის ლიდერმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ძალადობითა და მოსყიდვით, არჩევნების მასობრივი გაყალბებით მოახერხა საპარლამენტო ხელისუფლების უზურპაცია, რის გამოც ჩვენ, ხალხის მიერ არჩეულმა დეპუტატებმა, უარი ვთქვით დავმჯდარიყავით თქვენი უკანონო დეპუტატების გვერდით და კვლავ ვაგრძელებთ პოლიტიკურ ბოიკოტს პარლამენტის რეგლამენტის 135-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, — აღნიშნულია ოთხი ლეიბორისტის განცხადებაში.

პარლამენტში დღეს საგაზაფხულო სესია გაიმართება. მას ოთხი ლეიბორისტი კვლავინდებურად არ დაესწრება. ლეიბორისტების გარდა, პოლიტიკური ბოიკოტისთვის ამ პარლამენტში ჯერ არც ერთ დეპუტატს არ მიუმართავს.

## განჩინება
### საჯარო შეტყობინების შესახებ

საქმე №2/1261-08

04 მარტი, 2010 წელი — თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის

**მოსამართლე მაკა ჭედია**

**მოსარჩელე** — სს „ჯი პი აი ჰოლდინგი“

**მოპასუხეები:** დავით ნათაძე, ნუგზარ ფოცხვერაშვილი

**დავის საგანი:** რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურება.

განიხილა დავით ნათაძისა და ნუგზარ ფოცხვერაშვილის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილების საჯაროდ შეტყობინების საკითხი.

**გამოარკვია:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „ჯი პი აი ჰოლდინგის“ სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

მოპასუხეებს დავით ნათაძესა და ნუგზარ ფოცხვერაშვილს ვერ ბარდებათ საქმეში მითითებულ მისამართებზე გაგზავნილი სასამართლოს შეტყობინებები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია და მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან დავით ნათაძისა და ნუგზარ ფოცხვერაშვილის ადგილსამყოფელი უცნობია, მათ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე უნდა ეცნობოთ საჯარო შეტყობინებით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 78-ე, 284-285-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1. დავით ნათაძესა და ნუგზარ ფოცხვერაშვილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:

1.1 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „ჯი პი აი ჰოლდინგის“ სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

1.2. მოპასუხე ნუგზარ ფოცხვერაშვილს დაეკისრა სს „ჯი პი აი ჰოლდინგის“ სასარგებლოდ 2710 აშშ დოლარის ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში გადახდა;

1.3. მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა დავით ნათაძის ნაწილში არ დაკმაყოფილდა;

1.4. მოპასუხე ნუგზარ ფოცხვერაშვილს დაეკისრა მოსარჩელე სს „ჯი პი აი ჰოლდინგის“ სასარგებლოდ 276 ლარის გადახდა მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;

1.5. მოპასუხე ნუგზარ ფოცხვერაშვილს დაეკისრა მოსარჩელე სს „ჯი პი აი ჰოლდინგის“ სასარგებლოდ 280 ლარის გადახდა მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯის ასანაზღაურებლად;

1.6. განემარტათ მოპასუხეებს, რომ ამ გადაწყვეტილებაზე საჩივრის შემოტანა შეუძლიათ ამავე სასამართლოში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და აღარ გასაჩივრდება;

1.7. გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში მხარისათვის ამ გადაწყვეტილების ასლის გადაცემიდან 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში;

2. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

*მოსამართლე:* *მაკა ჭედია*

# პრეზიდენტი საქართველოსთვის საშიშ განცხადებებს აკეთებს

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ პოლიტოლოგ რამაზ კლიმიაშვილთან

***— პრეზიდენტი მიუხენის კონფერენციაზე გამოვიდა. როგორია თქვენი შეფასებები, რამდენად დაეხმარება მას ასეთ მძიმე მდგომარეობაში საერთაშორისო თანამეგობრობა?***

— დავიწყოთ იმით, რომ სააკაშვილმა, როგორც იქნა, რაღაც პატარა გაკვეთილი ისწავლა ერთ რამეში, რომ დაუპატიჟებელი აღარ ჩასულა მიუნხენში. პროფესიონალებს გვახსოვს, რომ 2 წლის წინ მიუხენში, იგივე კონფერენციაზე დაუპატიჟებელი ჩავიდა, დარბაზშიც კი არ შეუშვეს, დაცვას ძალის გამოყენება დასჭირდა. კორიდორში კი ბაიდენს რომ მიადგა, მან ზურგი შეაქცია. ეს ყველას მიერ არის დაფიქსირებული. ამჟამად კონფერენციის თემა იყო ავღანეთი, იმიტომ, რომ მოგეხსენებათ ამერიკას უნდა თავისი ჯარების გაყვანა ავღანეთიდან. როგორც ჩანს, ამასთან დაკავშირებით სააკაშვილი წინასწარ დაუკავშირდა მიუნხენის კონფერენციას, იმიტომ, რომ იქ პრეზიდენტები არ იყვნენ მიწვეულნი, არც ერთი პრეზიდენტი არ იყო. ეს არ იყო ქვეყნის პრეზიდენტის დონის კონფერენცია, იქ იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრები, თავდაცვის მინისტრები და ასე შემდეგ. სააკაშვილი კი მაინც ჩავიდა. კიდევ ერთ საკითხში აღმოვჩნდი მართალი, ბევრმა არ დამიჯერა, რომ ლისაბონში, ნატოს საიუბილეო სამიტზე ობამა რომ 5 წუთით შეხვდა სააკაშვილს, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სააკაშვილი ავღანეთში კონტინგენტის გაზრდას შეპირდა. სხვა მხრივ ობამა არ შეხვდებოდა სააკაშვილს, არავითარ შემთხვევაში არ დაელაპარაკებოდა. გუშინ გამოვიდა კიდეც სააკაშვილი და ტრიბუნიდან განაცხადა, რომ ის ავღანეთში კონტინგენტს ზრდის, რომელიც ისედაც სიდიდით მეორეა. არადა, გაეროს უშიშროების საბჭომ, მანდატი ავღანეთში მისცა ნატოს, ასე რომ, იქ, წესით, უნდა იყვნენ მარტო ნატოს წევრები. ჩვენ არა ვართ ნატოს წევრები და ვართ სიდიდით მეორე, ამერიკის შემდეგ. არალოგიკურია, სააკაშვილი თავისი სკამის გადარჩენას ცდილობს ქართველი ბიჭების ხარჯზე, რომელსაც სასაკლაოზე უშვებს. აი, ეს არის სიმართლე. სააკაშვილი იქ იყო მისული იმისთვის, რომ ერთი წინადადება ეთქვა, რომ გაზრდის ავღანეთში თავის ჯარებს. ჩემი აზრით, ალბათ გააასამაგებს. თუმცა მან ძირითადი ნაწილი დაუთმო თავის პროვოკაციულ გამოსვლას, დეტალურად ილაპარაკა იმ საკითხზე, რომელიც დღის წესრიგში არ ყოფილა, ანუ თავის ურთიერთობას რუსეთთან. მან თქვა, რომ რუსეთმა 2008 წელს თავის სტრატეგიულ მიზნებს ვერ მიაღწია. ეს არის ძალიან საშიში განცხადება საქართველოსთვის. მე კი სულ ვამტკიცებდი, რომ რუსეთს სჭირდებოდა სამხედრო ბაზები აფხაზეთში და მიაღწია კიდეც. იმედი მქონდა, რომ მეტი ომი აღარ იქნება, სააკაშვილი კი ამბობს საწინააღმდეგოს, რომ ვერაფერს ვერ მიაღწია რუსეთმა. ამით ის რუსეთის არმიას ეპატიჟება საქართველოში ეს ქართველმა ხალხმა უნდა გაიგოს თუ რა არის ამ პროვოკატორის არსი. რუსეთში საპრეზიდენტო კამპანია დაიწყო და ერთმანეთს დაუპირისპირდნენ პუტინი და მედვედევი. მედვედევი, რომელიც დასავლეთის მხარდაჭერით სარგებლობს, ის ომზე არ წამოვა და პუტინი, რომელსაც პირად შეურაცხყოფას აყენებს სააკაშვილი და ფაქტიურად ეპატიჟება, ეუბნება: თუ გინდა პრეზიდენტი გახდე, გადაუარე საქართველოს. ეს არის მესიჯი, რომელიც მე მოვისმინე და



ყველა დარწმუნდება, რომ მე სიმართლეს ვამბობ. ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ. ამისთვის კი ერთადერთი გზა არსებობს, სააკაშვილი თავიდან უნდა მოვიცილოთ. ის რაც ეგვიპტეში ხდება, ეს იმდენად ჰგავს საქართველოში მიმდინარე პროცესებს, რომ პრაქტიკულად ეს სცენარი დაწერილია იმისთვის, თუ ჩვენთან როგორ განვითარდება პროცესები.

***— რამდენად არის იმის შანსი, რომ ის რაც ეგვიპტეში ხდება, ჩვენთანაც განმეორდეს?***

— აბსოლუტურად იგივე შანსია. ჯერჯერობით ყველა ტელევიზორებსაა მიჩერებული, აინტერესებთ ეს რით დამთავრდება. მოგეხსენებათ, ეს დაიწყო ტუნისში, იქაც ანალოგიური სიტუაციაა ფასების მკვეთრი ზრდის გამო. სხვათა შორის, ფასები იქ გაცილებით ნაკლებად გაიზარდა, ვიდრე საქართველოში. ხალხი თავისი ინიციატივით გამოვიდა ქუჩაში, არანაირი ოპოზიციური პარტიები არაბულ ქვეყნებში არ არსებობს, იქ უბრალოდ ხალხი გამოვიდა და ხალხმა გააძევა. სწორედ ამის შემდეგ მოულოდნელად იწყება ეგვიპტეში, დომინოს პრინციპით. სხვათა შორის, არა მარტო ეგვიპტეში, დღეს მე უცხოურ პრესას რომ ვეცნობი, შეშინებულები სხედან მოსკოვშიც, თურქეთშიც, პეკინშიც. ყაზახეთში სასწრაფოდ შეცვალეს წესი პრეზიდენტის არჩევის, იმდენად შეშინდნენ. ყველგან შეშინებულები არიან, სადაც ავტოკრატული რეჟიმებია. გამოსვლები ბევრგან დაიწყო. ორი დღის წინ ალბანეთში გამოვიდნენ, გუშინ სერბეთში, მოკლედ, დომინოს პრინციპი მუშაობს და ყველაზე ხმაურიანი ეგვიპტის შემდეგ შეიძლება იყოს საქართველო და როგორიც იქნება, ამას ყველა ვნახავთ. როდესაც ვეცნობოდი უცხოურ პრესას, იქ შედარება მიდის ძირითადად ირანის რევოლუციასთან; რატომ? იმიტომ, რომ იქაცმუბარაკი იყო ამერიკის ფავორიტი. ასევე ირანის შაჰი იყო ამერიკის ფავორიტი. იქაც მიდიოდა სასწრაფო ვესტერნიზაცია. დღეს რა დღეშია ირანი, ხომ ვიცით, აბსოლუტურად 180 გრადუსით განსხვავებული. საოცრად ავტოკრატიული რეჟიმი იყო. ხალხი იქ გამოვიდა და ცეცხლი გაუხსნეს, დახოცეს. 40 დღის შემდეგ კიდევ გამოვიდა ხალხი, კიდევ დახოცეს, ასე მოხდა რამდენჯერმე და ბოლოს ვეღარ გაუძლო ირანის შაჰმა და ქვეყნიდან გაიქცა, მოხდა ისლამური რევოლუცია და სწორედ ამისი ეშინიათ დღეს ეგვიპტეში და ყველაზე მეტად მაინც ეშინიათ ისრაელში. მუბარაკის მთავარი კოვზირი რა არის, ის გამოდის და აცხადებს, მე მზად ვარ გადავდგე, ოღონდ დაიწყება ქვეყანაში ქაოსი და ისლამური ძალები მოვლენ ხელისუფლებაშიო. ამით მან მესიჯი გაუგზავნა დასავლეთს, არ გინდათ ხომ ისლამისტების მოსვლა ხელისუფლებაში, მაშინ სექტემბრამდე მაინც დავრჩები ხელისუფლებაშიო.

დღეს მსოფლიო პრესაში აქტიურად იხსენებენ ყველა სხვა რევოლუციებს, თუ როგორ მოხდა. მაგალითად, 1989 წლის ივნისში ჩინეთის დედაქალაქში უზარმაზარი გამოსვლები იყო სტუდენტების, რომლებიც მოითხოვდნენ დემოკრატიას. ასეთ დროს არმიის პოზიციაზეა დამოკიდებული ყველაფერი. არმია იქ დიდხანს იყო ნეიტრალური. ბოლოს, როდესაც პროვინციიდან ჩამოყვანილი არმია ჩაერია, ათასი სტუდენტი გაჟლიტეს. დღეს ამას ყველა ყურადღებას აქცევს თუ რა პოზიცია აქვს არმიას. ასევე დღევანდელი უცხოური პრესა იმასაც იხსენებს, 1989 წლის ბოლოს როგორ დაემხო კომუნისტური რეჟიმი, ერთი მეორეს მიყოლებით, ისევ დომინოს პრინციპით. ოღონდ იქ მოხდა ხავერდოვანი რევოლუციები რუმინეთის გარდა. დღევანდელ დასავლურ პრესას თუ ნახავთ, ყველგან რევოლუციების ისტორიაზე წერენ, ბუნებრივია, უახლესი რევოლუციების. ყველგან ხაზგასმულია, რომ ხალხის რაოდენობა წყვეტს ყველაფერს. ასევე არმიის პოზიციაზეც ბევრია დამოკიდებული.

***— ჩვენთან არმიასაც ხომ ხელისუფლება აკონტროლებს...***

— აი, ეს არის მთავარი, რომ არმია რა პოზიციას დაიკავებს ასეთ დროს, მაგრამ თუ ხალხი რაოდენობრივად ბევრი იქნება, ეს იქნება გადამწყვეტი. არმია ნეიტრალური რჩება მაშინ, როცა ხალხის რაოდენობა ბევრად აჭარბებს მას, თორემ ზონდერები ყოველთვის იქნებიან. დღეს დილით ცოტა შეიცვალა პოზიცია ეგვიპტეში, გამოჩნდა რაღაც ოპოზიცია, რომელიც დაუჯდა ხელისუფლებას და ელაპარაკება, ესეც მოსალოდნელი იყო. ჩვენ ასეთი ანალოგიები გვაქვს და რომ გვეყოლება, ისიც ვიცით. ეგვიპტეში ოპოზიციის ყველაზე რადიკალური ლიდერი არის ნობელის პრემიის ლაურეატი მუჰამედ ელ ბარადეი და მის გამოსვლას რომ ვუსმინე, მიუხედავად მისი რადიკალიზმისა, მისი პოზიცია ჩემი აზრით, ყველაზე სწორია. მან თქვა, რომ ის მოლაპარაკებაზე არ წავა პრეზიდენტთან, ვიდრე პრეზიდენტი არ გადადგება, მაგრამ მას არ უთქვამს სიტყვა, რომ ყველა უნდა წავიდეს. რეჟიმის დემონტაჟი მას არ უთქვამს, რადგან რეჟიმის დემონტაჟი შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიული არჩევნების გზით. ჩვენთანაც შესაძლებელია ანალოგიური, ოღონდ ჯერ სააკაშვილი უნდა წავიდეს, ვიდრე სააკაშვილი არ წავა, არავითარ დემოკრატიულ არჩევნებზე ლაპარაკი არ შეიძლება. როცა მოთხოვნები რადიკალურია, მაშინ რევოლუცია მიდის სისხლიანი გზით.

# რევოლუცია შეიძლება საქართველოშიც მოხდეს

შორენა გონგლა ე

## ინტერვიუ პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილთან

***— ბატონო ჰამლეტ, როგორია თქვენეული შეფასება პრეზიდენტის გამოსვლაზე, რამდენად დააკმაყოფილა პრეზიდენტის პასუხებმა საზოგადოების კითხვები?***

— დავიწყოთ იქიდან, რომ მოსახლეობის მიერ დასმელი კითხვები წინასწარ იყო მომზადებული და მთლიანად ეს კითხვა-პასუხი იყო დადგმული შოუ. მაგრამ თუნდაც ამ დადგმულ შოუში გამოჩნდა პრეზიენტის პოლიტიკის სიბერე, ანუ ის დაბერდა, მე არ ვამბობ, რომ ბიოლოგიურად, არამედ მენტალურად. პრეზიდენტი რომ დაბერდა, ეს ნათლად ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მისი პასუხები უკვე წინასწარ მომზადებულ კითხვებზე იყო აშკარად მიუღებელი საზოგადოებისათვის. თუ რა შეცდომები და სისულელეები თქვა ჩვენმა პრეზიდენტმა, ამის ჩამოთვლას არ დავიწყებ. რამდენიმეს ვიტყვი. პირველად აღსანიშნავია მისეული შეფასება ეკონომიკის წარმატებებთან დაკავშირებით, რომ საქართველო წარმატებული ქვეყანაა და მეორე ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით, მარცვლეულზე ფასების მატებასთან დაკავშირებით და ასე შემდეგ. პრეზიდენტმა უკბილოდ თქვა იმის თაობაზე, თუ რა იწვევს ფასების მატებას და რა იწვევს ინფლაციას. განსაკუთრებით პროდუქტებზე ფასების ზრდას, თურმე ეს ყველაფერი ყოფილა ჩინეთის ბრალი. მან ძალიან მარტივად ახსნა, რომ თავის დროზე ჩინეთი თურმე იყო მშიერი, მას არ ჰქონდა ლუკმაპური, მერე ჩინეთმა თურმე ნელ-ნელა დაიწყო ჭამა, მოძლიერდა და თქვენ წარმოიდგინეთ, თურმე ამ შეჩვენებლმა გამოიყვანა ისე, რომ რაც უნდა ეჭამა ქართველობას, ის შეჭამა ჩინელმა. ეს იმდენად პრიმიტიული და შეურაცხმყოფელი ახსნა იყო საზოგადოებისათვის, რომ ამაზე საზოგადოებამ უნდა გააკეთოს გადამჭრელი დასკვნები. ის, რომ სააკაშვილი ასე პრიმიტიულად აზროვნებს, არის საზოგადოების დანაშაული. საზოგადოებამ დაუშვა შეცდომა ექვსი წლის წინ, როდესაც საზოგადოებამ მიშა, მიშას ბლავილით მოიყვანა ეს ხელისუფლებაში, ადამიანი, რომელიც არის გაუნათლებელი ყველა დარგში, არ არის დარგი, რომელშიც მას ჰქონდეს მარტივი განათლებაც კი. ანუ პრეზიდენტმა თავი აჩვენა როგორც უსუსურმა პიროვნებამ ყველა დარგში, ეს იქნება კულტრის, ეს იქნება ადამიანთა შორის ურთიერთობის, რუსეთთან მიმართებაში და ასე შემდეგ. თქვენ კარგად გახსოვთ ის პერიოდი, როდესაც გასული წლის დასასრულს პატივცემული მიხეილი სტრასბურგში გამოვიდა და თქვა, რომ ის მზად არის ყოველგვარი წინაპირობის გარეშე რუსეთთან დიალოგზე, მაგრამ ერთი თვის შემდეგ ამ განცხადებიან ჩანს, რომ ყველაფერი ის, რაც მაშინ ბრძანა მიხეილმა, ყოფილა ბლეფი. ვისთან აპირებს პატივცემული მიხეილი საუბარს თუ არა რუსეთის ხელმძღვანელობასთან, რუსეთის ხელმძღვანელობა კი მოიხსენია როგორც ჭაობში მაცხოვრებეკლი ნიანგები და თურმე ის არ აპირებს არავითარ მოლაპარაკებას, ანუ მან ასეთ ნიანგად მოიხსენია რუსეთის პრემიერ-მინისტრი პუტინი და თქვა, რომ როდესაც შენ იცი, რომ ამ ჭაობში ცხოვრობს ნიანგი, ამიტომ უნდა გაეცალო მას, ანუ მან ქართველებს ჭკუა ასწავლა, თუ როგორ უნდა გავეცალოთ ჩვენ იმ არემარეს სადაც ბინადრობს ნიანგი და როგორ უნდა ჩავეხუტოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს და ასე შემდეგ. პატივცემულმა პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ ის ტელევიზიაა, საიდანაც ეს ვითომ დიალოგი მიმდინარეობდა, ეს არის შექმნილი არა იმისთვის, რომ აუბუნტოს რუსეთს ჩრდილოეთ კავკასია, არამედ მან თურმე უნდა გაზარდოს ჩრდილოეთ კავკასიელები, რომ მერე ისინი არ შემოესიონ საქართველოს. როგორი გენიალური მიგნებაა, არა? როგორ უნდა გაზარდოს აქედან მიშამ ჩეჩენი, ინგუში, ოსი და ასე შემეგ იეოლოგიურად როგორ უნდა მოამწიფოს, რომ ისინი არ შემოესიონ ქართველობას. არადა მთელი სამყარო ამის შესახებ წერს პირდაპირ, რომ ეს არის ის ტელევიზია, რომლის ძირითადი მიმართულება და დანიშულება არის, აბუნტოს ჩრდილოეთ კავკასია რუსეთის წინააღმდეგ. იყო ასევე ისეთი განცხადება, როგორ არ უნდა ჩაეხუტოს ქართველი რუს ხელოვნების მუშაკებს, თურმე მათთან ლაპარაკიც არ ღირს. პატივცემულმა მიხეილმა ამით აუწყა ერს ერთი რამ, თუ ვისთან უნდა იმეგობროს, მან ამის შესახებ ინსტრუქცია უნდა მიიღოს საქართველოს ხელისუფლებისგან და უპირველეს ყოვლისა, პრეზიდენტისგან, მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი სომეხთან, აზერბაიჯანელთან და რუსეთთან ურთიერთობა. წინააღმეგ შემთხვევაში ეს არ იქნება გამართლებლი ჩვენი ქვეყნისათვის და ასე შემდეგ. იყო აგრეთვე მოყვანილი მაგალითები თუ როგორ არის შაჰ-აბასის შემდეგ პუტინი ყველაზე დიდი დამპყრობელი, რატომღაც პატივცემულ მიხეილს ძალიან ხშირად ეშლება ხოლმე ისტორიული მომენტები ყველაზე მძიმე და საბოლოო დარტყმა მიაყენა ალა მაჰმად ხანმა, ეს შაჰაბასისა და პუტინის შუაშია, ეს რატომღაც დაივიწყა. ეს იყო ერთობ მძიმედ მოსასმენი და უნდა გითხრათ, რომ თუ ამის შემდეგ ხალხმა სათანადო დასკვნები არ გააკეთა, მაშინ ღმერთმა ხელი მოუმართოთ და აცხოვროს მიშასთან ერთად სამარადისოდ.



***— ეს ერთობ მძიმედ მოსასმენი გამოსვლა რას ემსახურებოდა, რაზე იყო გათვლილი?***

— ეს აბსოლუტურად ამოვარდნილი იყო იმ რევოლციური სულისკვეთებიდან, რომელიც არსებობს არაბულ სამყაროში. მინდა გითხრათ, რომ ის არაბული სამყაროს რევოლუციური შემართება და ამბოხი არა მგონია, მარტო არაბეთით შემოიფარგლოს. ჩვენ ამ ტერიტორიიდან საათ-ნახევარის საფრენი მანძილი გვაშორებს, ის რევოლციური ტალღა სრულიად შესაძლებელია, რომ გადმოვიდეს ახლო აღმოსავლეთისკენ, იორდანიისკენ, სირიისკენ და ასე შემდეგ, სრული მოსალოდნელია, რომ ანალოგიური რამ მოხდეს საქართველოშიც, მით უმეტეს, რომ ის პრობლემები, რომლებიც არსებობს დღეს არაბეთში და რომელმაც ხალხი გამოიყვანა ქუჩაში, არის სოციალური, ეს არის შიმშილი, ეს არის ელიტარული კორუფცია, ეს არის უმუშევრობა და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი უხვად არის საქართველოში. ნაცვლად იმისა, რომ პრეზიდენტს ელაპარაკა ამ საკითხებზე და გაეცა სერიოზული აწონილ-დაწონილი პასუხები, მან თავისსავე დასმულ კითხვას, იმიტომ, რომ ეს კითხვები წინასწარ იყო მომზადებული, ძალიან უსუსური და არაფრის მთქმელი პასუხები გასცა, რაც არის სერიოზულად დასაფიქრებელი, ვინაიდან თუ ასეთი შეგნების პრეზიდენტი გყავს, ის ქვეყანა წელში ვერასდროს გასწორდება და თავად ამ პრეზიდენტს ფეხებზე კიდია ხალხის დამოკიდებულება მისი მმართველობისადმი. ჯერ ერთი, რას ჰგავდა მისი ახსნა-განმარტება დიდების მემორიალთან ვეტერანთა აქციასთან დაკავშირებით, ნუთუ ასე პრიმიტიულად შეიძლებოდა იმის ახსნა, რომ ამ ვეტერანებმა გადააშარდეს მემორიალს, ამ მემორიალის უკან არის ტუალეტი და რაღა მაინცდამაინც იმ ტუალეტებში არ შევიდნენ, მაგრამ ეს იყო საზოგადოების გამოწვევისათვის ვეტერანთა წინააღმდეგ. პრეზიდენტის სამწუხაროდ, ამით მოხდა ხალხის გამოწვევა პრეზიდენტის წინააღმდეგ და იმის გამოაშკარავება, რასაც ჰქვია აღზრდის და ზრდილობის დეფიციტი პრეზიდენტის მხრიდან. ნაცვლად იმისა, რომ პრეზიდენტს გაეკეთებინა შესაბამისი დასკვნები, მეზობლად არსებული ამბოხებიდან გამომდინარე და თავის ხალხი რაღაცნაირად დაემშვიდებინა, ესეც კი დაიშურა და პირიქით, ლანძღვა-გინების კორიანტელი შეუთვალა მთელი საქართველოს მოსახლეობას.

***— პრეზიდენტმა ასევე თქვა, რომ ჩვენ დავიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს ძალიან მალე, თუმცა, ეს იყო ყველანაირი დაკონკრეტების გარეშე, რას გულისხმობდა ამ შემთხვევაში პრეზიდენტი, როგორ ფიქრობთ?***

— ეს არის სიტყვის მასალა, არაფრის დამბრუნებელი ეს კაცი არ არის და არავითარი სერიოზული ნაბიჯის გადამდგმელი არ არის. მან თქვა, მე სულ ამ საკითხზე ვფიქრობ, ვტირი კიდევაც და ჩვენ აუცილებლად დავიბრუნებთო, მაგრამ ეს იმდენად ზედაპირული და არა გულიდან ამოსული სურვილი იყო, რომ ეს ჩვეულებრივ რამედ ითვლება სააკაშვილისთვის. მისთვის ასეთი ტყუილი ფრაზების სროლა ჩვეულებრივი რამ არის. ეს საზოგადოებამაც კარგად გაი-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

**საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის**

**განცხადება**

**2010 წელს სქკპ-ს საერთოდ არ ჰქონია შემოსავალი და გასავალი. ამჟამად პარტიას არ გააჩნია ქონება. შესაბამისად, არ არსებობს აუდიტორული შემოწმებისთვის აუცილებელი ფინანსური დოკუმენტაცია.**

**პარტიის პრესსამსახური**

# ქართული ფილმები ინტერნეტში ფასიანი გახდება

ეკა ირემაშვილი

სასტუმრო „ჰოლიდეი ინნ“-ში კინოპროდუქციის დაცვისა და განვითარების ასოციაციის პრეზენტაცია შედგა. ასოციაციის შექმნის ინიციატორები ქართველი რეჟისორები არიან, მხარდაჭერას კი ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული ცენტრი და კულტურის სამინისტრო უწევს. პროექტი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ დემოკრატიის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა. პრეზენტაციის ინიციატორები იყვნენ ასოციაციის თავმჯდომარე პროდიუსერი ნინო გამრეკელი, ერთ-ერთი დამფუძნებელი ადვოკატი გიგა კობალაძე და ვიდეო პორტალ მაივიდეო.ჯის ინტერნეტ კინოთეატრის მენეჯერი სოსო ბლიაძე.

ახალი ასოციაციის პრეზენტაციას რეჟისორებთან, პროდიუსერებთან და კინომწარმოებლებთან ერთად ესწრებოდნენ მსახიობებიც. კინომოღვაწეებთან ერთად საპატიო სტუმრის სტატუსით დაპატიჟებული იყვნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა, ეროვნული კინოცენტრის დირექტორი თამარ ტატიშვილი, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტი“ გენერალური დირექტორი ირაკლი ღვალაძე და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელი კენტ ლოგსდონი.

როგორც ასოციაციის თავმჯდომარემ ნინო გამრეკელმა ჟურნალისტებს განუცხადა, ასოციაციის მიზანია, ხელი შეუწყოს ქართული კინოპროდუქციის ლეგალიზაციას და საავტორო უფლებების დაცვას. ასოციაცია ასევე იზრუნებს ქართულ ბაზარზე დისტრიბუციის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაზე, ლეგალური პროდუქციის შექმნასა და მისი რეალიზაციის ხელშეწყობაზე.

— ჩვენი ასოციაციის პრეზენტაციაზე წარმოვადგინეთ ასოციაციის პროექტი „ლიცენზირებული კინოპროდუქციის ინტერნეტ დისტრიბუცია და საავტორო უფლებების დაცვა“, რაც გულისხმობს ინტერნეტსივრცეში ქართული კინოპროდუქციის არალეგალურად განთავსების აღკვეთის გზებს და მის შედგომ პრევენციას. პროექტის პირველი ეტაპი ხორციელდება საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, — განაცხადა ნინო გამრეკელმა.

ასოციაციის მიერ წარმოდგენილმა სამომავლო გეგმებმა და პრიორიტეტებმა შეკრებილ საზოგადოებაში დედებითი შეფასება დაიმსახურა. „ჰოლიდეი ინნ“-ში წარმოდგენილი კინომწარმოებლების უმეტესობა გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ დღეს ქართული კინოს საავტორო უფლებები არანაირად არ არის დაცული.

**ნინო გამრეკელი, ასოციაციის თავმჯდომარე:**

— ჩვენ მიერ შექმნილი ასოციაციის მთავარი მიზანი ბაზრის ლეგალიზაცია და საავტორო უფლებების დაცვაა. ასოციაცია ქართულ ბაზარზე საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, ლეგალური პროდუქციის შექმნას და მისი გავრცელების კანონიერ გზებს უზრუნველყოფს. პროექტის განხორციელების შემდეგ, ჩვენი აზრით, კინოგაქირავების ბაზარი დაიხვეწება, ჩამოყალიბდება საავტორო ჰონორარის გადახდის სისტემა, გაჩნდება კინოწარმოებაში ინვესტირებული თანხის ამოღების პერსპექტივა. პროექტში, რეჟისორებთან ერთად, ფილმის მწარმოებელი კომპანიები და წამყვანი ონლაინ პორტალებიც არიან ჩართულნი.

*— ქართული ფილმების ნახვა ინტერნეტში ფასიანი გახდება?*

— რა თქმა უნდა. ჩვენ დავაწესებთ სიმბოლურ თანხას, შეიძლება ეს იყოს ერთი ლარი, თუმცა, პრემიერებზე უფრო მაღალი ფასი გვექნება. ეს ყველაფერი საჭიროა იმისთვის, რომ ავტორებმა და ფილმის მწარმოებელმა კომპანიებმა მიიღონ რეალური შემოსავალი, ჰქონდეთ სტიმული, მომავალში კიდევ უფრო მეტი კარგი და ხარისხიანი ფილმი შექმნან და სპონსორებმაც მეტი ფული ჩადონ ამ საქმეში. ჩვენი ასოციაცია ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ე.წ. „პირატული“ გზით მოპოვებული ფილმები ინტერნეტსივრცეში არ დაიდოს.

*— როდიდან დაიწყებთ ამის გაკონტროლებას?*

— ჩვენ ყველა ინტერნეტსაიტის გაკონტროლება და მონიტორინგი უკვე დღეიდან დავიწყეთ.

**გიორგი ღვალაძე, „საქპატენტის“ ხელმძღვანელი:**

— ამ ასოციაციის დაფუძნება სწორედ რომ დროულია. ჩვენ ყველანაირად მხარში დავუდგებით, რომ საავტორო უფლებები მაქსიმალურად იყოს დაცული. თუკი ასოციაცია თავის მიზანს მიაღწევს, ეკონომიკური ინტერესით მეტი გაჩნდება, რეჟისორსაც შემოსავალი ექნება. გარწმუნებთ, თუკი მეკობრული წესით არ მოხდება ფილმების გავრცელება, მაშინ შემოსავალი გაჩნდება და კიდევ უფრო მეტი კარგი ფილმი შეიქმნება. ეს ასოციაცია უზრუნველყოფს იმას, რომ კინოწარმოება საქართველოში მომგებიანი გახდეს. ეს შემოსავალი კი რეალურად იარსებებს, თუკი ფილმის გაყიდვა მოხდება. თითოეულმა მოქალაქემ პატივი უნდა სცეს ქართულ კინოს და დადგენილი საფასური გადაიხადოს. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს საქართველოში კინოინდუსტრიის განვითარებას.

**დავით იმედაშვილი, რეჟისორი:**

— ძალიან კარგი წამოწყებაა. ყველაფერი მაქსიმალურად უნდა გაკონტროლდეს. მიხარია, რომ შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც ქართული კინოს საავტორო უფლებებს დაიცავს. პირველ რიგში, ეს იმიტომ არის კარგი, რომ ქართველი კინომწარმოებლები დაცულები იქნებიან. დღეს იცით რა ხდება? ფილმების 100 პროცენტი არალეგალურად არის განთავსებული სხვადასხვა ინტერნეტსაიტებზე. თუკი „პირატობა“ აღიკვეთება, გაყიდვები გაორმაგდება კი არა, გასამმაგდება. ეს კი ისევ ქართული კინოსამყაროსთვის იქნება კარგი.

# აკაკი შანიძის ფონდი საჯაროა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში დაცულია საენათმეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, აკადემიკოს აკაკი შანიძის პირადი ფონდი, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა არქივს უსასყიდლოდ გადასცეს.

აკადემიკოსი აკაკი შანიძე იყო ენათმეცნიერი, რუსთველოლოგი, ფოლკლორისტი, ეთნოგრაფი, კავკასიოლოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მრავალი გამოკვლევისა და ნაშრომის ავტორი, შესაბამისად, მისი პირადი ფონდი მდიდარი და მრავალფეროვანია. იგი მოიცავს 1859-1987 წლებს და მეცნიერის საუკუნოვან ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავს.

ფონდში დაცულია ბიოგრაფიული მასალა — აკაკი შანიძის დაბადებისა და ნათლობის შესახებ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, ქუთაისის გიმნაზიასა და პეტროგრადის უნივერსიტეტში მისი სწავლის შესახებ. 1917 წელს ახალგაზრდა მეცნიერი სამშობლოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. პირველი ისტორიული კრება, რომელიც თბილისში ქართული უმაღლესი სასწავლებლის გახსნის საკითხებს იხილავდა, შედგა 1917 წლის 1 მარტს, ამავე წლის 26 ნოემბრიდან პროფესორთა საბჭოს წინასწარი სხდომის ოქმები, „ძეგლის წერანი“, აკაკი შანიძის ხელითაა დაწერილი. ფონდში ამ ოქმებთან ერთად ინახება დოკუმენტები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების, ლექციების პირველი განაწილებისა და სხვა საკითხებზე.

აკაკი შანიძეს ურთიერთობა ჰქონდა როგორც ქართველ, ასევე მე-20 საუკუნის მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მეცნიერთან. ფონდში დაცულია მათი ნაშრომები და შანიძის გამოხმაურებები ამ ნაშრომებზე, ჩანაწერები და მოგონებები მათზე. საინტერესოა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების ეფრემ II-ისა და ილია II-ის პირადი ხასიათის წერილები, მიმოწერა კონსტანტინე გამსახურდიასთან, ნიკო მართან, ჰუგო შუხარდტთან, დევიდ ლანგთან, პარიზის, ლონდონის, იერუსალიმის ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებთან.

პირად არქივშია აკაკი შანიძის ნაშრომები ქართული ენის გრამატიკის, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის, ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების, სინური მრავალთავის, „ვეფხისტყაოსნის“ და სხვა საკითხებზე. საინტერესოა მისივე ჩანაწერები: „ძველი აღთქმის წიგნების გამოცემისათვის“, „ახლადაღმოჩენილი უძველესი ქართული ძეგლების შესახებ მეთორმეტე საუკუნის მწერლობაში“, „ჯუმათის წარწერები“, აქვეა აკაკი შანიძის მხატვრული შემოქმედება, მისი ლექსები და კაფიები, გაშაირება იოსებ გრიშაშვილთან.

უამრავი მასალაა დაცული სამეცნიერო მივლინებებსა და ექსპედიციებთან დაკავშირებით: 1920 წლის პირველი სამეცნიერო მივლინება სვანეთში, შემდგომში მოსკოვსა და პეტროგრადში ქართული ხელნაწერებისა და სიძველეების დასაბრუნებლად, 1924 წელს მივლინება სომხეთში გიორგი ჩუბინაშვილთან, ლეონ მელიქსეთ-ბეგთან და სევეროვთან ერთად. ამ ექსპედიციის დროს შანიძემ შეისწავლა კოშისა და თაიჩარუხის ქართული წარწერები, ამას მოჰყვა მივლინებები სომხეთსა და აზერბაიჯანში, აფხაზეთში, რაჭაში, ქიზიყსა და ბორჩალოს მაზრაში. შეგროვდა მდიდარი და საინტერესო ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური მასალა, სალექსიკონო მასალა, ქიზიყური, ჯავახური, ქართლური დიალექტის, თუშური, მთიულური, გუდამაყრული კილოს მასალა, სვანური ზღაპრები, მასალა ხალხური პოეზიისათვის, ლეგენდები, ეპიტაფიები, ანდაზები.

განსაკუთრებით საინტერესოა იერუსალიმსა და ბულგარეთში ექსპედიციების მასალები — იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფოტოები, შოთა რუსთაველის პორტრეტი, ჩანაწერები და ნაშრომები პეტრიწონის მონასტრის შესახებ, კვიპროსის ხელნაწერი, ქართული წარწერები ბულგარეთში, სტატიები პეტრიწონის მონასტრის აშენებლის გრიგოლ ბაკურიანისძის შესახებ.

აკაკი შანიძის ფონდის მასალის გაცნობა ეროვნულ არქივში მისი მემკვიდრეების, მზექალა და ლელა შანიძეების ნებართვით არის შესაძლებელი.

# დღეს დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა

ეკა ირემაშვილი

8 თებერვალი საქართველოს უძლიერესი მეფის, ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული დავით მეოთხე აღმაშენებლის ხსენების დღეა. ამ დღეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების დღეა და იგი 93 წლის იუბილეს აღნიშნავს. უნივერსიტეტში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს ერთობლივი ფოტოგამოფენა „უნივერსიტეტი და წითელი ისტორია“ გაიხსნება. ერთი კვირის განმავლობაში ყველა მსურველს საშუალება ექნება პირველად იხილოს გასული საუკუნის უნიკალური და უნიკო ფოტო და დოკუმენტური მასალები, გაეცნოს თუ რა მძიმე პერიოდი გამოიარა უნივერსიტეტმა და პროფესორ-მასწავლებლების დიდმა ნაწილმა საბჭოთა რეპრესიების პერიოდში. მათ შორისაა 1934 წლის უნივერსიტეტის პარტკომის აქტი, სადაც ნათლად ჩანს, რომ პროფესორების გიორგი ახვლედიანის და არნოლდ ჩიქობავას გარიცხვა უნივერსიტეტიდან მხოლოდ იმიტომ ვერ მოხდა, რომ მათი შემცვლელი სათანადო „მარქსისტულ-ლენინური“ კადრები არ მოიპოვებოდა. გამოფენა მოიცავს 30-იან წლებში რეპრესირებულ და გადასახლებულ სტუდენტთა წერილებს ივანე ჯავახიშვილისადმი, 1922 წლის ფოტო და დოკუმენტურ მასალას, რომელიც მოგვითხრობს თუ როგორ იცვლება უნივერსიტეტის შენობაზე აღმართული ჯვარი წითელი დროშით, სტუდენტები კი უნივერსიტეტის მეოთხე წლისთავს გლოვით აღნიშნავენ. გამოფენაზე ასევე იქნება წარმოდგენილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეპრესირებული პროფესორების შალვა ნუცუბიძის, სიმონ ყაუხჩიშვილის, გრიგოლ წერეთლის, ვუკოლ ბერიძის, გიორგი გეხტმანისა და ვახტანგ კოტეტიშვილის წიგნები. უნივერსიტეტის იუბილეს ეძღვნება შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს ჟურნალ „საარქივო მოამბის“ ახალი ნომერიც. მკითხველი პირველად გაეცნობა თუ როგორ და რატომ ათარგმნინა სტალინმა რუსულად „ვეფხისტყაოსანი“, რატომ დაიწყო რეპრესიები ლავრენტი ბერიას საინგარიშო სიტყვის შემდეგ ქართულ ინტელიგენციაში, რა მექანიზმებით ხდებოდა ადამიანების ფიზიკურად და მორალურად განადგურება. უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის შალვა ნუცუბიძის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნის ისტორიასა და პოემის მსოფლმხევდელობის შესახებ მოგვითხრობს დოკუმენტური ფილმი „დატყვევებული გონი(ერი)“, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული საქმეების საფუძველზე შეიქმნა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 93 წლის იუბილისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრებიან უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები, მეცნიერები და ექსპერტები, ასევე კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი, ნიკოლოზ რურუა.

სიმბოლურია, რომ დიდი მეფის სახელობის ტაძარი სწორედ უნივერსიტეტის ბაღში მდებარეობს. დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარში დავით მეფის ხსენების დღესთან დაკავშირებით ღვთისმსახურება აღევლინება.

საქართველოს მეფე დავით IV აღმაშენებელი ბაგრატიონთა დინას-

გაგრძელება მე-11 გვერდზე




● გარანტიით, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას, ნევრიტს, ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებასა და სხვ. პაციენტი გადაიხდის მისი შესაძლებლობის მიხედვით. მის: თბილისი, დ.ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899-97-85-46; 53-44-39.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

SMS-განცხადებები - 3090

იყიდება

● იყიდება 200 კვ. მიწა. ისნის რ-ნში მეტრო სამგორის ზევით, სამსართულიანი სახლის პროექტით. მის: ზანდუკელის 71. ფასი 20 000 აშშ დოლარი. ტელ: 893 44 34 64.

● სასწრაფორდ იყიდება ორსართულიანი სახლი წყნეთში 1080 კვ.მ. თავისუფალი მიწის ნაკვეთით. შენობა-ნაგებობის ფართია 400 კვ.მ. სარდაფი 115 კვ.მ. ტელ: 877 19 74 11.

● იურიდიული ფირმა გთავაზობთ გამოცდილი ადვოკატების მომსახურებას ბინაზე გამოძახებით ნებისმიერ საქმეზებ, ნებისმიერ დროს. დარეკეთ და ადვოკატი მოვა თქვენთან და უთქვენოდ მოაგვარებს თქვენს პრობლემებს. ტელ: 892 79 97 77; 890 11 77 53; 18 11 02.

● იყიდება სამოსახლო მიწის ნაკვეთი თბილისთან ახლოს 10 კმ-ში 3500 კვ.მ. გომბორის გადასახვევთან გზის ქვემოთ. საწყისი ფასი 7000 ლარი. ტელ 899 27 25 33; 892 79 97 77; 890 11 77 53

# დავიდ ვილია: „ბარსელონაში“ ერთნაირი აზროვნების ფეხბურთელები არიან“

ესპანეთის პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურში „ბარსელონამ“ საშინაო არენაზე 3:0 დაამარცხა მადრიდის „ატლეტიკო“ და ახალი რეკორდის მფლობელი გახდა. კატალონიელებმა დაამხეს 1960-61 წლებში მეორე მადრიდული კლუბის, „რეალის“ რეკორდი, რომელთაც ესპანეთის ჩემპიონატში ზედიზედ 15 მატჩი ჰქონდათ მოგებული. ახლა ამ თამასამ 16-ს მიაღწია.

ცხადია, კატალონიელთა შემადგენლობაში ლეო მესი გამოირჩეოდა, რომელმაც „ატლეტიკოსთან“ ჰეთ-ტრიკი შეასრულა, თუმცა, ფიფას ვებგვერდმა სასაუბროდ მაინც დავიდ ვილია ირჩია, რომელიც სეზონის წინ შეუერთდა „ბარსელონას“.

***— როგორ გრძნობთ თავს „ბარსელონაში“?***

— ადაპტაციის პროცესი ძალიან კარგად გავიარე. ასეთ კლუბში გადასვლა კი ჩემს კარიერაში წინ გადადგმული ნაბიჯია. კატალონიელებთან ერთად უკვე მოვიგე ერთი ჯილდო — ესპანეთის სუპერთასი. არანაკლებ წარმატებით მიგვდის საქმეები სხვა ტურნირებშიც.

***— „ბარსელონას“ თამაშზე სიტყვა შესანიშნავი მცირეც არის. თავად ფეხბურთელები თუ ხართ გაკვირვებული იმ ფეხბურთით, რომლის დემონსტრირებასაც ახდენთ?***

— არ გვიკვირს, რადგან ეს მძიმე მუშაობის შედეგია. კარგი შედეგი მოდის იმიტომ, რომ გვყავს კარგი ფეხბურთელები დიდებული ტექნიკით, ვარჯიშებს პროფესიონალურად ვეკიდებით და დარწმუნებული ვართ ჩვენს თავში. თითოეული ჩვენგანი ბედნიერია იმით, რომ ყოველი მატჩი მხოლოდ სიამოვნებას გვანიჭებს.

***— როგორია პეპ გვარდიოლასთან მუშაობა?***

— „ბარსელონას“ თავისი გზა აქვს არჩეული. კლუბის საფეხბურთო ფილოსოფია უკვე წლებია არ იცვლება. გვარდიოლამ არა მარტო შეინარჩუნა ეს ფილოსოფია, არამედ შეძლო ისეთი ფეხბურთელების შეკრება, რომელთაც ერთნაირი ხასიათი და საფეხბურთო აზროვნება აქვთ. ყველა მათგანმა იოლად გაიარა ადაპტაცია „ბარსელონას“ სათამაშო სტილთან და მიაღწიეს ურთიერთგაგებას. და ეს არა მარტო მაშინ ხდება, როდესაც საუბარი ფეხბურთზეა, არამედ პირად ცხოვრებაშიც. ეს კი ფეხბურთელს ძალიან ეხმარება მთლიანად იყოს მობილიზებული მატჩისთვის.

***— თქვენზე როგორ იმოქმედა ამ ფაქტორმა?***

— ასევე დადებითად. ძალიან მეხმარება გვარდიოლას რჩევები. განსაკუთრებით, როდესაც საუბარი ეხება შეტევაში და დაცვაში თამაშს. ერთადერთი, რაც „ბარსელონაში“ მისვლისთანავე მთხოვეს, ეს იყო, რომ უნდა გამევლო ადაპტაცია მოედანზე ყოველ წამს პოზიციის შეცვლისა. ახლა თავს მშვენივრად ვგრძნობ, როგორც მოედნის ცენტრში, ისე ფლანგებზე. გვარდიოლასთან მუშაობა ჩემთვის კომფორტია და ეს თამაშსაც ეტყობა. ძალიან მიხარია, რომ ასეთი მაღალი დონის სპეციალისტის ხელში მიწევს მუშაობა.

***— გასულ სეზონში „ვალენსიასთან“ ერთად მოიპოვეთ ესპანეთის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები, ეროვნულ გუნდთან ერთად გახდით მსოფლიოს ჩემპიონი და აღმოჩნდით ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი. როგორ თვლით, 2010 წელი თქვენს კარიერაში საუკეთესო იყო?***

— ვფიქრობ, რომ მართლაც ასეა. რაც შეეხება ტიტულებსა და გოლებს, მიმაჩნია, რომ ჯერ ყველაფერი კიდევ წინ მაქვს — ამის ღრმად მწამს. გასაგებია, რომ ბოლო პერიოდში ჩემთვის ყველაფერი კარგად მიეწყო და მისთვის დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს ყოფილ ტანაგუნდელებს „ვალენსიადან“.

***— გასულ წელს ყველაზე მეტად რა მომენტი დაგამახსოვრდათ?***

— მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი და ანდრეს ინიესტას გოლი. სწორედ იმ გოლის გამო გავხდით მსოფლიოს ჩემპიონები.

***— მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ჩემპიონი გახდით, შეიცვალა რამე თქვენს პირად ცხოვრებაში?***

— არანაირად. ჩვენ ისეთივე ადამიანები დავრჩით, როგორებიც მანამდე ვიყავით და ჩვენი პირადი ცხოვრება არ შეცვლილა. რა თქმა უნდა, ახლა უფრო მცნობენ ქუჩაში, უფრო მეტს მაქებენ, მილოცავენ წარმატებებს, მაგრამ ეს არაფერს ცვლის.

***— თქვენი აზრით, რა უარყოფითი თვისებები აქვს ფეხბურთელის პროფესიას?***

— ბავშვობიდანვე ვოცნებობდი ფეხბურთელობაზე, ამიტომ მისი უარყოფითი თვისებების მოძებნა გამიჭირდება. ძალიან ბევრს ვმუშაობდი, რომ ფეხბურთელი გამოვსულიყავი — ეს იყო, რასაც ცხოვრებაში ვეძებდი. ერთადერთი, რაც მაწუხებს, ეს არის, რომ გაცილებით მეტი დრო მინდა დავუთმო ოჯახს, ჩემს გოგონებს.

# ფილიპ ბურდარიასმა კალენდარი ჩამოგვიტანა

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ მაისის ბოლოსა და ივნისის დასაწყისში თბილისში 20-წლამდე მორაგბეთა მსოფლიო ალაფა გაიმართება. ამის გამო თბილისს რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) ტურნირების მენეჯერი ფილიპ ბურდარიასი სტუმრობდა, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით გაიმართება ზემოთ ნახსენები ტურნირიც.

ბურდარიასის ვიზიტის მიზანი კალენდრის საბოლოო დადგენა და მსაჯთა კორპუსის განაწილება იყო. ირბ-ს წარმომადგენელი რაგბის კავშირის, სპორტის სამინისტროსა და ქალაქის მერიის წარმომადგენლებთან ერთად ჟურნალისტებს სასტუმრო „რედისონში“ შეხვდა.

**ფილიპ ბურდარიასი:**

— თბილისში უკვე მეორედ ვარ და კიდევ უფრო მოვიხიბლე აქაური სტუმართმოყვარეობით, სამზარეულოთი და ხალხით. თუმცა, უფრო კმაყოფილი იმით ვარ, რომ ტურნირისათვის მზადება დაგეგმილ ვადებზე სწრაფად მიდის. მატჩების ჩასატარებლად 2 მაღალი კლასის სტადიონია შერჩეული — „შევარდენი“ და „ავჭალა“. საქართველოს რაგბის კავშირს აქვს შესანიშნავი შანსი აჩვენოს მსოფლიოს თავისი ბოლოდროინდელი წარმატებები. დარწმუნებული ვარ, ტურნირში მონაწილე გუნდები სიამოვნებას მიიღებენ ამ სპორტული ღონისძიებისგან და მომთხოვნი და ემოციური ქართველი გულშემატკივრების იმედებს გაამართლებენ. ამ ტურნირზე შესაძლოა ვიხილოთ მომავალი მსოფლიოს ვარსკვლავები. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ, რომ წელსვე ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასი გაიმართება და თბილისში მოთამაშე სპორტსმენებს თავის გამოჩენის შემთხვევაში შანსი აქვთ ეროვნული ნაკრების ღირსება ზელანდიაში დაიცვან. მსგავს ტურნირებზე ირბ დიდ ინტერესს იჩენს. აქ შესაძლებელია დავაკვირდეთ აფრიკული თუ იაპონური რაგბის განვითარებას. ვნახოთ, თუ როგორ პროგრესირებს სპორტის ეს სახეობა სხვადასხვა ქვეყნებში. რაც შეეხება ვიზიტის მთავარ მიზანს, 8 გუნდი გაყოფილია 2 ჯგუფად. საქართველოსთან ერთად ჯგუფში ითამაშებენ კანადის, ზიმბაბვისა და იაპონიის ნაკრებები. ვფიქრობ, ქართველებს ყველაზე რთული თამაში იაპონელებთან ექნებათ. მეორე ჯგუფში მოხვდნენ სამოას, ურუგვაის, ამერიკისა და რუსეთის ნაკრებები. გარკვეულია ყველა მატჩის თარიღი. ჯერჯერობით, მხოლოდ მატჩების დაწყების დრო არ ვიცით, რადგან ეს საკითხი შესათანხმებელია ტელევიზიებთან. დაგეგმილი გვაქვს 8 მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი, ხოლო დანარჩენი მატჩების ინტერნეტ ვერსია. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, მნიშვნელოვანი მატჩები, მათ შორის ფინალი „ავჭალის“ სტადიონზე ჩაგვეტარებია, რადგან იქ მაყურებელიც მეტი ეტევა და სატელევიზიო ჩვენების მხრივ უკეთესი ინფრასტრუქტურა აქვს. ტურნირზე მოვლენილი იქნებიან კვალიფიციური მსაჯები. მათ შორის 2 ქართველი იქნება. ირბ ღრმად არის დარწმუნებული, რომ შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩატარდება.

სტუმრად საქმის დეტალურად გაცნობისთვის დიდი მადლობა გადაუხადეს სპორტის სამინისტროს ვიცე-პრეზიდენტმა გია გალდავამ და მერიის წარმომადგენელმა მერაბ ჩიქობავამ. ამასთან, ბურდარიასს დაჰპირდნენ, რომ ირბ-ს ნდობას არ გააწბილებენ და ტურნირის უსაფრთხოებისა და მაღალორგანიზებულობისთვის ყველაფერს გაიღებენ.

ახლა ჯგუფებზე და მათ განრიგზე.

„ა“ ჯგუფი: სამოა, რუსეთი, უგურვაი, აშშ; „ბ“ ჯგუფი: იაპონია, საქართველოს, კანადა, ზიმბაბვე;

24 მაისი: რუსეთი-ურუგვაი; კანადა-საქართველო; სამოა-აშშ; იაპონია-ზიმბაბვე;

28 მაისი: რუსეთი-აშშ; საქართველო-ზიმბაბვე; სამოა-ურუგვაი; იაპონია-კანადა;

1 ივნისი: ურუგვაი-აშშ; კანადა-ზიმბაბვე; სამოა-რუსეთი; იაპონია-საქართველო;

სხვა ტურნირებისგან განსხვავებით, არ იმართება ნახევარფინალური მატჩები, ამიტომ ჯგუფში პირველ ადგილზე გასულები პირდაპირ ფინალს ითამაშებენ, მე-რე ადგილზე გასულები — მესამე ადგილისთვის შეეცილებიან ერთმანეთს, მესამე ადგილზე გასულები კი მეხუთე-მეექვსე ადგილებს გაინაწილებენ, ხოლო ჯგუფში მაჩანჩალები მეშვიდე-მერვე ადგილების ვინაობას გაარკვევენ.

ფინალური მატჩი კი 5 ივნისს გაიმართება, გამარჯვებული გუნდი კი 2012 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებს.

გაგაცნობთ მსაჯთა ვინაობასაც, რომელიც ამ ტურნირს მოემსახურება.

დამკვირვებლად მოვლენილი არიან ფრანგი პატრიკ რობენი და არგენტინელი კარლოს მოლინარი. მატჩებს მოემსახურებიან ძირითადი მსაჯები: ხოაკიმ მონტესი (ურუგვაი), რადუ პეტრესკუ (რუმინეთი), ტიუ კომიტი (სამოა), ტომ ლასკომბი (აშშ) და ტაიძო ჰირაბაიაში (იაპონია). მათ დაეხმარებიან: ალფონსო ნოხეირა (პორტუგალია), ხორხე მოლპესერესი (ესპანეთი), კენ ლამბრეხტსი (ბელგია), გია ამირხანაშვილი და უჩა ნარიმანიძე (ორივე საქართველო).

## შედეგები

**ამხანაგური მატჩი**

პოლონეთი-მოლდოვა ... 1:0

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ჰემი-ბირმინგემი ... 0:1
ჩელსი-ლივერპული ... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 25 | 15 | 9 | 1 | 55:24 | 54 |
| 2.არსენალი | 25 | 15 | 5 | 5 | 54:27 | 50 |
| 3.სიტი | 26 | 14 | 7 | 5 | 42:22 | 49 |
| 4.ჩელსი | 25 | 13 | 5 | 7 | 46:22 | 44 |
| 5.ტოტენჰემი | 25 | 12 | 8 | 5 | 35:27 | 44 |
| 6.ლივერპული | 26 | 11 | 5 | 10 | 34:31 | 38 |
| 7.სანდერლენდი | 26 | 9 | 10 | 7 | 32:31 | 37 |
| 8.ბოლტონი | 26 | 8 | 9 | 9 | 36:37 | 33 |
| 9.სტოკი | 25 | 10 | 3 | 12 | 31:32 | 33 |
| 10.ნიუკასლი | 25 | 8 | 7 | 10 | 40:38 | 31 |
| 11.ბლექბერნი | 26 | 9 | 4 | 13 | 34:42 | 31 |
| 12.ფულემი | 26 | 6 | 12 | 8 | 28:28 | 30 |
| 13.ევერტონი | 26 | 6 | 12 | 7 | 33:34 | 30 |
| 14.ას. ვილა | 26 | 7 | 8 | 11 | 30:45 | 29 |
| 15.ბლექპული | 25 | 8 | 4 | 13 | 38:49 | 28 |
| 16.ბირმინგემი | 24 | 5 | 12 | 7 | 24:33 | 27 |
| 17.უიგანი | 25 | 5 | 11 | 9 | 26:41 | 26 |
| 18.ვესტ ბრომ. | 25 | 7 | 5 | 13 | 31:48 | 26 |
| 19.ვესტ ჰემი | 26 | 5 | 9 | 12 | 27:45 | 24 |
| 20.ვულვზი | 25 | 7 | 3 | 15 | 26:43 | 24 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

სუონსი-კარდიფი ... 0:1

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-კატანია ... 1:0
ბრეშა-ბარი ... 2:0
ჯენოა-მილანი ... 1:1
ლაციო-კიევო ... 1:1
ლეჩე-პალერმო ... 2:4
ნაპოლი-ჩეზენა ... 2:0
პარმა-ფიორენტინა ... 1:1
ინტერი-რომა ... 5:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 24 | 14 | 7 | 3 | 40:19 | 49 |
| 2.ნაპოლი | 24 | 14 | 4 | 6 | 38:22 | 46 |
| 3.ინტერი | 23 | 13 | 5 | 5 | 44:27 | 44 |
| 4.ლაციო | 24 | 12 | 6 | 6 | 30:22 | 42 |
| 5.პალერმო | 24 | 13 | 4 | 7 | 42:31 | 40 |
| 6.უდინეზე | 24 | 12 | 4 | 8 | 39:30 | 40 |
| 7.რომა | 23 | 11 | 6 | 6 | 35:30 | 39 |
| 8.იუვენტუსი | 24 | 10 | 8 | 6 | 40:30 | 38 |
| 9.კალიარი | 24 | 9 | 5 | 10 | 28:26 | 32 |
| 10.კიევო | 24 | 7 | 10 | 7 | 26:23 | 31 |
| 11.ფიორენტინა | 23 | 7 | 8 | 8 | 23:24 | 29 |
| 12.ბოლონია | 23 | 8 | 8 | 7 | 25:30 | 29 |
| 13.ჯენოა | 23 | 7 | 7 | 9 | 19:22 | 28 |
| 14.სამპდორია | 24 | 6 | 9 | 8 | 20:25 | 27 |
| 15.პარმა | 24 | 6 | 8 | 10 | 23:30 | 26 |
| 16.ლეჩე | 24 | 6 | 6 | 12 | 24:43 | 24 |
| 17.კატანია | 24 | 5 | 8 | 11 | 19:31 | 23 |
| 18.ბრეშა | 24 | 6 | 4 | 14 | 20:31 | 22 |
| 19.ჩეზენა | 24 | 5 | 6 | 13 | 17:31 | 21 |
| 20.ბარი | 24 | 3 | 5 | 16 | 14:39 | 14 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სევილია-მალაგა ... 0:0
რეალი-სოსიედადი ... 4:1
ვალენსია-ერკულესი ... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 21 | 19 | 1 | 1 | 66-11 | 58 |
| 2.რეალი | 21 | 16 | 3 | 2 | 48-17 | 51 |
| 3.ვილიარ. | 21 | 14 | 3 | 4 | 39-18 | 45 |
| 4.ვალენსია | 21 | 12 | 5 | 4 | 35-24 | 40 |
| 5.ბილბაო | 21 | 12 | 1 | 8 | 36-30 | 37 |
| 6.ესპანიოლი | 21 | 11 | 1 | 9 | 26-30 | 34 |
| 7.ატლეტიკო | 21 | 9 | 3 | 9 | 30-24 | 30 |
| 8.ხეტაფე | 21 | 9 | 2 | 10 | 34-35 | 29 |
| 9.სოსიედ. | 21 | 9 | 1 | 11 | 31-34 | 28 |
| 10.სევილია | 21 | 8 | 4 | 9 | 30-33 | 28 |
| 11.მალიორკა | 21 | 8 | 4 | 9 | 20-29 | 25 |
| 12.სარაგოსა | 21 | 5 | 8 | 8 | 21-30 | 23 |
| 13.დეპორტ. | 21 | 5 | 7 | 9 | 19-30 | 22 |
| 14.ოსასუნა | 21 | 5 | 6 | 10 | 21-29 | 21 |
| 15.ხიხონი | 21 | 5 | 6 | 10 | 20-29 | 21 |
| 16.ლევანტე | 21 | 6 | 3 | 12 | 23-33 | 21 |
| 17.რასინგი | 21 | 5 | 6 | 10 | 16-30 | 21 |
| 18.ალმერია | 21 | 4 | 8 | 9 | 22-34 | 20 |
| 19.ერკულესი | 21 | 5 | 4 | 12 | 18-35 | 19 |
| 20.მალაგა | 21 | 5 | 2 | 14 | 27-46 | 17 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ბეტისი-უელვა ... 0:1
პონფერადინა-ალკორკონი ... 1:2

**გერმანია. I ბუნდესლიგა**

**ჰამბურგი-ზ.პაული გადაიდო**

ფრაიბურგი-აინტრახტი ... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 21 | 16 | 3 | 2 | 46:12 | 51 |
| 2.ლევერკუზ. | 21 | 11 | 6 | 4 | 41:30 | 39 |
| 3.მაინცი | 21 | 12 | 1 | 8 | 32:22 | 37 |
| 4.ჰანოვერი | 21 | 12 | 1 | 8 | 29:30 | 37 |
| 5.ბაიერნი | 21 | 10 | 6 | 5 | 42:26 | 36 |
| 6.ფრაიბურგი | 21 | 10 | 4 | 7 | 29:28 | 34 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 21 | 8 | 8 | 5 | 39:28 | 32 |
| 8.ჰამბურგი | 20 | 9 | 3 | 8 | 29:30 | 30 |
| 9.ნიურნბერ. | 21 | 8 | 5 | 8 | 26:30 | 29 |
| 10.აინტრახტი | 21 | 8 | 3 | 10 | 24:26 | 27 |
| 11.შალკე | 21 | 7 | 5 | 9 | 26:26 | 26 |
| 12.ვოლფსბ. | 21 | 5 | 8 | 8 | 26:30 | 23 |
| 13.ვერდერი | 21 | 6 | 5 | 10 | 27:43 | 23 |
| 14.კაიზერი | 21 | 6 | 4 | 11 | 31:37 | 22 |
| 15.ზ.პაული | 20 | 6 | 4 | 10 | 23:34 | 22 |
| 16.კიოლნი | 21 | 6 | 4 | 11 | 25:39 | 22 |
| 17.შტუტგარტი | 21 | 5 | 4 | 12 | 37:39 | 19 |
| 18.გლადბახი | 21 | 4 | 4 | 13 | 31:53 | 16 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა**

ბოხუმი-ობერჰაუზენი ... 2:1
დუისბურგი-აუე ... 3:1
ინგოლშტადი-არმინია ... 1:0

**საფრანგეთი. I ლიგა**

ოსერი-ლილი ... 1:1
ტულუზა-მონაკო ... 2:0
ლიონი-ბორდო ... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 22 | 11 | 9 | 2 | 40-22 | 42 |
| 2.პსჟ | 22 | 10 | 7 | 5 | 34-24 | 37 |
| 3.რენი | 22 | 10 | 7 | 5 | 24-17 | 37 |
| 4.მარსელი | 22 | 9 | 9 | 4 | 30-18 | 36 |
| 5.სტ.ეტიენი | 22 | 9 | 8 | 5 | 31-24 | 35 |
| 6.ლიონი | 22 | 9 | 8 | 5 | 30-23 | 35 |
| 7.ტულუზა | 22 | 10 | 3 | 9 | 25-22 | 33 |
| 8.მონპელიე | 22 | 9 | 6 | 7 | 20-23 | 33 |
| 9.ბორდო | 22 | 7 | 10 | 5 | 27-23 | 31 |
| 10.ბრესტი | 22 | 8 | 7 | 7 | 23-21 | 31 |
| 11.ლორიენი | 22 | 9 | 4 | 9 | 26-27 | 31 |
| 12.სოშო | 22 | 8 | 4 | 10 | 35-27 | 28 |
| 13.ვალანს. | 22 | 6 | 8 | 8 | 25-25 | 26 |
| 14.ნიცა | 22 | 6 | 8 | 8 | 15-22 | 26 |
| 15.ოსერი | 22 | 4 | 13 | 5 | 27-26 | 25 |
| 16.ნანსი | 22 | 7 | 4 | 10 | 23-34 | 25 |
| 17.კანი | 22 | 6 | 6 | 10 | 22-31 | 24 |
| 18.ლანსი | 22 | 5 | 8 | 9 | 24-39 | 23 |
| 19.მონაკო | 22 | 3 | 12 | 7 | 20-23 | 21 |
| 20.არლე | 22 | 1 | 5 | 16 | 11-43 | 8 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ვიტესი-ფეინოორდი ... 1:1
გრონინგენი-ტილბურგი ... 7:1
უტრეხტი-ტვენტე ... 1:1
ერაკლესი-როდა ... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსვ | 22 | 14 | 5 | 3 | 58:21 | 47 |
| 2.ტვენტე | 22 | 14 | 5 | 3 | 45:24 | 47 |
| 3.გრონინგენი | 22 | 13 | 4 | 5 | 49:28 | 43 |
| 4.აიაქსი | 21 | 12 | 5 | 4 | 42:20 | 41 |
| 5.დენ ჰააგი | 22 | 11 | 5 | 6 | 40:32 | 38 |
| 6.ალკმაარი | 22 | 10 | 7 | 5 | 34:23 | 37 |
| 7.როდა | 22 | 9 | 8 | 5 | 37:30 | 35 |
| 8.უტრეხტი | 22 | 10 | 4 | 8 | 36:28 | 34 |
| 9.ჰერენვენი | 22 | 8 | 7 | 7 | 42:33 | 31 |
| 10.ბრედა | 22 | 9 | 4 | 9 | 31:36 | 30 |
| 11.ნაიმეგენი | 22 | 6 | 9 | 7 | 36:38 | 27 |
| 12.გრააფსხაპი | 21 | 6 | 7 | 8 | 22:37 | 25 |
| 13.ერაკლესი | 22 | 6 | 6 | 10 | 32:40 | 24 |
| 14.ვიტესი | 22 | 5 | 7 | 10 | 27:37 | 22 |
| 15.ფეინოორ. | 22 | 5 | 6 | 11 | 25:39 | 21 |
| 16.ექსელსი. | 22 | 5 | 4 | 13 | 25:45 | 19 |
| 17.ვენლო | 22 | 4 | 1 | 17 | 22:51 | 13 |
| 18.ტილბურგი | 22 | 1 | 4 | 17 | 19:60 | 7 |

*ბრედას დაკლებული აქვს 1 ქულა*

**ჰოლანდია. II დივიზიონი**

ვოლდენდამი-დენ ბოსხი ... 3:1
სპარტა-კამბური ... 1:3

**პორტუგალია. ა ლიგა**

აკადემიკა-ბეირა მარი ... 3:3
გიმარაეში-ნაციონალი ... 0:0
ლეირია-ოლჰანენსე ... 0:2
პორტიმორენსე-ფერეირა ... 0:1
პორტუ-რიუ ავე ... 1:0
სეტუბალი-ბენფიკა ... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 19 | 17 | 2 | 0 | 44:7 | 53 |
| 2.ბენფიკა | 18 | 14 | 0 | 4 | 37:16 | 42 |
| 3.სპორტინგი | 18 | 9 | 5 | 4 | 30:20 | 32 |
| 4.გიმარაეში | 18 | 8 | 5 | 5 | 24:21 | 29 |
| 5.ბრაგა | 18 | 8 | 3 | 7 | 33:24 | 27 |
| 6.ნაციონალი | 19 | 7 | 5 | 7 | 17:22 | 26 |
| 7.ლეირია | 18 | 7 | 4 | 7 | 17:23 | 25 |
| 8.ოლჰანენსე | 18 | 6 | 7 | 5 | 16:15 | 25 |
| 9.ბეირა მარი | 18 | 5 | 9 | 4 | 23:22 | 24 |
| 10.ფერეირა | 18 | 5 | 8 | 5 | 17:21 | 23 |
| 11.აკადემიკა | 18 | 5 | 5 | 8 | 24:31 | 20 |
| 12.მარიტიმუ | 18 | 4 | 7 | 7 | 19:21 | 19 |
| 13.სეტუბალი | 18 | 4 | 5 | 9 | 15:27 | 17 |
| 14.რიუ ავე | 18 | 3 | 5 | 10 | 17:25 | 14 |
| 15.პორტიმონ. | 18 | 2 | 4 | 12 | 17:34 | 10 |
| 16.ნავალი | 18 | 2 | 4 | 12 | 14:35 | 10 |

**შოტლანდია. თასი**

რეინჯერსი-სელტიკი ... 2:2
აბერდინი-დამფერმლაინი ... 1:0

**ბელგია. პროლიგა**

გენკი-ბრიუგე ... 1:0
ბეერსხოტი-ლოკერენი ... 1:1
ეუპენი-სტანდარდი ... 0:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ქსამაქსი-სიონი ... 1:0
სტ.გალენი-გრასჰოპერსი ... 1:4
თუნი-ბაზელი ... 2:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

კავალა-კერკირა ... 1:0
ოლიმპიაკოსი-ქსანთი ... 1:0
ერგოტელისი-პანიონიოსი ... 2:0

*ერგოტელისის პირველი გოლი გიორგი შაშიაშვილმა გაიტანა*

ოლიმპიაკოსი(ვ)-ატრომიტოსი ... 2:0
პაოკი-პანათინაიკოსი ... 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქონია-გაზიანთეპი ... 0:2
ტრაბზონი-ანთალია ... 0:0
გენჩლერი-ბუკა ... 1:0
გალათასარაი-ერჩიესი ... 4:2

**არგენტინა. აპერტურა**

ინდეპენდიენტე-ტიგრე ... 0:1

**კალათბურთი**

ნბა. რეგულარული ... ჩემპიონატი
მაიამი-კლიპერსი ... 97:79
ნიუ ჯერსი-ინდიანა ... 86:105
ნიუ იორკი-ფილადელფია ... 117:103
ბოსტონი-ორლანდო ... 91:80

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

ვაშინგტონი-პიტსბურგი ... 3:0
მონრეალი-ნიუ ჯერსი ... 1:4
ტამპა ბეი-სენტ ლუისი ... 4:3(ოტ)

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**



## დღის კალენდარი

### 8 დეკემბრისთვის

**წლის მე-39 დღე, ახალ წლამდე დარჩა 326 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

კეთილმსახურისა მეფისა დავით აღმაშენებლისა (112 5); ღირსთა: ქსენოფონტისა, მეუღლისა მისისა მარიამისა და ძეთა მათთა არკადისა და იოანესი (VI); მოწამეთა: ანანია ხუცისა, პეტრე მეჭურჭლისა და მათთანა შვიდთა მხედართა, რომელნი იტანჯნეს ფინიკეს (248-305); ღირსისა სვიმეონ ძველისა, სინელისა (დაახლ. 380-390); აღმოყვანება წმინდათა ნაწილთა ღირსისა თეოდორესი, სტუდიელი იღუმენისა (84 2-846); წმინდათა ორთა მოწამეთა; ღირსისა ამონისა; ღირსისა გაბრიელ იერუსალიმელისა (V); ღირსისა კლიმენტისა, საგმატიოსის მთაზე მოღვაწისა (1111); წმინდისა პავლა ქრივისა (404).

ხსენება ღირსი ქსენოფონტესი, მისი მეუღლის მარიამისა და მათი ძეების — არკადისა და იოანესი (V-VI), წმიდა მოწამეებისა: ანანია ხუცისა, პეტრე საკნისმცველისა და მისთანა შვიდთა მხედართა (295); ღირსი სვიმეონ ძველისა (390); სტუდიელი იღუმენის,

ღირსი თეოდორეს წმიდა ნაწილების აკრიტის ხერსონესიდან კონსტანტინეპოლში გადასვენებისა (845); წმიდა იოსებისა, თესალონიკელი მთავარეპისკოპოსისა (830).

### დაიბადნენ:

1612 — სემუელ ბატლერი, ინგლისელი მწერალი, მთარგმნელი. გარდაიცვალა 1680 წელს.

1828 — ჟიულ ვერნი, ფრანგი მწერალი. გარდაიცვალა 1905 წელს.

1834 — დიმიტრი მენდელეევი, გამოჩენილი რუსი ქიმიკოსი, რომელმაც აღმოაჩინა პერიოდულობის კანონი. გარდაიცვალა 1907 წელს.

1854 — ივანე მაჩაბელი, მწერალი, მთარგმნელი. გარდაიცვალა 1898 წელს.

1888 — ალექსანდრე ჟორჟოლიანი, ქართველი მსახიობი. გარდაიცვალა 1969 წელს.

1903 — სიკო დოლიძე, კინორეჟისორი და კინოდრამატურგი. გარდაიცვალა 1983 წელს.

1906 — ჩესტერ კარლსონი, ქსეროგრაფიის გამომგონებელი.

### გარდაიცვალნენ:

1587 — მარიამ სტიუარტი, შოტლანდიის დედოფალი.

1709 — ჯუზეპე ტორელი, იტალიელი მევიოლინე, კომპოზიტორი.

1915 — აკაკი წერეთელი, მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე.

1957— ვალტერ ბოთე, გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

1979 — დენის გაბორი, ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

### მოვლენები:

1587 — ინგლისში შოტლანდიის დედოფალს მარიამ სტიუარტს თავი მოჰკვეთეს.

1600 — ვატიკანმა ჯორდანო ბრუნოს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.

1885 — დაიბეჭდა ბერნანდ შოუს პირველი ზღაპარი.

1904 — იაპონია თავს დაესხა პორტ-არტურს. დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი.

1918 — გაიხსნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1926 — იუკატანის ნახევარკუნძულზე აღმოაჩინეს ექვსი პირამიდა.

1928 — ერთა ლიგის წევრმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს ოქმს მომწამლავი ნივთიერებების და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ.

1969 — მსოფლიოში ყველაზე დიდმა კომერციულმა თვითმფრინავმა „ბოინგ 747“ პირველი გაფრენა შეასრულა.

**მედიანიუსი**

## შვეიცარიელ ქალს გადასახადის გადაუხდელობისთვის ძაღლი მოუკლეს



შვეიცარიაში მაკონტროლებელი ორგანოების წარმომადგენლებმა დიასახლისს ჩამოართვეს და დააძინეს ფინია, რომლისთვისაც მის პატრონს დაწესებული გადასახადი არ ჰქონდა გადახდილი.

ხელისუფლების გადაწყვეტილებამ საზოგადოებრიობის მწვავე რეაქცია გამოიწვია, მათ შორის შვეიცარიის ფარგლებს გარეთაც.

ეს შემთხვევა ქალაქ რეკონვილში მოხდა. შვეიცარიელები აღაშფოთა იმან, რომ სამი წლის პუდელი ძაღლზე გადასახადის, 50 შვეიცარიული ფრანკის გადაუხდელობის გამო დააძინეს.

როგორც გაირკვა, ძაღლის პატრონს მარილენა მიანოტის გადასახადის გადახდა უბრალოდ დაავიწყდა. შედეგად საგადასახადო ინსპექტორებმა პატრონს ძაღლი ჩამოართვეს და ყური არათხოვეს სიტყვებს, რომ დავალიანებას იგი დაუყოვნებლივ დაფარავდა.

როგორც გაირკვა, ძაღლების გულმავიწყი პატრონები შვეიცარიის ხელისუფლებმა მოსალოდნელი შედეგების შესახებ გასული წლის ბოლოს გააფრთხილეს. კერძოდ, მათ გამოუცხადეს, რომ გადასახადის, 50 ფრანკის გადაუხდელობის შემთხვევაში მათ ძაღლებს ჩამოართმევდნენ და დააძინებდნენ.

ხელისუფლების მოქმედება სასჯელს არ ექვემდებარება, რადგან ისინი შვეიცარიის ამ ერთ-ერთ კანტონში 1904 წელს მიღებული კანონის ფარგლებში მოქმედებდნენ. მიუხედავად ამისა, ამ საქციელმა ცხოველთა უფლებების დამცველთა შოკი გამოიწვია. რამდენიმე აღშფოთებული მოქალაქე მერს მოკვლითაც კი დაემუქრა.

რეკონვილის მერის, ფლავიო ტორტის თქმით, ინგლისიდან და აშშ-დან მიღებულ წერილებში მას სიკვდილით ემუქრებიან.

მერს მიაჩნია, რომ ცხოველი კანონის ფარგლებში დააძინეს და გამოდის, ხელისუფლები სწორად მოიქცნენ. როგორც იტალიური გაზეთი „ლა სტამპა“ აღნიშნავს, საწყალ პუდელს ბედმა არ გუალიმა, რომ იგი ასი წლის წინ მიღებული, ასეთი მკაცრი კანონების მქონე ქალაქში ცხოვრობდა.

აღსანიშნავია, რომ შვეიცარიაში შინაურ ცხოველებთან დაკავშირებით ძალიან მკაცრი კანონები მოქმედებს. აღსანიშნავია, რომ 2008 წელს მიიღეს კანონი, რომელიც ზღვის გოჭებისა და თუთიყუშების წყვილის გარეშე, გალიაში მარტო ყოლას კრძალავს. ხელისუფლებმა თავიანთი გადაწყვეტილება იმით ახსნეს, რომ ზღვის გოჭები მარტოობას ვერ იტანენ და მალე იღუპებიან.

2010 წლიდან ძაღლების მფლობელებმა თავიანთ ძაღლებთან ერთად სპეციალური მომზადება უნდა გაიარონ, რაც ძაღლების წვრთნის თეორიული და პრაქტიკული კურსის გავლას გულისხმობს.

2013 წლიდან შვეიცარიაში აიკრძალება ცხენების დაბმა. ფერმებსა და საცდელ მეურნეობებში არსებულ ვითარებას სპეციალური სამსახური გააკონტროლებს, ფედერალური ვეტერინარული სამმართველოს ეგიდით.

## იტალიურმა გაზეთებმა შიშველი ბერლუსკონის ფოტო არ იყიდეს

ბრიტანული გაზეთის, „დეილი მეილის“ თანახმად იტალიურ ბულვარულ გაზეთებს დაახლოებით მილიონ გირვანქა სტერლინგად შესთავაზეს ფოტოსურათთები, რომელზეც იტალიის პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონი ქალების გარემოცვაში შიშველია აღბეჭდილი.

მიუხედავად ამისა, იტალიურმა გაზეთებმა ამ ფოტოების შეძენაზე უარი განაცხადეს და მიზეზად ის დაასახელეს, რომ ეს ფოტოები კერძო საკუთრების ტერიტორიაზე არის გადაღებული, კერძოდ, მილანის მახლობლად მდებარე ბერლუსკნის ვილა არკორში.

თავის მხრივ, ბერლუსკონის ინტერესების დამცველმა იურისტებმა ნიკოლო გედინიმ და პაოლო ლონგომ განაცხადეს, რომ ეს ფოტოები ფალსიფიკაციისა და მონტაჟის შედეგს წარმოადგენდნენ.

იმავდროულად, ცნობილი გახდა, რომ იტალიელი პაპარაცის ფაბრისიო კორონას სახელოსნოს უცნობი პირები ესტუმრნენ და გაჩხრიკეს.

„იქ ნაღდი ფულიც იყო და ფოტოაპარატებიც, მაგრამ ისინი მხოლოდ ფოტოარქივის ფირფიტებით დაინტერესდნენ. ჩვენ ის ფოტოები არ გვქონია.“ — განაცხადა კორონამ.

მილანის პროკურატურა ეჭვობს, რომ სილვიო ბერლუსკონი მაროკოელი მოცეკვავის, რუბის ფსევდონიმით ცნობილი ქარიმა ელ მაჰრუკის მომსახურებით სარგებლობდა და ამასთან, ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა მაშინ, როდესაც ქალი ჯერ 18 წლისა არ იყო.

ხელისუფლები დაინტერესდნენ აგრეთვე იმით, რომ სილვიო ბერლუსკონიმ ქურდობაში ეჭვმიტანილი რუბი პოლიციიდან სატელეფონო ზარით გაათავისუფლებინა. ამის გამო მას თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასაც აბრალებენ.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ სილვიო ბერლუსკონის კიდევ ერთ არასრულწლოვანთან ჰქონდა ურთიერთობა, კერძოდ, 17 წლის ბრაზილიელ მოცეკვავესთან.

მოგვიანებით 36 წლის გერმანელმა შაბინა ბეგანმა აღიარა, რომ სილვიო ბერლუსკონის ვილაზე ორგიების ორგანიზატორი სწორედ ის გახლდათ.

„იგი ძალიან კარგი, მაგრამ ძალიან მარტოსული ადამიანია“ — განაცხადა მან.

პრემიერ მინისტრის პრესმდივანმა პაოლო ბონაიუტიმ ვენეციაში ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ სამართალდამცავ ორგანოებს სხვადასხვა დროს საერთო ჯამში სილვიო ბერლუსკონის წინააღმდეგ 122 საქმე ჰქონდათ აღძრული და იუსტიციის ორგანოებსა და პრემიერ-მინისტრს შორის ბრძოლა



კვლავაც გრძელდება.

როგორც ბონაიუტი სისხლის სამართლის საქმეების მიუხედავად ბერლუსკონის პარტია „თავისუფლების ხალხი“ კვლავინდებურად პოპულარული რჩება.

## მარათონი ყოველდღე



ბელგიელმა სპორტსმენმა სტეფაან ენგელსმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — წელიწადში მან 365 მარათონულ გარბენში მიიღო მონაწილეობა.

ერთი წლის წინ 49 წლის ბელგიელმა ყოველდღე თითო მარათონის გარბენა დაიწყო. ამასთან, იგი შვიდ სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ მარათონებში მონაწილეობდა. უკანასკნელად 41.195 მეტრი მან ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში გაირბინა.

საშუალოდ მარათონულ დისტანციაზე დაახლოებით ოთხ საათს ხარჯავდა. მისი საუკეთესო შედეგი იყო 2 სთ და 56 წთ.

ბავშვობაში ენგელსი ასთმით იყო ავად და ექიმებმა მას სპორტული ვარჯიშები ურჩიეს.

დღემდე მარათონული გარბენების რაოდენობის რეკორდი იაპონელ აკინორი კუსუდას ეკუთვნოდა. 2009 წელს მან 65 წლის ასაკში წელიწადში 52 მარათონულ გარბენში მიიღო მონაწილეობა.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ადამიანის თავის მქონე მწოლიარე ლომის გიგანტური ქანდაკება ეგვიპტეში; 2. წყალსაცავი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში; 3. ირანსა და ავღანეთში გავრცელებული გარეული ვირი; 4. ავტოდრომი იტალიაში; 5. სვანური ციხე-კოშკი; 7. თემურ ბაბლუანის მხატვრული ფილმი; 11. ქიმიური ელემენტი, ძალზე მტკიცე მეტალი; 15. ირანელი ჯარისკაცი; 16. ჩეხური ნაგაზი; 17. ხშირი დაბურული ტყე, 18. უსქესოდ, ვეგეტატურად წარმოქმნილი შთამომავლობა; 20. ხეებზე, ქვებზე მზარდი უფესვო სპოროვანი მცენარე; 22. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში.

**თარაზულად:** 6. წმინდანად შერაცხული ქართველი არქიმანდრიტი, პარიზში ქართული ეკლესიის დამაარსებელი, თეოლოგიის დოქტორი; 8. ამერიკული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 9. შუამავალი ბირჟაზე; 10. აზოტმჟავას მარილი; 12. მზის სისტემის პლანეტა; 13. ზღვა უკრაინის ნაპირებთან; 14. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 19. ტბა სამხრეთ საქართველოში; 21. უნგრელი პოეტი; 23. სახელმწიფო ბალტიისპირეთში; 24. პურეული მცენარე; 25. თეთრი ბოჭკოვანი მინერალი, ცეცხლგამძლე, საიზოლაციო მასალა; 26. შტატი აშშ-ს დასავლეთში.

**შეადგინა თ. კოპალეიშვილმა**

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. კვორუმი; 3. კოლეტი; 8. ნოველა; 10. ბარნოვი; 11. მურწა; 12. ნიუანსი; 14. რაუნდი; 15. პრიმატი; 16. ყვავი; 19. საჩალე; 20. ლიანოსი; 21. ლიმიტი.

**შვეულად:** 1. კვერულანტი; 2. მანათი; 3. კოლოიდი; 4. ტორტი; 5. გოზინაყი; 6. კენტი; 7. მაკლერი; 9. მაწონი; 13. რანჩო; 17. აგნი; 18. არი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. მიკრობი; 2. სვია; 3. ია; 4. ინვარი; 5. ნარზანი; 6. იარა; 7. მირკანი; 8. მონე; 9. ნია; 10. სუ; 11. ამნერისი; 12. ბალადა; 13. კვარცხლბეკი; 14. კაკალი; 15. ფრაუ; 16. პარმეზანი; 17. ნადიკვარი; 18. კრიმინალი; 19. ანურია; 20. რამპა; 21. მი; 22. პალაცო; 23. სირია; 24. ბალონი; 25. აბი; 26. ნიკ; 27. ელი; 28. ბოლივია; 29. ალტი; 30. კელვინი; 31. კანდელი.

**სურათებზე:** დემი მური; მამადუ დიარა.

## მეთორმეტეკლასელთა გამოსაშვები გამოცდებისათვის მეთვალყურეთა შერჩევის პროცესი დაიწყო

გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა მეთორმეტეკლასელთა გამოსაშვები გამოცდებისათვის მეთვალყურეთა შერჩევის პროცესი დაიწყო.

როგორც „მედიანიუსს“ გამოცდების ეროვნული ცენტრიდან აცნობეს, მეთვალყურეთა შერჩევა ორ ეტაპად ჩატარდება. ამჟამად მიმდინარეობს პირველი შესარჩევი ეტაპი, სადაც მოწმდება, შეუძლია თუ არა მეთვალყურეს კომპიუტერის ჩართვა-გამორთვა, გადატვირთვა, კონკრეტული მისამართის მოძებნა ინტერნეტში და სხვ.

მისაღები გამოცდებისაგან განსხვავებით, გამოსაშვებ გამოცდებზე მეთვალყურეებს კომპიუტერული უნარ ჩვევების ელემენტარული ცოდნა მოეთხოვებათ.

მეთვალყურეთა შერჩევის პირველი ეტაპი დღეში 6 სესიად მიმდინარეობს. 11.00 საათიდან 16.00 საათის ჩათვლით, ყოველ სრულ საათზე 30 40 მეთვალყურის გამოცდა იწყება. თბილისში, მეთვალყურეთა შერჩევის პროცესში, აღმოსავლეთ საქართველოდან დარეგისტრირებული ყველა მსურველი მონაწილეობს. 17 თებერვლიდან კი ანალოგიური პროცესი ბათუმში დაიწყება, სადაც დასავლეთ საქართველოდან დარეგისტრირებული კანდიდატები შერჩევის პირველ ეტაპს გაივლიან.

გამოსაშვებ გამოცდებზე მეთვალყურეობის სურვილი 3000-ზე მეტმა კანდიდატმა გამოთქვა.

2011 წლის მეთორმეტეკლასელთა გამოსაშვებ გამოცდებზე 1500-ზე მეტი მეთვალყურე იმუშავებს. მეთვალყურეები კონკრეტულ სექტორში საგამოცდო პროცესის სწორად წარმართვაზე იქნებიან პასუხისმგებლი.

2011 წელს სკოლის დამამთავრებელი გამოცდები პირველად ტარდება. გამოცდები კომპიუტერული სისტემით ჩატარდება.

**მედიანიუსი**

## კლინიკებში გრიპის ვირუსით დაავადებულთა რაოდენობამ იკლო

ო. ღუდუშაურის სახელობის ცენტრალური საავადმყოფოში გუშინ კარანტინი გაუქმდა.

როგორც „მედიანიუსს“ საავადმყოფოს ინფექციური თერაპიის გამგე სოსო ყარსელაშვილმა განუცხადა, ბოლო დღეებში საავადმყოფოში გრიპის ვირუსით მოთავსებულთა რაოდენობამ და საავადმყოფოსთვის მიმართვიანობის მაჩვენებელმა იკლო, სწორედ ამიტომ საავადმყოფოს ხელმძღვანელობამ კარანტინის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო.

— გუშინ კლინიკას გრიპის ვირუსით მხოლოდ 11 მოქალაქემ მოგვმართა, აქედან მხოლოდ ერთ დარჩა თერაპიულ განყოფილებაში. კლინიკაში ამ სეზონზე ლაბორატორიულად დადასტურებული რ1ტ1 ტიპის ვირუსით სულ 28 პაციენტი მკურნალობდა, მათგან მხოლოდ ორი პაციენტი იმყოფებოდა რეანიმაციულ განყოფილებაში. დღეს მათ ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა და ორივე თერაპიულ განყოფილებაში არიან გადაყვანილი, — აღნიშნა ყარსელაშვილმა.

მიმართვიანობის მაჩვენებელმა ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში მ.იაშვილის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოშიც საგრძნობლად იკლო. თუმცა კარანტინი ჯერ არ გაუქმებულა.

კლინიკაში აცხადებენ, რომ ლაბორატორიუად დადასტურებული რ1ტ1 ვირუსით ბოლო ორი დღის განმავლობაში კლინიკაში რვა ბავშვი მოათავსეს, რომელთა უმრავლესობა ამ დროისთვის საავადმყოფოდან უკვე გაწერილია.

**მედიანიუსი**

## ქარიშხალმა ქობულეთის რაიონს სერიოზული ზიანი მიაყენა

ძლიერმა წვიმებმა და ქარიშხალმა სერიოზული ზიანი მიაყენა ქობულეთის რაიონს. წუხენდელმა ქარმა რუსთაველის 162 მდებარე 5-სართულიან სახლს მთალიანად ახადა სახურავი.

დაზიანებულ სახურავებს სამშენებლო კომპანია “ზუგომშენი“ აღადგენს, ხოლო სოფლებში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება სარეზერვო ფონდიდან მოხდება. ანალოგიური ზიანი მიაყენა ქარმა სოფელ გელაურის დასახლებას. მეწყერი ჩამოწვა სოფელ დაგვას ცენტრალურ გზაზე.

**ინტერპრესნიუსი**

## სამგლოვიარო განცხადებები

### თენგიზ დუჩიძე

როდესაც უკანასკნელ გზაზე აცილებ მეგობარს, რომლის სითბოს, თანადგომასა და სიყვარულს გრძნობდი სკოლის მერხიდან დაწყებული, ათეული წლობით, მაშინ შეიგრძნობ აუნაზღაურებელი დანაკარგით გამოწვეულ მძაფრ ტკივილს.

ასეთი იყო ჩვენი თენგო — თავმდაბალი, პატიოსანი, უანგარო პიროვნება, პროფესიონალი ფარმაცევტი, სამაგალითო მეუღლე და მამა, ნამდვილი მეგობარი. უყვარდა თბილისელები. თბილისელების სამსახურშივე განვლო ცხოვრება.

მსუბუქი იყოს მშობლიური მიწა ზნეკეთილი ვაჟკაცისათვის.

**კლასელები**

მეუღლე კახაბერ ჭკუასელი, შვილები გიული და თათია ჭკუასელები, მამამთილი ჯემალ ჭკუასელი, დედამთილი გიული ჭკუასელი, და-ძმები ნათელა, ომარ, ლამარა, აგლო, ხუტა და ოლეგ ფურელიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლუიზა ფურელიანი-ჭკუასელისა**

პანაშვიდი: ოთხშაბათს, 9 თებერვალს, 17 საათზე.

გამოსვენება: ხუთშაბათს, 10 თებერვალს, 15 საათზე, წმიდა გიორგის სახელობის ტაძრიდან (დიღმის მასივი, დიდუბე-დიღმის ხიდის გადასასვლელთან).

შვილები მალხაზ, კახა, რძლები ლუდა, მანანა, შვილიშვილი ალიკა, დისშვილები თემურ, თათული, თენგო რუხაძეები იუწყებიან

**ეთერ ჩაჩიბაია-გოჩელეიშვილის**

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: 8 თებერვალს, 14 საათზე.

მისამართი: ვარკეთილის III მასივი, X კვარტალი, III კორპუსი, II სადარბაზო, ბინა 24.

ბიძაშვილები ციბელა, ლეილა, ზაურ, ნიაზ, ლამარა გაბისკირიები, დეიდაშვილები თინა, თალიკო ჟვანიები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

**ეთერ ჩაჩიბაიას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ შვილებს მალხაზ და კახა გოჩელეიშვილებს.

ავთანდილ ძაგანია ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს მალხაზ და კახა გოჩელეიშვილებს დედის

**ეთერ ჩაჩიბაიას**

გარდაცვალების გამო.

შვილები გივი, მანანა, ლიანა, რძალი ლარისა წვერავა, შვილიშვილები ვიტალი, რევაზი, ზვიადი, კოტე, ზაზა, შვილიშვილის მეუღლე სოფო ჯიქურაშვილი, ნონა, ჯინა ოჯახით, შვილთაშვილები გიგა ფეტელავა, ანანო, თეონა, გოგი და თამთა ბერიაშვილები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა უსაყვარლესი ძვირფასი ბებია

**თინა ფეტელავა**

პანაშვიდი: 8, 9 თებერვალს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 10 თებერვალს, 17 საათზე.

მისამართი: მარტვილის რაიონის სოფელი თამაკონი.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## რევოლუცია შეიძლება საქართველოშიც მოხდეს

დასაწყისი მე-7 გვერდზე

გო, ისევე როგორც საზოგადოებამ შეაფასა 2008 წელს წინასაარჩევნო კამპანიის დროს, როდესაც მას ცრემლებიც კი გადმოსცვივდა თვალიდან, ეს იყო სატელევიზიო ცრემლები. ეს იმდენად პრიმიტიული და ხელოვნურია, რომ ამას დღეს უკვე საზოგადოება არ ჭამს.

— ***ყველაფრის მიუხედავად, სააკაშვილი თავის საპრეზიდენტო ვადის უკვე თვეებს ითვლის, ოპოზიცია ისევ არჩევნებზე ლაპარაკობს, რა შანსები აქვს ამ შემთხვევაში ოპოზიციას?***

— როდესაც არის ასევთ ინდიფერენტული საზოგადოება და როდესაც არსებობს ასეთი ინდიფერენტული ახალგაზრდობა, ეს ახალგაზრდობა არ არის იმ ახალგაზრდობის მსგავსი, რომლებიც დღეს იბრძვიან ტუნისში, ალჟირში, ეგვიპტეში და ასე შემდეგ, ყოველგვარი დამკვრელური ძალა გამოსვლებისა არის ახალგაზრდობა, სამწუხაროდ, საქართველოში ახალგაზრდობა არის ჩამკვდარი, მას აქვს განცხრომის ჭია შეპარული, მას არ აინტერესებს არაფერი, აინტერესებს ერთი რამ, როგორმე თავი გაირთოს, მეტი სხვა არაფერი აინტერესებს. ცხადია, ასეთი ახალგაზრდების ვითარებაში ძნელია იქ რაიმეზე ლაპარაკი. ასეთი ახალგაზრდობის და „ინტელიგენციის“ პირობებში ძალიან ძნელია იფიქრო იმაზე, რომ ამ ქვეყანაში რაღაც ვადამდელი ჩატარდება. არაფერიც არ ჩატარდება, თუ ეს ვადამდელი არჩევნები ჩატარდება, ეს უპირველეს ყოვლისა იქნება ისე ორგანიზებული, როგორც მოუნდება ხელისუფლებას, ანუ ხელისუფლების ინიციატივით მოხდება ეს ვადამდელი არჩევნების ჩატარება და ხელისუფლების სასარგებლოდაც ასრულდება. ხოლო გეგმურ არჩევნებამდე მე არა მგონია, რომ რაიმემ შეარყიოს პატივცემული სააკაშვილის და ნაციონალთა საფუძვლები. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ტყუილებით, დაშინებით შეძლებენ თავის გადარჩენას და იმ არჩევნების მოგებასაც კი. ნურავინ იფიქრებს იმას, რომ პატივცემული მიხეილი 2013 წლის არჩევნების შემდეგ ახალგაზრდულ ასაკში წავა პოლიტიკიდან. აგერ ეგვიპტის შესანიშნავი მაგალითი გვაქვს, ქვეყანა თავზე ექცევა კაცს და დღესაც არ ფიქრობს გადადგომას. ასე რომ, სრული შესაძლებელია 2012 წლის არჩევნების დროს დიდი უმრავლესობით გაიმარჯვოს ნაციონალურმა მოძრაობამ, ის ასახელებს ახალ მთავრობას და უპირველეს ყოვლისა, ამ მთავრობის პრემიერ-მინისტრი იქნება მიხეილ სააკაშვილი, ამაში მე ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი იმ ლოგიკიდან გამომდინარე, რასაც ადგილი აქვს დღეს; ეს ლოგიკა უპირველეს ყოვლისა არის ის, რასაც ჰქვია კონსტიტუციის შეცვლა, თავის სასარგებლოდ ამ კონსტიტუციის თავის თავზე მორგება, მოგეხსენებათ, ეს კონსტიტუცია 2013 წელს შედის ძალაში, ანუ როდესაც აირჩევა პრეზიდენტი და იმ დღიდანვე, როგორც კი პრეზიდენტი იქნება არჩეული, ის დაკარგავს ისეთ ძალაუფლებას, როგორიც აქვს დღეს პრეზიდენტს. მთელი ძალაუფლება გადავა პრემიერ-მინისტრის ხელში. ასე რომ, ფაქტირად ქვეყანას ეყოლება მმართველი სხვა ტიტულით, ანუ თუ პრეზიდენტის არჩევა შეიძლება მხოლოდ ორი ვადით, პრემიერ-მინისტრის არჩევა შეიძლება ყოველგვარი ვადის გარეშე, რამდენიმეჯერ. ეს შანსი აქვს პრეზიდენტს და დარწმუნებული ვარ, რომ ამ ახალგაზრდულ ასეკში ის შესანიშნავად გამოიყენებს ამ ყველაფერს.

## კახა კალაძე კმაყოფილი დარჩა

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა და იტალიური „ჯენოას“ მცველმა, კახა კალაძემ გასულ უქმეებზე თავისი ყოფილი გუნდის, „მილანის“ წინააღმდეგ ითამაშა. მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა და უნდა ითქვას, რომ ჩვენებური მრისხანე მილანურ შეტევას საფუძვლიანად უმკლავდებოდა.

თავისი თამაშით კმაყოფილია თავად ფეხბურთელიც და თვლის, რომ მთელმა გუნდმა თამაში ასეთივე სულისკვეთებით უნდა გააგრძელოს.

— ჩვენ დიდი გუნდის წინააღმდეგ ვთამაშობდით, რომელშიც შესანიშნავი ფეხბურთელები თამაშობენ. იბრაჰიმოვიჩი, პატო, რობინიო — ეს სამეული მსოფლიოში უძლიერესი თავდასხმის ხაზია. ჩვენი მიზანი მათი შეჩერება იყო და ამას მივაღწიეთ. ახლა მთავარია, მომავალშიც ასე გავაგრძელოთ. ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ — მოედანზე ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები. ასევე დიდი მადლობა გულშემატკივარს, რომელიც ძალიან დაგვეხმარა. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს მეკარე ედუარდოსაც. ძალიან შეწუხებული ვიყავი, როდესაც „ფიორენტინასთან“ მატჩის შემდეგ მის თვალებში ცრემლი დავინახე. ის თავის შეცდომაზე ბევრს ფიქრობდა, მაგრამ თავი კომფორტულად უნდა იგრძნოს, რადგან გუნდი ენდობა, — განუცხადა იტალიურ მედიას კალაძემ.

ქართველი ფეხბურთელი ასევე ძალიან გაახარა მეგობრების ნახვამ.

— „მილანში“ ბევრი მეგობარი მყავს და მათი ნახვა ძალიან მესიამოვნა. საერთოდ, ამ გუნდთან დიდი მოგონებები მაკავშირებს, — დასძინა ჩვენებურმა.

## დღეს დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ტიიდან იყო. იგი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართველი მონარქია, რომელმაც მოახერხა თურქ-სელჩუკთა ქვეყნიდან განდევნდა დიდგორის ბრძოლაში მნიშვნელოვანი გამარჯვებით. მის მიერ არმიაში და მმართველობის სისტემაში გატარებულმა რეფორმებმა შესაძლებლობა მისცა ქვეყანა გაეერთიანებინა და მთელი კავკასიის მიწების საქართველოს დაქვემდებარებაში შემოეყვანა. ქრისტიანული კულტურის წამხალისებელი და თავად თავდადებული ქრისტიანი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად არის შერაცხული.

დავითი, გიორგი II-სა და ელენეს ერთადერთი ვაჟი იყო. ის სატახტო ქალაქ ქუთაისში დაიბადა. მისი უფლისწულობა მოკლე აღმოჩნდა, რადგან ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, მამამისი იძულებული შეიქმნა ტახტიდან გადამდგარიყო და 16 წლის ძე გაემეფებინა. მას მემკვიდრეობად ერგო თურქ-სელჩუკებისაგან დარბეული ქვეყანა, დაცარიელებული ქალაქები და სოფლები, მთებში გახიზნული დამშეული მოსახლეობა. გამეფებისთანავე დაიწყო ყმა-მოლაშქრეთა და მსახურეულ აზნაურთაგან მხედართა რაზმების შექმნა. ერთგული რაზმებით მეფე თავს ესხმოდა თურქ-სელჩუკებს, ავიწროვებდა მათ, სდევნიდა და მთაში გახიზნულ მოსახლეობას ბარად ჩამოსვლის პირობებს უქმნიდა.

დავით აღმაშენებელმა გაატარა სახელისუფლო, საეკლესიო, ეკონომიკური და სამხედრო რეფორმები. ებრძოდა სახელმწიფოს ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე დიდგვაროვან ფეოდალებს. საერო დიდგვარიანებთან ერთად მეფე ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე საეკლესიო ფეოდალებსაც ებრძოდა. მეფის თაოსნობით მოიწვიეს რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომელმაც სამეფო ხელისუფლების განმტკიცების ღონისძიებები გაატარა. ეს ღონისძიებანი ჩამოყალიბებულია კრების მიერ მიღებულ დოკუმენტში „ძეგლისწერაი რუის-ურბნისის კრებისაი“. სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის თანამდებობების გაერთიანებას მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობის შექმნას. ეკონომიკური კუთხით მეფემ მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა სამონეტო საქმის მოსაწესრიგებლად. მოჭრა მონეტები როგორც ქართული, ისე არაბული ზედწერილით და რამდენადმე შეცვალა მონეტის ტიპი. რეფორმის შედეგად განმტკიცდა ფულის კურსი. მის დროს დიდი მნიშვნელობა მიენიჭა განსაკუთრებულ სასამართლო დაწესებულებას — სააჯო კარს. სამხედრო რეფორმაში მეფე გულისხმობდა ქვეყნისთვის შეიარაღებულ ძალთა გარდაქმნას, ვინაიდან ფეოდალური ლაშქრის პრინციპზე აგებული ჯარი შინაგან ერთობას მოკლებული იყო. მეფემ ჯარი საგანგებოდ გაწვრთნა და იქ მტკიცე დისციპლინა დაამყარა, გარდაქმნა ბრძოლის ტაქტიკა. ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოიყვანა და საქართველოში დაასახლა ყივჩაღთა 40 ათასი ოჯახი. მათგან მეფემ შექმნა მუდმივი ჯარი. ამის შემდეგ აღმაშენებელმა თურქ-სელჩუკებს ხარკი შეუწყვიტა. ქვეყანამ სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამ დროიდან დაიწყო საქართველოს ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა. მათი ალაგმვის შემდეგ დავით IV შეუდგა ქართული მიწა-წყლის სრული გაერთიანებისათვის ბრძოლას. აიღო ზედაზენი, შეიერთა ჰერეთი და კახეთი, აიღო სამშვილდე, რუსთავი, გიში, ლორე. დავით აღმაშენებლის მიერ წარმოებული ომებიდან კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიდგორის ომი, სადაც 55-ათასიანი ლაშქრით თურქ-სელჩუკთა 300 ათასიანი არმია დაამარცხა. ისტორიკოსებმა ამ ბრძოლას „ბრძოლაი საკვირველი“ უწოდეს. დიდგორის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, დავით IV-მ საქართველოს სამეფოს თბილისი შეუერთა.

დავით IV-ის სახელთანაა დაკავშირებული გელათის ტაძრის მშენებლობა. მანვე დააარსა ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა „გელათის აკადემია“. მისი განკარგულებით ააგეს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია შიომღვიმეში. აღმაშენებელმა თავისი წვლილი შეიტანა ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარებაშიც. მას ეკუთვნის ორიგინალური პოეტური ნაწარმოები „გალობანი სინანულისანი“. სამშობლოს ასეთი დიდი სიყვარულისათვის და ღირსეული მეფობისათვის ქართულმა ეკლესიამ დავით აღმაშენებელი წმინდანად შერაცხა. იგი 52 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი ანდერძის თანახმად მეფე გელათის ტაძრის შესასვლელში დაკრძალეს.

## TV პროგრამა

### სამშაბათი 8 თებერვალი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** თოქ-შოუ "არენა" **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** **კალათბურთი**. საქართველოს თასის ფინალი **19.05** დოკ. ფილმი "სრული სიმართლე კვების შესახებ" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00, 01.10** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** მხ. ფილმი **"ჯაშუში"** (ე. მერფი) (სუბტ.) **00.50** მოამბე **02.10** აუდიტორია

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"სუპერმენი"** **01.00** მხ. ფ. **"კარანდირუ"** (18)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"გრძნობათა ტყვეობაში"** **10.00** სერ. **"მიმნდობი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** ვანოს შოუ **15.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"სად არის ელისა"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვის უნდა **20** ათასი **23.00** მხ. ფილმი **"თაღლითები"** (18) (ა. ჰიუსტონი) **01.00** პატრული **01.20** მხ. ფილმი **"ჩვეულებრივი სისხლი"**

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "სქელი ძაღლი მენდოზა" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** იმედის ფსონი (პირდ.) **15.30** სერ. **"ორნახევარი კაცი"** **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"ბოშები"** **13.00** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.45** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** მხ. ფ. **"საქმიანი ქალი"** (12) (მ. გრიფიტი) (სუბტ.) **01.45** მხ. ფილმი **"ჩვევად ქცეული ქორწინება"** (კ. ბესინგერი) (სუბტ.) **03.40** მხ. ფილმი **"მტრის საწოლში"** (12) (სუბტ.)

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"სინდისის საკითხი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერ. **"ძმები კარამაზოვები"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ამანდა ო"** **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **11.25** "ქორონიკონს ქრისტეს აქეთ" მე-3ს. **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.05** მხ. ფილმი **"მთვარის მოტაცება"** 1-ლი ნ. **13.10** კონცერტი – ქართული სული **15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **15.05** მხ. ფილმი **"განგაში"** **16.30** დოკ. ფილმი "ხიდი" **17.05** მთავარსარდალი – დავით აღმაშენებელი **18.00** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **19.15** დავით აღმაშენებელი **19.30** მხ. ფილმი **"მთვარის მოტაცება"** მე-2 ნ. **20.40** ძილი ნებისა **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.20** სალვთისმეტყველო საუბრები **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.25** შარავანდედი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**



გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წლის 8 თებერვალს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:

აშშ დოლარი — 1,8033

ევრო —2,495

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,9259

რუსული რუბლი — 0,0612

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 6-§, ღამით — -2-1

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 7-12, ღამით — 1-6

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — -3-4, ღამით — -15 -1

## ამინდის პროგნოზი 8 თებერვლისთვის





## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" — უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58.

## 11 წლის გოგონას ციხეში 74 ტელეფონი შეჰქონდა

კოლუმბიის ხელისუფლებმა გაავრცელეს ინფორმაცია 11 წლის გოგონას დაკავების შესახებ, რომელმაც ციხეში ცეცხლსასროლი იარაღისა და 74 მობილური ტელეფონის შეტანა სცადა.

ციხის დაცვა გოგონას ტანისამოსის უცნაურმა „რელიეფმა" დააეჭვა. გოგონას შემოწმების დროს გაირკვა, რომ მას ზურგზე წებოვანი ლენტით ტელეფონები და რევოლვერი ჰქონდა მიმაგრებული.

გოგონას თან 25 წლის ახალგაზრდა ქალი ახლდა, რომელმაც ხელისუფლებს მის დად გააცნო თავი. გოგონებმა განაცხადეს, რომ ციხეში იარაღის უკანონო ტარებისათვის დაკავებული ნათესავის სანახავად მივიდნენ.

აღსანიშნავია, რომ ციხის თანამშრომლების მიერ მობილური ტელეფონების პოვნის მომენტისათვის დაკავებულებმა უკვე ერთი პოსტის გავლა მოახერხეს, სადაც 25 წლის ახალგაზრდა ქალს დოკუმენტები შეუმოწმეს.



მეორე პოსტზე, სადაც მნახველებს უფრო გულმოდგინედ ამოწმებენ, გოგონამ გაპარვა სცადა. სწორედ აქ შეამჩნია დაცვამ, რომ 11 წლის გოგონას ტანისამოსის ქვეშ რაღაც ჰქონდა დამალული. მათ ორი ბლექბერი, სხვადასხვა მარკის 72 ტელეფონი და 38 კალიბრის რევოლვერი უპოვეს.

ამ შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრე კოლუმბიის მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ერთ-ერთმა პატიმარმა, კერძოდ, ყოფილმა სენატორმა, რომელსაც უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებასთან კავშირის ბრალდებით ახლო მომავალში სასამართლოს წინაშე წარდგომა მოუწევს, ციხეში დაბადების დღე გადაიხადა.

ამ შემთხვევამდე ცოტა ხნით ადრე სენატორმა თავის საკანში ერთ-ერთი გვერდითა კედლის აღება ბრძანა, რათა საკანში ორჯერ მეტი სტუმარი დატეულიყო.

ამ ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ციხის უფროსი, სადაც სენატორი სასჯელს იხდის, სხვა ადგილას გადაიყვანეს სამუშაოდ.



***

— წითელი შუქნიშანი ანთია.

— მერე რა, ჩვენ ხომ გადასასვლელზე არ ვართ.

***

— მითხარი, ვინ არის შენი ცოლი და მე მას სულით და გულით თანავუგრძნობ...

***

გაფრთხილება „ფრთხილად, ეზოში ავი ძაღლია" კიდევ უფრო გამაფრთხილებელი შეიძლება გახდეს, თუკი ასე შეცვლით „ეზოში ფრთხილი ავი ძაღლია"...

***

ორი დაქალი საუბრობს:

— ჩემი საქმრო როგორ მოგწონს?

— სიმპათიური, ინტელიგენტური ბიჭია, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს, ხვრინავს...

***

— ჩემმა ნაცნობმა გადაწყვიტა, ქმარს გახუმრებოდა, პიჯაკის ჯიბეში თავისი ტრუსები ჩაუდო და შემდეგ ეჭვიანობის სცენა გაითამაშა.

— მერე, ხუმრობამ გაამართლა?

— გაამართლა, ქმარმა ყველაფერი აღიარა...

***

— ალკოჰოლიკი არის ადამიანი, რომელმაც ზუსტად იცის, თუ რა უნდა...

## ქეცბაიას რაზმს დვალიშვილი გამოაკლდა

**ხვალ საქართველოს ნაკრები ამხანაგურ მატჩში სომხეთის ეროვნულ გუნდს შეხვდება. მატჩი კუნძულ კვიპროსზე, ქალაქ ლიმასოლში გაიმართება და ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელის, თემურ ქეცბაიას თქმით, ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპია კარგ მოახლოებული 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისა.**



ხვალინდელ მატჩს ქეცბაია მცირე დანაკარგით შეხვდება. გუნდს ტრავმის გამო გამოაკლდა ვლადიმერ დვალიშვილი. ჩვენებურმა კუნთი ისრაელის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში დაიზიანა, როდესაც მისი ჰაიფას „მაქაბი" აუტსაიდერ „ბნეი საჰინს" ეთამაშებოდა. ექიმების თქმით, ფეხბურთელს 3-კვირიანი უქმობა მოუწევს.

არადა, დვალიშვილმა წლევანდელი წელი კარგად დაიწყო და 6 მატჩში 5 გოლის გატანაც მოახერხა. ეროვნულ ნაკრებში კი 13 მატჩი აქვს ჩატარებული და 4 გოლიც გაუტანია.

ასევე საეჭვოა ლვოვის „კარპატის" ნახევარმცველის, სანდრო გურულის თამაში. უკრაინული გუნდის მოსამზადებელ ეტაპზე გურულიც დაშავდა, თუმცა, კვიპროსზე მაინც გაემგზავრა და გუნდს შეუერთდა. ერთია, საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, ითამაშებს თუ არა სომხების წინააღმდეგ.

კვიპროსზე ჩასვლა კი მთელი სომხეთის ნაკრებს დაუგვიანდა. მათ შეფერხება ერევნის აეროპორტში მოუხდათ, მაგრამ კუნძულზე მაინც ჩააღწიეს.

შეგახსენებთ, რომ მატჩი ხვალ 17 საათზე დაიწყება.

## რიშარ გალიანო თბილისში ჩამოდის

ეკა ირემაშვილი



ცნობილი ვირტუოზი აკორდეონისტი რიშარ გალიანო ოთხწლიანი პაუზის შემდეგ საქართველოში უკვე მესამედ ჩამოდის. იგი კონცერტს თბილისში, რუსთაველის თეატრში გამართავს. კონცერტის ორგანიზატორი ამჟამადაც კომპანია „თაგის არტსი" და მისი ხელმძღვანელი ანი ლალიძეა.

რიშარ გალიანომ საქართველოში ორჯერ ჩაატარა კონცერტი და ორივეჯერ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში. ამჯერად ვირტუოზი აკორდეონისტი რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე დაუკრავს.

რიშარ გალიანო ქალაქ კანში დაიბადა. ფორტეპიანოსა და აკორდეონზე დაკვრას მამა, ასევე ცნობილი აკორდეონისტი ლუსიენ გალიანო ასწავლიდა. ოჯახში მიღებული მუსიკალური განათლების შემდეგ სწავლა ნიცის უნივერსიტეტში განაგრძო. სწორედ აქ გაიცნო თავისი პირველი მაესტრო, ცნობილი ორღანისტი პიერ კოჩერო. 1983 წელი გალიანოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ასტორ პიაცოლამ იგი მიიწვია ჟორჟ ლაველის მიერ დადგმული უილიამ შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარში" სოლო აკომპანიმენტის ბანდონეონზე შესასრულებლად. ამ მიპატიჟებამ სათავე დაუდო მათ ხანგრძლივ მეგობრობას, რომელიც პიაცოლას გარდაცვალებამდე გაგრძელდა. 2007 წელს თბილისში ჩამოსულმა გალიანომ კონცერტი სახელწოდებით „მუდამ პიაცოლა" გამართა, რომელიც თავის საყვარელ მეგობარს ასტორ პიაცოლას მიუძღვნა.

არგენტინული ტანგოს ცნობილი ფრანგი შემსრულებელი საქართველოში ამჯერად ორ მეგობართან ერთად ჩამოვა. გალიანო რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე კონცერტს გიტარისტ ბირელი ლაგრენთან და მევიოლინე დიდიე ლოკვუდთან ერთად გამართავს. კონცერტი 23 თებერვალს არის დაგეგმილი. მასზე დასასწრები ბილეთის ფასი კი 20-დან 80 ლარამდე მერყეობს.

## ასტროპროგნოზი 8 თებერვლისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

წარმატებული დღეა.

**ვერძი** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ლომი** — ახალი საქმე გაამართლებს. **ქალწული** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ღრიანკალი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **მშვილდოსანი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **თხის რქა** — თქვენი საქმე წინ მიდის, ბედი გწყალობთ. **მერწყული** — არ გადაიღალოთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 2. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 4. სურსათ-სანოვაგის საზიდი, მხარზე გადასაკიდი ძველებური ნაქსოვი ჩანთა; 5. ობობას ძველებური სახელწოდება; 10. ერთ-ერთი უძველესი ბრიტანელი ბილიარდისტი მამაკაცი; 11. ქართველი მხატვარი ქალი; 12. მოხარშული კვერცხის გულიანი ხაჭაპური; 15. თამარ მეფის დედის სახელი; 16. საკურორტო ცენტრი ფლორიდაში; 17. შხამის, საწამლავის ძველებური სახელწოდება; 20. ლოყა ანუ....

**თარაზულად:** 6. ქართველი მეღვინე, კონიაკის წარმოების ფუძემდებელი საქართველოში; 7. პირი, რომელიც პირველი სინჯავდა მეფის საჭმელს უსაფრთხოებისათვის; 8. ზღვის სიღრმის საზომი ჰიდრავლიკური ხელსაწყო; 9. თონეში გამომცხვარი პური; 13. ყველაზე დიდი ზომის აფრიკული ანტილოპა; 14. ქართული ნაციონალური კერძი; 18. იურისპრუდენციაში, სხვისი ქონების სამუდამო გამოყენება მისი დანიშნულებისა და მთლიანობის დაურღვევლად; 19. გერმანელი ფილოსოფოსი; 21. ღვინის სასმისი; 22. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 23. ჩინელ ჩინოვნიკთა ევროპული სახელწოდება ძველად; 24. ეკოლოგთა, მწვანეთა, ბუნების დამცველთა საერთაშორისო ორგანიზაცია.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## თქვენ და მოწყენილობა — ტესტი



*1. წინასწარ შედგენილი გეგმით ცხოვრობთ?*
*2. გსურთ მეტი პასუხისმგებლობა?*
*3. თუ გშურთ იმ ადამიანებისა, ვინც საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს?*
*4. გინდათ მეტი მოულოდნელობები გქონდეთ?*
*5. შეგიძლიათ სრულად განჭვრიტოთ თქვენი პარტნიორის ყოფაქცევა?*
*6. თქვენი ინტერესების უმეტესობა ტელევიზორთანაა დაკავშირებული?*
*7. როგორც წესი, დილით იცით რასაც გააკეთებთ დღის განმავლობაში?*
*8. გაწუხებთ მოწყენილობა?*
*9. ხანდახან ყვირილი გინდათ.*

**პასუხები**

**დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:**

**0-3 ქულა:** მოწყენილობისათვის არ გცალიათ, რადგან მეტად საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობთ.

**4-6 ქულა** მოწყენილობა არ გაწუხებთ, თუმცა, ხანდახან გეუფლებათ ხოლმე უგუნებობა, თავს დათრგუნვილად გრძნობთ ხოლმე, შეეცადეთ, არ მიაქციოთ ამას ყურადღება, რადგან, როგორც წესი, მოწყენილობის პერიოდს აქტიურობის პერიოდი ცვლის ხოლმე.

**7-9 ქულა:** მიუხედავად იმისა, რომ მოწყენილობა დიდ უბედურებად არ ითვლება, იგი თქვენი პრობლემების მთავარ მიზეზს წარმოადგენს. შეეცადეთ გაიმრავალფეროვნოთ ცხოვრება, ჰობის ძიებით დაიწყეთ, მოკიდეთ ხელი იმას, რაც ყველაზე უკეთ გამოგდით და რითიც შეგიძლიათ იამაყოთ. მზად იყავით, ხანდახან რისკზე წახვიდეთ.